

K234217
3

გიორგი
გოგოლავალი

მარადიულნი
თანამედროვენი





გიორგი
გოგოლავილი

მარადიულნი
თანამედროვენი

2000
თბილისი


გასარიონ ჯორგანაძის საზოგადოება

ББК 83.3Гр
УДК 894.63.09
8611



ამ წიგნის შექმნა მეტწილად
შეაპირობა იმ გაკვეთილებმა,
რომლებიც მე ოჯახში მიყიდე...
ამიტომაც ჩემს მშობლებს
ვუძღვნი ამ წიგნს, მათი დღე-
გრძელი სიცოცხლის მონა-
ტრული.

K 234.217
3



ISBN 99928-820-1-8

„ყველაფერი - სამწყსოსათვის, არაფერი - საკუთარი თავისათვის“

სათაურად გამოტანილი ფრაზა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დევიზი იყო. და, როგორც ჩანს, მის მიერ ასე ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი ცხოვრებისა სხვათა დევიზიც იყო... თუ ვინმეს მიმართ შეიძლება ეს ითქვას, უპირველესად ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟასა თუ გალაკტიონის მიმართ შეიძლება ითქვას...

XIX საუკუნის 60-იანი წლები.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი... უკვირთ სითამამე ახალგაზრდებისა. უკვირთ და აღიზიანებთ. როგორც ყოველთვის, ეს რა ახალგაზრდობა მოდისო, ატეხენ ამბავს.

შესანიშნავად თქვა თამაზ ჭილაძემ, „გენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სითამამეაო“ და თამამად შემოვიდა ასპარეზზე გენიოსთა თაობა.

შეშფოთებული ძველი თაობის აზრს მოგვიანებით პოეტურად გრიგოლ ორბელიანი გაფორმებს:

K 234-217
3



„ჰე, განუსჯელნო,

უმადლო შვილნო,

ხაუბედუროდ ცუდ დროს შობილნო!“

არადა, მართლაცდა ცუდ დროს, მძიმე
პერიოდში მოევლინნენ ისინი ამ ქვეყანას და
მიზნად დროების შეცვლა დაისახეს...

ჭეშმარიტება, რაც ამ ლექსში გრიგოლ
ორბელიანმა ბრძანა, მისი ზოგადი თვალსაზ-
რისი იყო:

„ერის ცხოვრება,

მისი დიდება,

მის ისტორია დაცულ არს ენით;

რა ენა წახდეს,

ერიც დაეცეს

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!...“

დიახ, მართალია გრიგოლ ორბელიანი -

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს;“ მაგრამ,
რბილად რომ ვთქვათ, იმსახურებდა კი ახალ-
თაობა ამ საყვედურს (თუ საყვედურებს,
ბრალდებებს)? დღეს ამ შეკითხვის დასმის სა-
უხერხულიცაა; ამგვარი კითხვის დასმის სა-
ჭირობა აღარაა; ნათელია ყოველივე...

წინაპართა ღვაწლი შეახსენეს ილიასა და
მის თაობას და წინაპართა კეთილი საქმეები-
სადმი პატივისცემისაკენ მოუწოდეს:

„მათ დაიფარეს,

სისხლით დაიცვეს

სისხლ შემოსილი მამული თვისი,

და სახო ღვთისა,

მცველი ერისა,

ენა, საყდარი, სარწმუნოება!“

დიახ, შეახსენებენ ახალთაობას, რომ
მამულის, ენისა და სარწმუნოების წინაშე
ქართველი კაცის დამსახურებას მაღლიერი
შთამომავლობის მაღლიანი საქმეები სჭირდე-
ბა... შეახსენებენ მაგრამ ვის? ილიას, აკაკის,
იაკობს?... სჭირდებათ მათ ამის შეხსენება?

1871 წელს იყო ეს...

ათიოდე წლის წინათ სწორედ ახალმა
თაობამ დასვა ეს პრობლემა. ჭაბუკი ილია
იყო ის, ვინც თავისი თაობიდან პირველმა
მოუწოდა ქართველობას: „სამი ღვთაებრი-
ვი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათა-
გან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ
ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები
ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ
შთამომავლობას? სხვისი არა ვიცით და
ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობ-
დით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან
გახწორებას. ენა საღვთო რამ არის, სა-
ზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი
ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

ეს იყო პოზიცია ილიასი. ამგვარი განცხა-
დებით გამოვიდა იგი სამოღვაწეო ასპარეზზე
და ამ შეგნებით იბრძოდა თავისი სიცოცხლის
მანძილზე; ამ შეგნებით იდგა დედაენის სადა-
რაჯოზე. ერთარსება საქართველო ილიასთვის
ეს სამება იყო: მამული, ენა, სარწმუნოება.

ის, რასაც ილია ბრძანებს, ძირითადი
პრინციპი იყო მთელი თაობისათვის,
განსაკუთრებით კი აკაკისა და იაკობისათვის.
აკაკისა და იაკობს თავიანთი ხანგრძლივი

შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მამულ-ზე ფიქრი და ზრუნვა არასოდეს გადაუწევიათ უკანა პლანზე; მასზე წინ არასოდეს არაფე-რი დაუყენებიათ. აკაკი სამების თავისებურ ვარიანტს გვთავაზობს; წერს: „ჩვენ ჩვენი წინაპრების ანდერძის გამტები არა ვართ... გვწამს მათი ანდერძი და დღესაც მოველით იმას, რასაც ისინი თხოვლობენ: ენას, რჯულს და ეროვნუ-ლი საქმის მოწყობას“.

იაკობი კი ბრძანებდა: ეროვნულობას სამი ბურჯი აქვს - მამული (სამშობლო), ენა და ეროვნული სკოლაო.

სამი ვარიანტი სამებისა:

ილია - მამული, ენა, სარწმუნოება;

აკაკი - ენა, რჯული, ეროვნული საქმე;

იაკობი - მამული, ენა, ეროვნული სკო-ლა.

ეს, როგორც ჩანს, გარკვეული ტრადი-ციის გაცოცხლება იყო. მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთარსებად (საქართველოდ) გააზრების ფაქტს გიორგი მერჩულესთან ვხვდებით: „ქართლად ფრიადი ქუეყანავ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართუ-ლითა ენითა უამი შეიწირვის და ლოც-ვად აღესრულების“. დიახ, ჩანს, რომ ქართველი კაცისათვის მამულის გააზრება ენისა და სარწმუნოების გარეშე არ ხდებოდა. აი, ეს ტრადიცია გააცოცხლეს სამოციანე-ლებმა; ამ ტრადიციის ერთგულებისაკენ მოუ-წოდებდნენ ერს. იაკობმა სამებას ეროვნული

სკოლა ამოუყენა გვერდით და ყოველივე ამის
გააზრებით შეიძლება ოთხ ღვთაებრივ საუნ-
ჯეზე, ეროვნულობის ოთხ ბურჯზე ვისაუბ-
როთ; დიახ, ჩვენი ეროვნულობა სწორედ ამ
ოთხ ბურჯს ემყარება: მამულს, ენას,
სარწმუნოებას და ეროვნულ სკოლას... ამ
ბურჯთა სიმტკიცისათვის იბრძოდნენ და
იღვწოდნენ ჩვენი **მარადიული თანამედ-
როვენი** - ილია, აკაკი, იაკობი, ვაჟა, გალაგ-
ტიონი...

* * *

ილია ჭავჭავაძე როცა დავით აღმაშენე-
ბელზე საუბრობდა, სენეკას სიტყვებს მოიშ-
ველიებდა: „ჩვენთვის, ადამიანებისათივს,
საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის
მიხედვით და მისი მაგალითით შევიძ-
ლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და
განმტკიცება. ო, რა ბედნიერია იგი,
ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით
გვწვრთნის ჩვენ, არამედ თავისი სახე-
ლის ხსენებითაც”. ასეთ კაცად დავით აღ-
მაშენებელი ეგულებოდა ილია ჭავჭავაძეს...

ასეთ კაცებად ილია, აკაკი, იაკობი, ვაჟა,
გალაგტიონი... გვეგულება ჩვენ (რა თქმა უნ-
და, დავით აღმაშენებელთან ერთად...).

დიახ, საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და
განმტკიცება მათი მაგალითით უნდა შევიძ-
ლოთ... მათი სახელისა და საქმეების გახსე-
ნებამ უნდა გაგვწვრთნას ჩვენ... არადა, რა
საოცრად დიდი სკოლაა; რა საოცარი გაკვე-

თილები - მათი არსებობა, მათი ყოფა, მათი
მოღვაწეობა, მათი ურთიერთდამოკიდებულე-
ბა...

2000 წელი აკაკისა და იაკობის საიუბი-
ლეო წელია. ამ თარიღისათვის გვინდოდა
პატივი მიგვეგო ამ წიგნის გამოცემით...
* * *

მარად და ყველგან, საქართველოვ, ჩვენ ვართ შეთანა!.. -

ეს ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟას, გალაკ-
ტიონის... ხმაა, მარადიულ თანამედროვეთა
ხმა, რომელიც მეორე ათასწლეულის მიწუ-
რულს გვამხნევებს და იმედის თვალით გაგ-
ვახედებს მომავლისაკენ - მესამე
ათასწლეულისაკენ...

მას „სამ“ იყენ ბძანმანი „გამახა-
ხავებ“ თაოთვების მას იყ ზეფრუას
თ იმპორტის მარატის მძიოცეს თავ
ად გომიდოვდ ის თ ბრძანების
მიმართ მიმდევ და ცხაჭა და
ესემ მიარო დახვიდი მეტ მამოძევებე
რ უკავეთ ჭარი, ადა დაუკავშებედი მარ
(„გამახახავების“ ნიხვი თავად იყ
თ მიმოწერ მიასამი მისაცის მარ
ხავებ დაწერ თავად მას მცდელობის
ესებ მამოძევებ ად მარების მას კარ
ის დართო დაწერ მისაცის ად მარ
ხავებ მასების და მარების მას კარ

აკაკი და ილია

ქართული კულტურის ისტორიაში აღბათ არავის შვენის ისე გვერდიგვერდ დგომა, როგორც ილიასა და აკაკის.

„გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით“, - იტყვის ცალად დარჩენილი აკაკი წერეთელი და გზას დაულოცავს ილია ჭავჭავაძეს ზეციური საქართველოსკენ.

მართლაც: ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ჩვენი ერისა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ილიასა და აკაკის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. უფრო სწორად, ამ ნახევარი საუკუნის გარეშე ჩვენი ყოფა, არსებობაც კი - წარმოუდგენელი იქნებოდა. „საზოგადოებრივი ქართველი ინტელიგენციის ისტორია ამ ორი პიროვნების გამოსვლით იწყება“, - ბრძანებს გალაკტიონი და არაა მნელი გასაცნობიერებელი ის ფაქტი, რომ ქართველი ინტელიგენციის არსებობას, მისი ყოფის აზრსა და მიზანს ილიასა და აკაკის ნაფიქრალ-ნააზრევი განსაზღვრავს დღესაც. „ილიას გზით მივდივართო“ - ესაა ყველაზე დიდი არგუმენტი მათვის, ვინც ქვეყნის

მოკეთეობას იჩემებს, ცდილობს, მამულისმოყვარედ
წარმოაჩინოს თავი...

„ლიტერატურის პრესტიჟის ასამაღლებლად საჭირო
იყო შეიარაღებული ახალგაზრდობა, რომელსაც ცოტათი
ნიადაგი და ასპარეზი სჭირდებოდა სამოქმედო და რომ-
ლის დროშა ხელში აიღეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი
წერეთელმა“ (გალაკტიონი). და ეს დროშა არაერთხელ
შეირჩა და დაიხარა. საბეღნიეროდ, დღეს კვლავ ეს
დროშა წინამძღვრობს ქართველ ერს...

* * *

ილია და აკაკი!.. ილია თუ აკაკი?!

„ალბათ ეს პარალელი მუდმივ დარჩება ქართულ ლი-
ტერატურაში. კიდევ უფრო ჭირვეული დაეჭვება: რომე-
ლი უფრო მაღლა დგას?

აკაკი და ილია ტყუპებია, რომლებიც დასცილდნენ
ერთიმეორეს. მაგრამ „ტოლები“ დარჩნენ მაინც. არჩევა-
ნი ხან ერთს ერგება, ხან მეორეს. „ტოლებში“ ეს ჩვეუ-
ლი ამბავია.

ხშირად ერთისა და იმავე პირის გუნებაში ხდება ხან
აკაკის არჩევა და ხან ილიასი. სხვანაირნი, მაგრამ
ერთფასეულნი - აი ტოლების საზომი. თუ ვინმე აირჩევს
ხან ერთსა და ხან მეორეს, ეს არც პირველის ბრალია
და არც მეორესი“, - ასე ფიქრობს გრიგოლ რობაქიძე...
და არა მხოლოდ იგი; ეს ფიქრი ჩვენიცაა, საზოგადო
ფიქრია...

ასეთ ფაქტსაც გაიხსენებს ილია ზურაბიშვილი:
„ვთქვათ, რაიმე საღამო იყო გამართული საქველმოქმედო
მიზნით. თუ ვინმე იტყოდა - ილიამ ეს ლექსი წაიკით-
ხაო, მსმენელი უეჭველად შეეკითხებოდა - აკაკიმ რაღა
წაიკითხაო? იმისდა მიუხედავად, იღებდა აკაკი ამ საღა-
მოში მონაწილეობას თუ არა. მას ვერც წარმოუდგენია,

რომ იქ, სადაც ილია იყო, შეიძლება აკაკი არ ჟოფილი იყო“.

ბევრი რამის მთქმელია ეს მოგონება...

ილიასა და აკაკის ურთიერთობა მრავალი ლეგენდის, ამბის - ტყუილისა თუ მართლის - საფუძველი გამხდარა.

გალაკტიონი წერს: „უკვე არავისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს აკაკისა და ილიას ერთმანეთში დამოკიდებულება. ველიჩომ რაფიელ ერისთავის იუბილეზე ამნაირი სადღეგრძელო დალია: ვისურვებ, რომ აკაკის ილია უყვარდეს და ილიას - აკაკიო... იმავე იუბილეზე მგოსანმა გრ. აბაშიძემ უსაყველურა: ეს რა ამბავია, ჩვენი ორი გამოჩენილი პოეტი სხედან და ხმას არ იღებენ მაშინ, როდესაც ამდენს ყოველი მხრიდან შეკრებილ საზოგადოებას ისინი ძვირად ნახავენო. აკაკის და ილიას ამნაირ დამოკიდებულებას იდეური ხასიათი ჰქონდა“... გალაკტიონი ცდილობს, საფუძველი დაუძებნოს ამ ნაღვლიან დაფიქრებას და ახსნაც მოგვცეს; გაამართლოს თუ გააბათილოს ამგვარი აზრი: „მაგრამ ეს ხომ წარსულია. თვით ილიას დასაფლავების დღეს აკაკი მწარე ცრემლებით სტიროდა და ასე მოიქცეოდა ილიაც, რომ აკაკის ცხედარი დაენახა“.

ეს კი, მაგრამ, როგორც ჩანს, ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულება კარგისა თუ ავის ფანტაზიისათვის იძლეოდა მასალას. და აგორდებოდა ტალღა ტყუილ-მართლის.

ილია ზურაბიშვილი თავგამოდებული ამტკიცებს: „რა ჰქონდათ სადავო და საცილო ილიასა და აკაკის? სად და რაში გადაჯვარედინდებოდა მათი გზები? მხოლოდ ერთში - სამშობლო ქვეყნის სიყვარულში, მისთვის მტლედ დადებაში...“

არასოდეს ილია აკაკის და აკაკი ილიას არ შესცი-

ლებია საპირადო საქმეში. არსად ისინი ერთმანეთს
მოწინააღმდეგედ არ გამოსულან არც პირადად და საზოგადოებრივ საქმეში...

და ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა ისე უყუ-
რებდა ილიას და აკაკის, როგორც საქვეყნო საქმეში
თანამებრძოლთა სინონიმებს, თითქო მათ შორის არავი-
თარი განსხვავება არ ყოფილიყო, მის თვალში ილია და
აკაკი თითქო განუყოფელი ტყუპი ძმა იყო, ერთი დედის
მუცლით ნაშობი. სადაც ილიაო, იტყოდნენ, უეჭველად
ზედ აკაკიც უნდა დაეყოლებინათ და პირიქით...“ - ეს მო-
გონებაა მათივე თანამედროვისა...

და მაინც: როგორი იყო ურთიერთდამოკიდებულება
ილიასი და აკაკისი? ჰქონდა საფუძველი ნატვრას -
უყვარდეთ ერთმანეთიო?

რა თქმა უნდა, ამ ნატვრაში არ ჩანს, რომ მათ არ
უყვარდათ ერთმანეთი. აქ უფრო სხვა რამ არის,
ვფიქრობ, ხაზგასმული: ერს როცა ილია და აკაკი ჰყავს,
თუ მათ ერთმანეთი არ უყვართ; თუ მათ ერთმანეთს ან-
გარიში არ გაუწიეს; თუ ისინი ერთმანეთს მხარში არ
ამოუდგნენ; თუ ისინი სხვადასხვა მიმართულებით დააპი-
რებენ საქვეყნო საქმის გაძლოლას; ერთმანეთის
საწინააღმდეგო საქმეს უთავკაცებენ - დაზარალდება სა-
ზოგადო ინტერესი... არა, „დაზარალდება“ არ არის ის
სიტყვა... ილიასა და აკაკის რანგის მოღვაწეთა უსიყვა-
რულო ურთიერთდამოკიდებულება უბედურების მომტანი
იქნება რაგინდარა ქვეყნისთვის... იცის ეს ქართველმა
კაცმა და ამიტომაც თავის წარმოდგენაში შეაერთა და
შეასისხლხორცა ერთმანეთთან ილია და აკაკი.

თუმცა, რაღა გავაგრძელო, ეს თავად ილიამ და აკა-
კიმ სხვაზე უკეთ იცოდნენ. სიძულვილით დანგრეული
ქვეყნის სიყვარულით შენებაც მათ გვიქადაგეს...
- ერთმანეთის მიმართ?

- სადავოზე დავობენ, საკამათოზე კამათობენ, საპაუპროცესიზე პაექტობენ... მაგრამ საქებარს აქებენ, საფილებელს ადიდებენ...

* * *

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენცია საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ღირსეული. მაგრამ იმთავითვე გამოიკვეთა ორი ფიგურა; იმთავითვე დაწყვილდა ორი მათგანი - ილია და აკაკი. სწორედ მათი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით იწყება ḫართველი ინტელიგენციის მსტორია - გალაკტიონი ბრძანებდა.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, დიახ, დაწყვილდა ეს ორი სახელი...

ვინმე გ. ბარათოვი „ცისკრის“ რედაქტორს წერილს მისწერს: „გადაიკითხეთ მისი (ი. ჭავჭავაძის - გ.გ.) ოხზულებები და მაშინ, თუ იპოვით ერთს მარდს ქართულს ლექსს, როგორსაც შეხვდებით მეტადრე უფ. აკ. წერეთლის ოხზულებებში, ბოდიშს ვიხდი“... 1861 წელია, ილიას ცნობილი წერილი გამოქვეყნდა „ცისკარში“ და, რა თქმა უნდა, ბარათოვის უპირველესი მიზანი ილიას დამცირება; ამისთვის აკაკის მოშველიებს...

დ. ჩუბინაშვილი ქრესტომათიას შეადგენს. ალ. ცაგარელი დაიწუნებს ქრესტომათიას; აკრიტიკებს შემდგენელს იმის გამო, რომ მასში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები არ შეუტანია: „ეს ორი ჩუენი მწერლები ისე ამაღლებულნი არიან წარსული საუკუნის მწერლებზედ ნიჭით და ტალანტით, როგორც მზე მიწიდგან“, - ამას ალ. ცაგარელი იტყვის. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ასე არ ფიქრობს, არ იქცევა ასე... დ. ჯანაშვილი დ. ჩუბინაშვილს ექომაგება, ალ. ცაგარელს უპირისპირდება და საკმაოდ უსიამოვნოდ მოიხსენიებს ილიასა და აკაკის: „...თქუნენ ჩუბინოვს იმისთვის ლანძ-

დავთ, რომ იმას თავის ქრესტომათიაში ილ. ჭავჭავაძის
და აკ. წერეთლის ლექსები არ დაუბეჭდია... ამას ისე
დაუფიქრებიხართ, რომ წარმოგიღგენია: ილ. ჭავჭავაძე
და აკ. წერეთელი ასეთი დიდი გენიოსები არიანო, რომ
რუსთაველს არ დაუვარდებიანო... იმასაც გეტყვი, რომ
როგორც შენ, აგრეთვე ილ. ჭავჭავაძეს და აკ. წერეთელს
არაფერი არ გაუკეთებიათ... იმათ მწერლობა არ წერას
უდრის... იმათ მეტი შეუძლიათ გააკეთონ, მაგრამ სიზარ-
მაცისა გამო არ აკეთებენ, ამის გამო იმათი ნიჭი ჩუენთ-
ვის სრულიად „უნაყოფოა“...

1865 წელია!...

ილია და აკაკი უკვე პრობლემებს უქმნიან სალიტე-
რატურო ასპარეზზე კარგა წნის დამკვიდრებულთ.

აქებენ? - ერთად აქებენ;

არ მოსწონთ? - ერთად ამბობენ აუგს...

არცაა გასაკვირი: წუთიოდე წელია, გამოჩნდნენ ასპა-
რეზზე ილია და აკაკი... მოსწონთ ან არ მოსწონთ; აფა-
სებენ ან ვერ აფასებენ, მაგრამ გვერდს მაინც ვერ
უვლიან...

ს. მესხი გაზეთის გამოცემას აპირებს; სრულიად
საქართველოს ყურადღების მიპყრობა სურს. აქაც აკაკი
და ილია არიან მთავარი ნუგეში რედაქტორისა: „იმერეთს
აკაკის შემწეობით დავიპყრობ და კახეთს ილიკოს დახ-
მარებითო“, იტყვის.

60-იანი წლების დასასრულია...

1871 წლის გახმაურებული პოლემიკა საყოველთაო-
დაა ცნობილი - „მამათა“ და „შვილთა“ „ბრძოლაზე“ მო-
გახსენებთ. მთელ თაობას მარტო ილია და აკაკიც ეყო-
ფოდა...

1875 წლის აპრილია. სალიტერატურო საღამო გაი-
მართა. გაზეთი „დროება“ ონფორმაციას მიაწვდის მკითხ-
ველს: „...პირველი ქართული სალიტერატურო საღამო

ისე მშვენივრად ასრულდა, რომ ჩვენ სრულებით არ მოველოდით... მაგრამ ნამდვილი დამამშვენებელნი და გამაცხოველებელნი ამ საღამოსი იყვნენ: აკაკი წეროელი და ილია ჭავჭავაძე“... თანმიმდევრობა ჩამოთვლისა იცვლება: ილია და აკაკი... აკაკი და ილია...

1879 წელი. გ. თუმანიშვილი თავის მიერ შედგენილ ალმანახში იმდროინდელი ქართული უურნალ-გაზეთების მიმართულებას მიმოიხილავს. დანანებით იტყვის: „ეხლან-დელი ქართული გაზეთების მიმართულების გავლენა ვერ აიცდინეს თავიდამ ვერც იმისთანა ნიჭიერმა პოეტებმა, როგორც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიაო“...

1884 წელი. არტურ ლაისტი ჩამოდის საქართველოში. ილიასთან სტუმრად მყოფი გაეცნობა აკაკის. მერე მოიგონებს: „ჩვენი გაცნობის პირველ დღეს მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი - ილია და აკაკი - საქართველოს მთელ მაშინდელ გონიეროვ ცხოვრებას განასახიერებდა“...

უცხოელი შოკეთისათვის სხვა ქართველი მოღვაწის დასახასიათებლად ილიასთან და აკაკისთან ამ მოღვაწის დამოკიდებულებაა არსებითი, თვით იაკობ გოგებაშვილს როცა ეხება საქმე, მაშინაც კი... არტურ ლაისტი იაკობზე საუბრობს და ვითომ „სხვათაშორის“ იტყვის: იაკობი „წელიწადში ერთხელ ნადიმსაც გადაიხდიდა, რომელზე-დაც, სხვათაშორის, აკაკი და ილიაც იყვნენ ხოლმეო“...

არტურ ლაისტს ამ ორი ქართველის გაცნობით მიღებული პირველი შთაბეჭდილება ბოლომდე გაპყვა და ცხოვრებამ კიდევ უფრო განუმტკიცა. მათ შორის ურთიერთობის მცირე შეცვლაც კი შეშფოთებას იწვევს: „აკაკი წერეთელმაც უკლო სიარულს ილიასთან, ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ორივე მგოსანი კვლავ ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს დავით სარაჯიშვილის სახლში. წინანდებურად საუბრობდნენ, თუმცა მათ საუბარს თავდაჭერილობა ემჩნეოდა“...

საზოგადოება ინტერესით ელის ილიასა და აკაკის ყოველ შეხვედრას საზოგადო ასპარეზზე. 1884 წელს გა-ზეთი „დროება“ აცნობებს და შეამზადებს მკონტენიულს საინტერესო ფაქტისათვის: ილია ჭავჭავაძე ლექციებს ამ-ზადებს „ვეფხისტყაოსანზე“ და შესაძლებლობა გვექნება, ერთმანეთს შევადაროთ ილიასა და აკაკის შეხედულებე-ბიო.

1889 წელია. აკაკის პენსია დაენიშნა. ნ. ნიკოლაძე ფრიად კმაყოფილია; გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ აღ-ნიშნავს ამ ფაქტს; აკაკის შემოქმედებას მიმოიხილავს იქვე და ილიას შემოქმედებასთან შეადარებს მას... დიახ, ილია თითქოს არაფერ შუაში უნდა იყოს, მაგრამ ვის ეკუთვნის პირველობა, ილიას თუ აკაკის, ამ წერილში ამაზეცაა მსჯელობა...

1895 წელია. იაკობ გოგებაშვილი წერა-კითხვის გა-მავრცელებელი საზოგადოების გამგეობას წერილობით დასაბუთებას წარუდგენს ილიასა და აკაკის ამ საზოგა-დოების საპატიო წევრებად არჩევის გამო. იაკობი და-წერს: „კრება ერთხმივ დამეთანხმება, რომ ყველაზე უდი-დესი სამსახური ქართული მწიგნობრობის წინაშე მიუძღ-ვის ორ ჩვენს სასიქადულო პოეტს - ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს“. გაზეთი „ივერია“ ამის თაობაზე აღნიშნავს: „კრებამ აღტაცებულის ტაშის ცემით მიიღო ეს წინადადებაო“.

* * *

საუკუნეს გასდევს ილია და აკაკი დღიდან მათი საქვეყნო საქმეზე დადგომისა...

ეამაყებათ მათთან ურთიერთობა, მათი სიახლოვე, მა-თი ნაცნობობა.

„ჩვენს ოჯახში დიდ აკაკისთან ერთად დიდებულ ილიას კულტი იყო გამეფებულიო“, - თავმოწონებით

გაიხსენებს შალვა დადიანი და ეს ფაქტი მისთვის საბუ-
თია ოჯახის ღირსების წარმომჩენი...

რუსულან ნიკოლაძის მოგონებიდან: „სამუდამოდ ჩამრ-
ჩა გულში დიადი ზუთეული.

ილია - ბუმბერაზი

აკაკი - ჩვენი მაშინდელი სავარდო და სამაისო
ქუთაისის ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტ ქვეყნის ტკბილი
მომღერალი...

ნათლია კირილე - სამშობლოს ჭირ-ვარამით დაფიქ-
რებული.

გიორგი წერეთელი - „კვალის“ რედაქციის ოთახში,
თავის საწერ მაგიდასთან „მესამე დასის“ ახალგაზრ-
და „გურია-სამეგრელოთი“ გარშემორტყმული.

და ბოლოს, ნიკო ნიკოლაძე... ის ჩვენთვის, უპირვე-
ლეს ყოვლისა, მამა იყო...“

საინტერესოდაა დანახული და შეფასებული XIX
საუკუნის მეორე ნახევრის ინტელექტუალური საქართვე-
ლო...

როცა თანამედროვეებმა იაკობ გოგებაშვილს შეჰქედეს
და დიდი დამსახურების გამო მადლი მოახსენეს, იაკობს
მოკრძალებულად უპასუხია: „მე ღირსი არა ვარ იმ ქე-
ბა-დიდების, რომელიც მე თქვენ მომიძლვენით, მე ქართ-
ველი ზალხისთვის ბევრი არაფერი არ გამიკეთებია, მე
ვეჭობ, რომ თუ რაიმე გაუკეთე ქართველ ზალხს, მე ეს
გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ზელის
შეწყობით... თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ
სახელმძღვანელოებს „დედა-ენას“, „ბუნების კარს“ და
„რუსსკოე სლოვოს“ საქართველოს სკოლებში ფართო
გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ილია ჭავჭა-
ვაძის აქტიური დახმარებით და ზელისშეწყობით... ამ საქ-
მეში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართვე-
ლოს ბულბულს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი

სახელმძღვანელოების შედგენაში მუდამ აქტიურად მეხ-
მარებოდა, ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ყველა იმათ,
რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ჩვენი სახელმძღვანელოე-
ბის საქართველოს სკოლებში გავრცელებისა“ (ილია
ბახტაძის მოგონებიდან).

აქ ერთია დიდი იაკობის თავმდაბლობა, მეორე - ჭეშ-
მარიტება: XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყველა დიდი
ეროვნული საქმე პირდაპირ თუ არაპირდაპირ ილიასა და
აკაკისთან იყრის თავს; პირდაპირ თუ არაპირდაპირ ილია
და აკაკი არიან სათავე ყოველივე ეროვნული სიკეთისა.

თავის მოღვაწეობაში ილიასა და აკაკის დამსახურე-
ბის ამგვარად დანახვა, წარმოჩენა არ ამდაბლებს იაკობს;
პირიქით - მისთვის ჩვეულ და დამახასიათებელ - სიმაღ-
ლეს ინარჩუნებს იგი... ილიასა და აკაკიზე ყურადღების
ამგვარი გამახვილება მის ნაღვაწს კიდევ უფრო მეტ
ღირსებასა და ფასს შესძენს...

* * *

ილია და აკაკი ქართველი კაცის წარმოდგენაში უფ-
რო დიდია, ვიდრე პოეტი, ან მწერალი, ან საერთოდ
მოღვაწე... ეს ეპითეტები სხვასაც შეიძლება მიესადაგოს.
ილიასა და აკაკის მსგავსთათვის შესაფერისი უნდა მოვი-
ძიოთ... გვაქვს კი ქართულ ენაში? რა მოგახსენოთ! კარ-
გად თქვა სერვო კლდიაშვილმა: „ჩვენი, ახალგაზრდების,
წარმოდგენაში პოეტები იყვნენ ვახტანგ და გრიგოლ ორ-
ბელიანები, მამია გურიელი და სხვანი. ხოლო აკაკი, ისე
როგორც ილია, სულ სხვა იყო... ილიასთან ერთად აკა-
კიმ რამდენიმე თაობის მაგიერ მიიღო ტანჯვა და ზიდა
მძიმე ტვირთი... იმ მძიმე უღლის გაწევა, რომელიც
წარსულში ჩვენი დიდი მეფებისა და მოღვაწეთა მოვა-
ლეობას შეადგენდა, მეცხრამეტე საუკუნეში წილად
ხვდათ ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. ერის იმე-

და და წინამდლოლნი ისინი იყვნენ, აკაკი წერეთელმა, ილიასთან ერთად, ახალი საქართველო დაიწყო... ილიასა და აკაკის გამოჩენასთან ერთად პირველად გაისძირა ძლიერი ხმა ხალხის წიაღიდან, ერის შუაგულიდან”.

საინტერესო ფაქტი: თითქოსდა არაფერი დაშავდესო, ერთ შემთხვევაში რომ ილიას დაასახელებს პირველად, მეორე შემთხვევაში - აკაკის: ილია და აკაკი, აკაკი და ილია...

* * *

ილია და აკაკი...

მაღალი ნიჭის შეფასებაში ერთმანეთს ტოლს არ უდებენ.

1865 წელია. უურნალ „ცისკარში“ კრიტიკულ წერილს აქვეყნებს აკაკი. მოვუსმინოთ: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორეთ ერთ ტახტზე სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩუენს ლიტერატურაში, ერთგვარად დაუკიწყარები არიან, ერთს გაუწყვეტლის ჯაჭვით გადამბულები ერთის მეორეზედ; ერთის უმეორისოდ გაგება ძნელია“.

საინტერესო გახსენება: ნიკო ნიკოლაძე წერს - „მხოლოდ თ. აკაკი წერეთელს შეუძლია ამოუდგეს გვერდში თავ. ნიკ. ბარათაშვილს, და ამ ორმა მგოსანმა სავსებით ამოწურა მიმდინარე საუკუნის საქართველოს ნამდვილი პოეზია...“ ბარათაშვილთან აკაკი ილიას დააწყვილებს, ნიკო ნიკოლაძე - აკაკის... ალბათ ამიტომაც ამბობს ივანე გომართელი: „ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სამებაა, რომელიც წარმოადგენს ქართველი ერის სიწმინდეს, დიდებას, მშვენებას და სიამაყეს - მე-19 საუკუნის განმავლობაში. სამივემ ქართული პოეზია ააყვავეს და ევროპის პოეზიას ამოუყენეს გვერდით. თუ ინგლისელები ამაყობენ ბაირონით, ჩვენ

შეგვიძლია ვიამაყოთ ბარათაშვილით; თუ ფრანგები ამაყობენ ვიქტორ პიუკოთი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იღლია ჭავჭავაძით; თუ რუსები ამაყობენ პუშკინით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ აკაკი წერეთლით. ის ერთ, რომელსაც შეუძლია ერთ ხანაში ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის წარმოშობა, არ მოკვდება, ამისთანა ერს დიდებული მომავალი აქვს... ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“...

ზევით აკაკი წერეთლის კრიტიკულ წერილზე ვსაუბრობდით...

იქვე, იმ წერილში აკაკი ილიას რუსთველის პოეტურ მემკვიდრედ წარმოადგენს: „მისთვის შევეხე აქ ჭავჭავაძესა და ბარათაშვილს, რომ ეგება ჩვენმა განათლებულმა სწავლულებმა, რომელთაც ჯიბეში ხელი ჩაუწყიათ და დაცინების მეტს არას აკეთებენ, ეგება იმათ მოპკიდონ ხელი და კრიტიკულად გაარჩიონ ჩვენი მწერლები. თუმცა ბევრჯერ გამიგონია იმათგან, რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოსჩნდეს და დაპისწეროს მთის განხილვანი. მაგრამ ეს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის; ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო“.

ზუსტია და შეუმცდარი აკაკი: „ჩემის აზრით, მისი „კაცია ადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტათ რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“.

აქაც უნდა დავეთანხმოთ, ალბათ: „ჭავჭავაძე თუმცა ჭაპან-წყვეტით სწერს ლექსებს, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვსთ მის ლექსებს ჩვენთვის“...

ილიას „პოეტის“ გამო აღტაცებას ვერ მაღავს აკაკი: „აი, რას ამბობს პოეტი! ჭავჭავაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი, რას ნიშნავს კაცობა და არა ბულბულობა!...“

გავიხსენოთ: ყოველივე ამას ოცდახუთი წლის აკაკი წერს სამიოდე წლით უფროს თანამოკალმეზე, ალბათ, ასეთ შემთხვევასაც გულისხმობდა ილია, როცა წერდა: „გულს გული იცნობს და ღონეს ღონეო“.

მოვინანებით, 1879 წელს, ანტონ ფურცელაძე ბრალს დასდებს აკაკის მიკერძოებაში; საზოგადოს ივიწყებ და პიროვნულ ინტერესებს ემსახურებიო... ილიაც აუგად იქნა მოხსენიებული ამ წერილში...

საპასუხო წერილში კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდება აკაკის დამოკიდებულება ილიასადმი; ასეთი მაგალითი მოჰყავს: „ამ ათი-თხუთმეტი წლის წინეთ, თქვენ არ ბრძანდებოდით (ა. ფურცელაძეს მიმართავს - გ.გ.), რომ ილია ჭავჭავაძეს ღმერთ-კაცს ეძახდი და მეშვიდე ცაზე აგყავდათ? მაშინდელი თქვენი თაყვანის-ცემა კერპ-შსახურებას გავდა... მე კი მაშინ სხვა აზრისა ვიყავი ჭავჭავაძის შესახებ: მომწონდა, ვაფასებდი, სასარგებლო და ნიჭიერ კაცად მიმაჩნდა, და მსურდა, რომ იმისთანა სხვებიც გამოსულიყვნენ ჩვენში. ღმერთ-კაცად და გენიოსად ვერა ვხედავდი და არც კერპ-სალოცავად გამიხდია ჩემთვის. ამ ჰაზრს მე არ ვფარავდი, ვაცხადებდი და მისთვის ბევრი უსიამოვნებაც გადამხდომია!... დღეს, როდესაც ათმა-თუხთმეტმა წელიწადმა გაიარა, მე ილია ჭავჭავაძე თუ უფრო არა, ნაკლებად მაინც აღარ მიმაჩნია. ნიჭი არ მოჰკლებია, სწავლა და გამოცდილება მეტი აქვს და ნამსახურიც მეტი მიუძღვის, რომ უფრო დავაფასო და მივიჩნიო. თქვენ კი, არა-თუ აღარ სწყალობთ აღრინდულად, გინდათ, რომ ქვესკნელში ჩააძვრინოთ და ან დედამიწასთან გაასწოროთ. და რისი ბრალია ეს, თუ არა პირადობის და ან ტვინ-თხელობის? ცხადია, თქვენ ან მაშინ სტყუოდით და სცდებოდით, ან ახლა!...“

ერთგან ამბობს აკაკი: „არავისი მეშინია, გარდა ერთის - ჩემის სინდისისა და ჩემის თავისაო“. სწორედ სინ-

დისისა და გულის ნაკარნახევი ჩანს ზემომყვანილი
მსჯელობა.

ზოგადად, ჭეშმარიტებისადმი და, კერძოდ, მლიქად-
მი დამოკიდებულების კლასიკურ მაგალითად შეიძლება
ჩათვალოს აკაკის სიტყვა, თელავში თქმული, საღილ-
ზედ. მცირე ამონარიდი: „პატარა ცისარტყელა ვერც ათ-
ბობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და
სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნათ არის მიჩნეუ-
ლი. გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც,
საღმე ცის კიდეში გაჩენილი, ქვეყანას ახარებს. შეჩერ-
დებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო, შენს მადლს! კარ-
გი ნიშანია: ამ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან,
ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმა-
ნედლებელიო. საკვირველია, მესამოცე წლებშიც, როდე-
საც მამათა სქესის ახალ-თაობა გამოღვიძებას აპირებდა,
ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის
ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია,
მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი
ილია ჭავჭავაძე... ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ
კუთხეზედ მეტათ წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ
ბეთლემად დაუნიშნავს განგებას და ღმერთმა ინებოს!“..

(არადა, ი. მეუნარგია იგონებს, აკაკის „კარგი არავის-
ზე ემეტებოდაო“).

„ეს აკაკი წერეთელმა კახეთში მეორე სტუმრობის
დროს თელავში გამართულ ნადიმზე თქვა 1897 წლის 15
სექტემბერს. 15-ოდე წლით ადრე, კახეთში პირველი
მოგზაურობისას, 1882 წლის 17 აგვისტოს იმავე თელავ-
ში, ისევ ნადიმზე ასეთი რაიმე თქვა: „ძველადაც საზო-
გადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავი-
სის თავგანწირულ მამულიშვილობით ქვეყანას აკვირვე-
ბენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან
და მომავალშიც, იმედია, თქვენი შვილები თავის

განთქმულ წინაპრებს არ ჩამორჩებიან. ჩვენ დროსაც
მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი, თ ილია
ჭავჭავაძე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ კულტურული
თქვენგანი სიამოვნებითა და ამპარტავნობით იგონებს და
რომლის საღლეგრძელოსაც ახლა მე გეახლები, იმედი
მაქვს, თქვენივე თანხმობით, ვისურვოთ, რომ მალე
გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულიშვილები“.
15 წლის შუალედით წარმოთქვა ეს სიტყვები; თითქმის
ერთსა და იმავე საზოგადოებასთან. დამოკიდებულებები
არ იცვლება, პირიქით...

(არადა, ი. მეუნარგია წერს, აკაკის კარგი არავიზე
ემეტებოდაო...).

აკაკის ამ უკანასკნელმა სიტყვამ, უფრო სწორად
პირველმა სიტყვამ თელავში წარმოთქმულმა, თვით
ილიასაც, როგორც ჩანს, სხვაგვარად აუძგერა გული.
იგი, მისივე საფიცარი ბარათაშვილი რომ იტყოდა, „უს-
ყიდველი მსაჯული იყო“. და ეს, ქებაზედ საკმაოდ
სიტყვაძუნწი, მიუკერძოებელი და უსყიდველი მსაჯული
აღტაცებაში მოუყვანია აკაკის მიერ ნადიმზე
წარმოთქმულ სიტყვას:

„კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ,
არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა - აზრს, თუ აზ-
რი სიტყვას, - ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე
შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის შშვენიერე-
ბასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია
და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც
მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით
მიაღწიოს დანიშნულ აღგილამდე, როგორც მთქმელს
სურვებია“.

ნიშანდობლივია: იქ, სადაც შური და ეჭვი ბუდობს,
უფრთხიან და გაურბიან ერთმანეთის ქებას. ყოველ ჩვენ-
განს ალბათ გაცილებით მეტი კრიტიკა (რა თქმა უნდა,

არაობიექტური), ძაგება, აუგი მოუსმენია თანამედროვე მოღვაწისაგან თავისი თანამედროვე მოღვაწის მიმართ ვიდრე ქება, ქება გულიდან მომდინარე. როგორც სახსრების, სხვა ფასი აქვს თანამოკალმის ქებას... კლასიკოსთათვის - ილიასა და აკაკისათვის - და საერთოდ, ჭეშმარიტი მამულისმოყვარისათვის ქებაც და კრიტიკაც ერთ მიზანს ემსახურება: საზოგადო საქმეს უნდა წაადგეს, მაგალითი უნდა გახდეს სხვათათვის.

იმ შეხვედრებმა, რომელიც აკაკის პქონდა გორსა და თელავში, და იმ სიტყვამ, რომელიც სადილზე წარმოთქვა აკაკიმ თელავში, ილიას ყურადღება მიიპყრო. წერდა: „ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამის მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლო დროს კახეთში“...

მთელი წერილი, რომელსაც „შინაური მიმოხილვა“ ჰქვია (1882 წელი, სექტემბერი) ძირითადად - აკაკი წერეთლის 25 წლიანი ღვაწლის შეფასება - დაფასებას წარმოადგენს. უფრო სწორად, ილია აკაკის მაგალითზე ცდილობს დაასაბუთოს, როგორ უნდა დაფასება ქვეყნისა და ერისათვის გაწეულ ღვაწლს: „ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარი თვალით ინახულა. ვამბობთ ინახულა, იმიტომ რომ საქართველოს და ქართველის სიყვარულისგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი

მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული“.

გახსოვთ აკაკის აღტაცება, ზემოთ რომ მოვაყენები: „აი, რას ანბობს პოეტი! ჭავჭავაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი რას ნიშნავს კაცობა!...“ თითქოს ერთმანეთს გაეჯიბრნენო აღტაცებულ ქებაში. ილია: „ღმერთმა აღიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში. და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწაწყალსა, ჩვენს საყვარელს საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩინს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულისშვილობისათვის“.

გამოთქმა - „კომენტარი ზედმეტია“ - ასეთ შემთხვევაში გაჩნდა აღბათ...

თუმცა მათი ურთიერთობის თაობაზე იაკობის კომენტარი მოვისმინოთ: „აკაკისა და ილიას შორის პირადს მეგობრობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ იდეური ურთიერთობა და პატივისცემა კი დიდი იყო... წაიკითხეთ თელავში ნათქვამი სიტყვა აკაკისა, კამათი მისი ილიასთან „ვეჯზის ტყაოსნის“ შესახებ, ბოლოს მისი სიტყვა ილიას დაკრძალვის დღესა და თქვენ დიდს სიამოვნებას იგრძნობთ, როდესაც დარწმუნდებით, რომ აკაკი თითქმის უპირატესობას აძლევს ილიას და ეს მომხიბლავს შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენს ჩამომავლობაზე, როცა გაქრება ჭორები შესახებ აკაკის მიერ კერძოდ ნათქვამისა ილიაზე... სწორედ ამის გამო უნდა სწყენოდა აკაკის ფრაზა ბატონი ვ. წერეთლისა: „აკაკი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ლიტერატურაც არ იქნებოდაო“, რითაც იგი ძლიერ ამცირებდა ყველა ჩვენს დანარჩენ მეგობრებსა“.

თანამედროვენი თვალებში შეჰყურებენ იღლასა და
აკაკის; აინტერესებთ მათი ურთიერთდამოკიდებულება,
რას ფიქრობენ ისინი ერთმანეთზე... და საერთოდ, სა-
ზოგადოება ყურადღებას უპირველესად მათზე მიაპყ-
რობს...

დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა. დაკრძალვაზე აკაკიმ
ლექსი წაიკითხა - „სახსოვარი“. ივანე გომელაური მოი-
გონებს: „ლექსი შესდგებოდა სულ სამი კუპლეტისაგან.
ილიამ რომ მოისმინა, ჩაულაპარაკა თავის გვერდზე
მდგომ გიგო ყიფშიძეს - კარგი ლექსი იყოო...“

1875 წელია. სალიტერატურო და სამუსიკო საქველ-
მოქმედო საღამო იმართება. მონაწილეობენ დ. ყიფიანი, რ.
ერისთავი, პ. უმიკაშვილი, გ. ჩიქოვანი, ილია, აკაკი... გა-
ზეთი „დროება“ წერს: „ნამდვილი დამამშვენებელნი და
გამაცხოველებელნი ამ საღამოსი იყვნენ: აკაკი წერეთე-
ლი და ილია ჭავჭავაძე...“ ი. მესხიშვილს წერილს მის-
წერს გრ. ორბელიანი. ისიც ამასვე გახაზავს - ილიამ და
აკაკიმ დაამშვენესო საღამო.

საინტერესო გახსენება: „მამათა“ და „შვილთა“ ბრძო-
ლა ახალი მინელებულია: გრიგოლ ორბელიანი აღფრთო-
ვანებას ვერ მაღავს სალიტერატურო საღამოზე ილია-
სა და აკაკის წარმატებით. ვერ მაღავს კი არა, არ მა-
ღავს. ი. მეუნარგიას მოგონებიდან: გ. ორბელიანი აკაკის
ნაწერს ისე არ წაიკითხავდა, რომ გვერდზე კარანდაშით
არ მიეწერა: „ბარაქალა აკაკიავ“, „ინშალლაპ აკაკი“...
ამას გ. ორბელიანი ამბობს „ხარაბუზა გენერლის“ ავ-
ტორზე...

ესეც დიდებული გაგვეთილია, კლასიკოსთაგან ჩატა-
რებული.

რაფიელ ერისთავის სალიტერატურო ასპარეზზე
მოღვაწეობის 50 წელი აღნიშნეს ზეიმით. გაზეთი „კვა-

ლი“ ამის თაობაზე ვრცელ ანგარიშს მიაწვდის მკითხველს:

“შუაღლე ახლოვდებოდა, რომ იუბილარი ლანდოფი, მშვენიერი წყვილი თეთრი ცხენებით შებმულო, მომოძანდა და ქაშვაგაძე და აკაკი წერეთელი... შემოიყვანეს სცენაზე, საცა იყო მისთვის ტახტი გამართული; იქით-აქეთ მიუსხდნენ თ. ილია ჭავჭავაძე და თ. აკაკი წერეთელი... გაიმართა ნადიმი... ტოლუმბაშათ ამორჩეული იყო გ. ყარანგოზიშვილი, რომელმაც დალია ჯერ იუბილარის სადღეგრძელო, შემდეგ აკაკისა და ილიასი ერთად...”

ამ საიუბილეო საღამოს ნინო ჩხეიძე ასე გაიხსნებს: „ეს იყო პირველი იუბილე ქართველი მოღვაწისა. რაფიელ ერისთავი გამოიყვანეს სცენაზე დიდმა ილიამ და აკაკიმ.

სიკვდილამდე არ დამავიწყდება ამ სამი ბუმბერაზის სცენაზე გამოჩენა. შუაში იდგა აღელვებული რაფიელი, აქეთ-იქით უდგნენ ჩვენი ქვეყნის დედაბოძი ილია და აკაკი. დამსწრე საზოგადოების სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩვენი ლიტერატურის სამი დიდი წარმომადგენელი ერთად წარსდგა საქართველოს ყოველი კუთხის წარმოგზავნილთა წინაშე. მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა და ისე მიესალმა თავისი ერის მშვენებათ“.

რაფიელ ერისთავის იუბილე იყო...

აქ უთქვამს, ამ საღამოზე რუს პოეტს - ვასილ ველიჩკოს: „ვისურვებ, რომ აკაკის ილია უყვარდეს და ილიას აკაკიო“.

უცხოელი პოეტის ამგვარ სადღეგრძელოს აღუშფოთებია თავად აკაკი. და არა მარტო აკაკი, როგორც ჩანს: როცა გაზეთი „კვალი“ ამას აღნიშნავს და იქვე, ინფორმაციაში, აკაკის საპასხუო სიტყვასაც ბეჭდავს, უნდა

ვიფიქროთ, რომ ამ ფაქტით თანადგომა გამოხატეს აკაკის აზრისადმი: „ამის პასუხად აკაკიმ თქვა საყოველთავო გასაგონათ: „ამ ბატონმა რუსის მწერალმა უადგრძლოთ და უსაფუძვლოთ ინატრა, რომ ქართველ მოღვაწეთა შორის თანხმობა და სიყვარული იყოსო. ცხადია, რომ ეს ანბობს განაგონებით და მაშასადამე ჩვენშიაც ყოფილან ზოგიერთები ამავე აზრის. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს დიდი შემცდარი აზრია!... რაღა საჭიროა იმისი ნატვრა, რაც არსებობს და ხელში გვიჭირავს...“

ამას აკაკი ილიას თანდასწრებით ამბობს...

დიახ, ორი გენიოსის გვერდიგვერდ ცხოვრება ათას ფიქრს აღძრავდა მათ თანამედროვეებში. ათას ჭორსა და მართალს აძლევდა საფუძველს...

ილია ზურაბიშვილის მოგონებიდან: „ერთხელ, თუ არ ვცდები, ანტონ ფურცელაძეს უთქვამს ილიასათვის, - რა არის, კაცო, შენ სულ აკაკის ქებაში ხარ, ის კი ზეზეულად გთხრისო, ან რაღაც ამის მსგავსი. ამაზე ვითომ ილიას უპასუხნია - შეიძლება ორივენი ვცდებითო.

დარწმუნებული ვარ, ეს მახვილი სიტყვა აკაკიმდე რომ უმანქო სახით მისულიყო და მზითვად ბევრი ნართაული რამ არ მიჰყოლოდა, სულ სხვა გვარისა და სხვა მნიშვნელობისა, აკაკის ძალიან მოეწონებოდა, როგორც მოსწრებული თქმის ფასის მცოდნე ადამიანს. აკაკი სიცილით თვითვე გიამბობდათ, ილიას ჩემზე ასე უთქვამსო, ისე როგორც თავისი კუჭიკუჭა სიცილით სიამოვნებით გვიამბობდა ხოლმე ერთი ნათესავი ქალის უნებურ, მაგრამ მეტად ორლესულ პასუხებს.“

ილია ზურაბიშვილი იმასაც დასძენს, რომ აკაკი „ალბათ, საოხუნჯოს ილიაზე არაერთხელ იტყოდა რასმე. რასაკვირველია, არა მტრობით და ძულვით, არამედ იმიტომ, რომ როგორც ბედოვლათი კაცი ფულს, იგი ბზესავით აბნევდა თავის მახვილ სიტყვას...“ დიახ, თურმე

„იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ აკაკის დამცირებას ილია ჭავჭავაძის თვალში. მაგრამ ილია ჭკვიანი კაცი იყო და თავის დღეში სიამოუნებაზე არ იგრძნობდა აკაკის ცუდის თქმით“,- ასე იგონებს ივანე ელიაშვილი...

ეშმაკი მაინც არ ასვენებს მავანს... იმავე ივანე ელიაშვილის მოგონებიდან: „ერთმა ჩვენმა ლიტერატურულმა მოღვაწემ საქვეყნოდ გამოაცხადა: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ორივე დიდი პოეტები არიანო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ილია ჭავჭავაძე სანამ რასმე დასწერდეს, ემზადება, ამუშავებს თავის გონებაში მასალასო და როცა დამზადებს, მაშინ მიუჯდება მაგიდას და დასწერს დიდებულ რასმეო. აკაკი მოუფიქრებლად მიუჯდება მაგიდას და აგრეთვე დასწერს დიდებულ რასმეო“. აზრი და მიზანი ამგვარი დაპირისპირებისა არაა ნათელი არც მოგონების ავტორისთვის და არც ჩვენთვის... ისე, როგორც ჩანს, აკაკი გულდაწყვეტილი იყო მის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების გამო... ერთი პირადი წერილიც მინდა გავიხსენო, ილიასეული დიდი იუმორით დამშვენებული. ადრესატი იონა მეუნარგიაა. წერილი ასე იწყება: „დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს, ვსტირით და ვლრიალებთ უშენობის გამო, მაგრამ რა გაეწყობა?“ ამ ტონში, ამ განწყობით გრძელდება წერილი: „შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენთვის ზედ გამოჭრილია; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა, როგორც აბედს, და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ ინდ-ად გადააქციოს; მაშინ შენ სხვისი სადილების მაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე

და ტელეგრამით მაცნობე“.

აქაც აკაკი ახსოვს და საინტერესოდ...

* * *



სამწუხაროდ, ერთმანეთისადმი პირადი წერილები არ შემორჩენილა მრავლად. უფრო სწორად, ორი წერილი შემოვენახა იღლიასი, აკაკისადმი მიწერილი.

ერთი უთარილოა; მოკლე წერილი, სადარბაზო ბარათზე დაწერილი: „ღმერთსა ვთხოვ, აკაკი, შენს მშვიდობას და ჯანმრთელობას. იყავ კარგად და დღეგრძელ, შენის საყვარელის ქვეყნის სასახელოდ“.

მნელად დაიჯერებს კაცი, რომ ამ წერილის ავტორისა და ადრესატის ურთიერთობაზე რუს პოეტს სანატრელი ჰქონილა, უყვარდეთ ერთმანეთიო (გვახსოვს: ველიჩომ ასე ინატრა რ. ერისთავის იუბილეზე).

ეგ კიდევ არაფერი. 1886 წელს იღლია აკაკის წერილს მისწერს, სთხოვს მონაწილეობა მიიღოს გაზეთ „ივერიაში“... თხოვნაც არის და თხოვნაც. გვაოცებს იღლია სიყვარულის გამოხატვის ზომიერებითა და სიღრმით; აკაკის პიროვნებისადმი მოკრძალებითა და მისი ღვაწლის პატივისცემით... რაღა გავაგრძელო, ორიოდ მცირე ამონარიდი ჩავიკითხოთ:

„ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომლებიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაძულა, ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებული წერილი მომერთმია და მეთხოვა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა...

...მაინც და მაინც გთხოვთ - დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა

შორის მეც ერთი გულწრფელი მაღიდებელი დამფასებული შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

გთხოვთ იმასაც მიაქციოთ ყურადღება, „შენობით“ მი-მართვაში რამდენი სითბო, უშუალობა, ახლობლობაა. ყველას არ მიმართავს ასე ილია. სხვებს უმეტესად „თქვენობით“ მიმართავს.

გაზეთის მომავალ თანამშრომლებს - ალექსანდრე ყაზბეგს, სოფრომ მგალობლივშილს, ნიკო ლომოურს, დავით კარიჭაშვილს და სხვებს - კოლექტიური წერილი მისწერა, სტამბაში ნაბეჭდი ტექსტი...

აქ არ შეიძლება არ გაგვაჩსენდეს ერთი ფაქტიც: უფრო ადრე გაზეთი „დროება“ მკითხველს ამცნობს, რომ აკაკი წერეთელი აპირებს სახალხო გაზეთის გამოცემას და რომ ამ გაზეთში ილია ჭავჭავაძე ითანამშრომლებსო... - აკაკის თავისი გაზეთისათვის აუცილებლად მიაჩნია მასში ილიას მონაწილეობა; ილია თავისი გაზეთისათვის აუცილებლად თვლის მასში აკაკის მონაწილეობას...

იციან ერთმანეთის ფასი...

ილია ზურაბივშილის თქმისა არ იყოს, ჩვენ არ ვიცით, ზეპირად ვინ რა თქვა ვისზე. დაზუსტებით ვიცით, რასაც წერენ, ასგზის აწონილ-გაზომილია, მოფიქრებულია... იციან, რომ ამას მოითხოვს საზოგადო საქმის ინტერესი, მკითხველის პატივისცემა, თანამოკალმის ღირსების შეფასება-დაფასება და პირადი პატივმოყვარეობა - თავმოყვარეობა... გვასწავლიან, რომ ყოველივე ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. აქ, ამ აზრის საბუთად ერთ ამონარიდს ჩავიკითხავ ალ. ფრონელის (ყიფშიძის) ნამბობიდან:

„ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო იმიტომ, რომ პასუხს ახლავე მოითხოვდა. წერილი მრისხანე იყო... ილია

თავის კაბინეტში შევიდა პასუხის დასაწერად. გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოლიდიდა... ბოლოს როგორც იყო, გამოვიდა და წაგვიგითხსა, რაც დაეწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი-ექვსი... მეტისმეტი თავაზიანი და თანაც მტკიცე იყო“...

აღ. ფრონელი განაგრძობს თხრობას - როცა გაკვირვება გამოვთქვით ამდენი დახარჯული დროის გამოო, „ილიამ გვიპასუხა: იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამე, რასაც ის მოიწერება ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხვედრი გახდესო“...

ესეც ალბათ შეუდარებელი მაგალითია ერის კულტურისა და ისტორიის პატივისცემისა; ყოველგვარი პირადული უნდა დათრგუნოს საქვეყნო საქმეზე ფიქრმა... ეს პრინციპი უდევს საფუძვლად ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულებას...

ამიტომ ზომავს და წონის ყველა სიტყვას ილია, როცა აკაკის შესახებ საუბრობს; ამიტომ ეძებს და არჩევს აკაკიც ილიას შესაფერის სიტყვა-გამოთქმებს.

ურთიერთპატივისცემა, დაფასება და ავტორიტეტის შეფასება აკაკი წერეთლის ამ ნაამბობიდანაც ჩანს:

„ერთხელ განსვენებული ილია ჭავჭავაძე შემოვიდა ჩემთან და მითხრა: დავიღუპეთო!... თეატრი ხელიდან გამოვაცალეს და ასე კარგად დაწყებული საქმე უნდა შევაჩეროთ ამ სეზონში და ეს ხომ დაღუპვააო. მეც ჩემი გულდაწყვეტა გამოუცხადე. მერე მომიბრუნდა და მითხრა, მოდი, ერთი შენ მოჰკიდე ამ საქმეს ხელი! იმერელი ხარ და ეგებ მოახერხო რამეო?

- მე მაგვარ საქმეს. ვერ ვიკისრებ!

- შენ მხოლოდ მიიღე შენს თავზედ და სხვებ დიდათ არ გაგრვით. რაფიელ ერისთავს თანაშემწედ მოგცემთ, იონა მეუნარგიას სეკრეტრად და ისინი წაიყვანენ

საქმეს! შენ მხოლოდ იმეთაურე!...

- კეთილი! მაგრამ ეგ უფრო მოუხერხებლად მიმაჩნია. ქართველი ერთი თუ ადგია საქმეს, მოერევა, გააკუთხებს მაგრამ თუ სხვებიც ამოუდგნენ გვერდში, ერთმანეთს გაალაყებენ და დაიღუპება მათი საქმე. ჩემი შეხედულებით ერთი ყველა - გმირია და ორი - კი რა მოგახსენოთ.

- ეგ თქვენში თუა, იმერეთში, თვარა ჩვენში არა!... მაშ, რადგანაც მაგრე ჰელიქრობ, შენ იყისრე მარტო...“

ილიას აქვს ვრცელი პოეტური ნაწარმოები „ორ-ზმიანი საახალწლო ოპერეტი“ - ერთგვარი შეხუმრება თანამედროვეებთან. აკაკის შესახებ „აკაკისებურად“ წერს:

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექმნა ჭალარა...
ტყუილს ვინ სჩივის? მართალიც
ჩემი არ სჯერათ, აღარა...“

(გაგახსენდებათ, რა თქმა უნდა, აკაკის „ჭალარა“). თავისი თავიც ჰყავს გამოყვანილი ამ ოპერეტში და ილია ამავე ჰანგზე ათქმევინებს ილია ჭავჭავაძეს:

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ჭალარა,
ზოილი აბუჩად მიგდებს,
ხონელი მწყალობს აღარა“...

სხვათა მიმართ სხვაგვარად წერს... ეს ილიას მიერ აღიარებაა აკაკისი, მისი პოეტური ოსტატობისა და სურვილი აკაკის გვერდით დგომისა...

* * *

ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ვნახეთ, საზოგადო ინტერესებით ნაკარნაზევი ურთიერთობაა...

საინტერესოა უცხოელის თვალით დანახული იღვა
და აკაკი. არტურ ლაისტი წერს: „მართლა იყვნენ ისინი
რაყიფნი? დიახ, ეს ასე იყო, აკაკი და ილია ახლო მე-
გობრები არ ყოფილან, მაგრამ წინააღმდეგობის მიზეზებს
აშკარად როდი ამჟღავნებდნენ. ამიტომ არიან ორთავენი
პატივსაცემნი. ორთავეს კარგად ვიცნობდი და ვიცი,
რომ ისინი მაღავდნენ თავიანთ გრძნობებს. უნდა ითქვას,
ორივე, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსები, ისე
ეპყრობოდნენ ერთმანეთს“.

როცა ერთმანეთს მიმართავენ, როცა ერთმანეთზე
საუბრობენ, უპირველესად იმას უწევენ ანგარიშს,
რისთვისაც საუბრობენ და ვისთვისაც საუბრობენ.

თქვა აკაკიმ ერთგან და გავიმეოროთ უნდა: არ იყო
ეს დამოკიდებულება ბრმა მორჩილება ერთისა მეორის
ავტორიტეტის წინაშე. ერის წყლულის დაამების სურვი-
ლი ამეგობრებთ, აახლოებთ, ერთ უღელქვეშ დააყენებს
მათ...

აკაკის აქვს ჩანაწერი, სადაც აშკარაა პატივისცემა
ილიასადმი, თუმცა ცდილობს, შეინარჩუნოს პიროვნული
სახე და ვინმეს თვალში ილიას მიმბაძველობა არ გამოი-
ჩინოს: „ნასადილევს ფოტოგრაფია ჩემი სახლი გადაიღო
და, ვინც მოისურვა, სტუმრებიც. მაგრამ თვით ამ ფო-
ტოგრაფის შეუძლიან დაამოწმოს, რომ მე მისი მისვლა
არ მცოდნია და შემთხვევით იყო ჩემსა მოსული. დიდ-
ხანს არ ვაძლევდი ნებას, რომ იმ დღეს გადაეღო ჩემი
სახლი და კარმიდამო, მაგრამ სხვებმა რომ მოინდომეს,
ძალა დამატანეს და მეც ვეღარ გავუტეხე მათ ხათრი.
მაშინ ბევრს უკვირდა ჩემი ჯიუტობა, მაგრამ არ გამიმ-
ხელია მიზეზი და ახლა კი ვიტყვი: მე ვიცი გამოცდი-
ლებით, თუ რა სიფრთხილე მმართებს ყოველ ბიჯის გა-
დადგმაზე, რომ ჩემზე შემოსულმა მწევარ-მაძებრებმა ყე-
ფა არ დამიწყონ!.. გამიგონია და ვიცი, რომ ჩვენი სახე-

ლოვანი თავ. ილია ჭავჭავაძე, სხვათა შორის, ყოველ წლობით, ოც მკათათვეს იხდის დღესასწაულს!... ყოველთვის მიღიან ხოლმე ფოტოგრაფები, რომ მისის სტუმრებიანათ გადაიღონ... ეს რომ ვიცოდი მე, ვიფიქრე: მეც თუ ახლა ფოტოგრაფს დავრთე ნება, ის მყეფარი დასი, რომელიც აგრ ორმოცი წელიწადია შორიდან მიღრენს და საკბენად არა მზოგავს, ამ უბრალო შემთხვევას დაიხვევს ხელზე და ღრეჭით გაავრცელებს ხმას ხალხში, რომ მეც ვითომ ილიას მიბაძვით მიმეყვანის იმ დღეს ფტოგრაფი!... ეს მეუკადრისებოდა მე და მიტომაც არ მინდოდა ნებართვის მიცემა“.

* * *

არის აზრთა სხვაობაც; შეუთანხმებლობაც; დაგაც... რა იყო საგანი მათი დავისა, კამათისა, პაექრობისა? არ იყო ეს დავა-კამათი-პაექრობა პირადული; საზოგადო ინტერესი განსაზღვრავდა და წარმართავდა მას... და ეს დავა-კამათი-პაექრობა არასოდეს ხდებოდა პიროვნული ინტერესების შელახვის ხარჯზე - რადგან იცოდნენ, რომ რომელიმე მათგანის პიროვნული ღირსების შელახვა საზოგადო ინტერესის დაზარალებაა; ღირსებაშელახული ერისათვისაა საზიანო...

ამიტომ პრინციპულ საკითხებზე ერთმანეთს არას უთმობენ... ასე იქმნებოდა სწორუპოვარი მაგალითები ჭეშმარიტი მამულიშვილობისა...

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ზოგი ფაქტი აკაკისა და ილიას ურთიერთდამოკიდებულებისა, თვალი მივადევნოთ მათ ურთიერთობებს... კიდევ ერთი გაკვეთილი ჩავიტაროთ მამულისმოყვარეობისა.

1899 წელს „მოამბეში“ კიტა აბაშიძის სტატია დაიბეჭდა „თავადი აკაკი წერეთელი და ქუთაისის ბანკი“, „ივერიაშ“, როგორც აკაკი იტყვის, „ობოლ-მარგალიტე-

ბად სანიმუშო ადგილები ამოჰკრიბა მკითხველების
მისახარებლად“. განაწყენდა აკაკი ამ სტატიაზე „ვიდეო
უფრო იმან გაანაწყენა, რომ „ივერიაშ“ გადაჭრება... და
წერილს მისწერს „ივერიის“ რედაქტორს; „აკაკის
კრებულში“ დაბეჭდავს. აკაკის განაწყენება სათაურიდან-
ვე გამოკრთის - მეტისმეტად ოუიციალურია: „ბატონი
„ივერიის“ რედაქტორო, თავადო ილია გრიგოლის ძევ!“
ჩვენ იმის განსჯაში არ შევალთ, ამ დავაში ვინ იყო
მართალი. გვაინტერესებს განაწყენებული აკაკის დამოკი-
დებულება ილიასთან. წერილი ასე იწყება: „იმდენი
იცოცხლეთ, რამდენი თქვენი შესახები წერილი „კრებუ-
ლის“ რედაქციას მოსვლოდეს და მოდიოდეს დღესაც,
მაგრამ ჩვენ კი არ გამოგვქონდეს საქვეყნოდ!... არ ვბეჭ-
დავთ, რადგანაც ზოგი მათგანი უმნიშვნელოა და ზოგიც
ისე წვრილმანი, რომ იმათ გამო თქვენისთანა კაცის
უზრდელად შეხება და უკადრისად მოხსენება უმართებუ-
ლობად მიგვაჩნია. თქვენი რედაქცია კი, თქვენო
ბრწყინვალებავ, უინულილითა და კელაპტრებით ეძებს
ამგვარ რამეებს ჩემ შესახებ...“

უკმაყოფილება, განაწყენება, არაობიექტურობა (მისი
აზრით), არ აკარგინებს პატივისცემის შეგრძნებას
რედაქტორის მიმართ.

გახაზავს და მიანიშნებს იმასაც, რომ განაწყენება
არაა გამოწვეული პიროვნული პატივმოყვარეობით;
თვლის, რომ ამგვარი წერილების ბეჭდვა საზოგადო
საქმეს ავად წაადგება, საქვეყნო საქმე წააგებს:
„...დღესაც კიდევ ავიტანდი, რომ მარტო პირადად მე
მეხებოდეს და არა საზოგადოსაც, რომლის წაყრუება
აღარ შეგვიძლია. გთხოვთ, რომ სხვანაირათ არ გამიგოთ
ეს ჩემი ზემო-მოყვანილი სიტყვები!... მე ამით იმას კი არ
მოგახსენებთ, თუ რადგანაც მე თქვენს შესახებ არასა
ვბეჭდავ ჩემს უურნალში, ნუღარც თქვენ დაბეჭდავთ

ხოლმე ჩემ შესახებ თქვენს გაზეთში-მეთქი!... სრულია-
დაც არა!... პირიქით, დიდათაც დამავალებთ, თუ არ დამი-
ვიწყებთ და გამოაქვეყნებთ ხოლმე, რაღანაც მე ჩემს სი-
ცოცხლეში მისთანა არა ჩამიდენია რა - არც საზოგა-
დოთ და არც კერძოდ, რომ მისი გამოაშკარავება
მერცხვინებოდეს“.

დამოკიდებულება იმ ფაქტთან, რის გამოც აკრიტიკე-
ბენ, პათოსი და პოზიცია აკაკისა ნათელია... უკომპრომი-
სოა მსჯელობის დროს, მაგრამ არ გამორჩება მხედველო-
ბიდან, რომ ილიას ავტორიტეტს ცუდ-უბრალოდ არ შეე-
ხოს. წერილს ასე დაასურლებს: „ვერ დავიჯერებ, რომ
ეს სტატია, სადაც ამდენი უმართებულობაა, თქვენ წა-
კითხული გქონდეთ დაბეჭდვამდე და თქვენის ნებართვით
ყოფილიყოს „ივერიაში“ გადაბეჭდილი? ყოველ შემთხვე-
ვაში ვუცდი თქვენს პასუხს, თქვენო ბრწყინვალებავ, ბა-
ტონო რედაქტორო“... დიახ, პოლემიკური კულტურა
XIX საუკუნისა სამაგალითო და მიუღწეველი ჩანს
დღევანდელობისათვის...

ილიას „ივერიას“ სხვა დროსაც გაუნაწყენებია აკაკი.
აკაკის მიერ თარგმნილი „ხანის ვეზირის“ (მ.ფ. ახუნდო-
ვის პიესა) ავტორობა მთარგმნელს მიაწერეს და გააკრი-
ტიკეს მწვავედ. განაწყენდა აკაკი, მაგრამ რედაქტორის
მიმართ ზომიერების გრძნობა არ დაუკარგავს. ამ
შემთხვევის გამო ილია ირონიით წერდა: „საკვირველი
კაცია ჩვენი პატიცემული თ. აკაკი წერეთელი. იტყვი
რასმე იმაზე, ჰჯავრობს და არ იტყვი, ამაზედაც სწყრე-
ბაო“...

ერთმანეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება
სხვა შემთხვევაშიც გამოუვლენიათ. იონა მეუნარგია მოი-
გონებს, რომ აკაკიმ ენობრივად გაუსწორა ილიას პოემა
(რომელი, ამაზე არას ამბობს)... მაგრამ პოლემიკური
კულტურის კლასიკურ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ ილია-

სა და აკაკის პაექრობა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე. ვიმეორებთ, საკითხის არსი არც ამჯერად გვაინტერესებს, არამედ, როგორია დამოკიდებულება მოპატებულისადისკუსიო საკითხისადმი, ერთმანეთისადმი.

მოკლედ, კიდევ ერთი გაკვეთილი ჩავიტაროთ კლასიკოსთაგან პოლემიკური კულტურის თემაზე.

* * *

გავიხსენოთ ილიასა და აკაკის პაექრობა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე; უაღრესად კოლორიტულად წარმოჩნდება როგორც ერთი, ისე - მეორე.

ურთიერთპატივისცემა, ანგარიშის გაწევა, დაფასება.. მაგრამ ჭეშმარიტებისადმი უსაზღვრო ერთგულება; საზოგადო ინტერესებით ნაკარნახევი დაუნდობლობა.

მწარეა კრიტიკა და ბრალდება ილიასი აკაკის მიმართ:

„ეს მეტისმეტი დაქვეითება პეგასზე მჯდომ ცხენოსნისა“...

„ეს ამისთანა გზა კვლევისა სად არ მიიყვანს კაცსა?!..

„ჩვენ ვერ მიგვიგნია, რისთვის მოჰსურვებია ბ-ნს აკაკის რუსთაველის ასე დაქვეითება“.

„რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჯუჯრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცადკაცობას თვალი გადაევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“...

„ეს ნაწილი ლექციისა მეტისმეტად უგემური რამ გამოვიდა და მსმენელთათვის მეტად მოსაწყენი იყო“...

„ჩვენის ფიქრით, შემცდარი დედააზრი წარიმდლვარა ბ-მა ლექტორმა წინ...“

დიახ, ის, ვინც რუსთაველი დააქვეითა, მცდარი გზა

აირჩია კვლევისა, პაწია ჭუჭრუტანიდან სინჯავს რუსთა-
ველის პოემას, უგემურ ლექციას სთავაზობს მკითხველს, მცდარ
დედააზრზე დამყარებულს - აკაკი წერეთელია, ილია
ილიას აზრით.

მიუხედავად ამგვარი შეფასებისა, ყურადღება მივაქ-
ციოთ ილიას დამოკიდებულებას აკაკის პიროვნებისადმი
- როგორ მიმართავს, როგორ მოიხსენიებს:

„ბ-მა აკაკი წერეთელმა წაიკითხა საჯარო ლექცია...“

„ბ-ნ აკაკის აზრსა...“

„პატივცემულ ლექტორს კვალდაკვალ მივყვეთ...“

„ბ-ნი ლექტორი თავის რთულს და მძიმე საქმეს...“

არც ერთხელ, ფაქტობრივ, აკაკი წერეთელი ეპითე-
ტის გარეშე არაა მოხსენიებული; მით უმეტეს, მხოლოდ
გვარით. ერთგანაა მხოლოდ ეპითეტის გარეშე ლექტო-
რად მოხსენიებული, ისიც დადებით კონტექსტში:
„ლექტორმა მწარე მართალი ამჯობინა ტკბილსა ტყუილ-
სა...“

უფრო მეტიც: არათუ აუგად მოხსენიება, უპატივცე-
მულო დამოკიდებულება პიროვნებისადმი, არამედ აკაკის
დამსახურების, ღვაწლისა და ტალანტის ილიასეული
შეფასებაც უშურველად გვაქვს ამ წერილში:

„ეს აზრი რომ რუსებსაც აცოდინოს კაცმა - რა ღირ-
სებისაა ის სულიერი განძი, რომელიც სამკვიდროდ და
სასახელოდ უანდერძა ჩვენმა წარსულმა ჩვენს ერსა, -
მეტად მოსაწონი აზრია და დიდის თანაგრძნობის და
მაღლობის ღირსიცა ჩვენ მიერ...“

„ამიტომაც მეტის-მეტად ბედნიერ აზრად ვსახავთ ბ-
ნ აკაკის აზრსა...“

„ამ აკიდოზე ბევრი მართალი მარგალიტები აასხა
ლექტორმა გონებამახვილობისა, ღამაზის შედარებებისა,
როგორც აკაკის ბედნიერის ნიჭის ამბავი მოგეხსენე-
ბათ...“

„ჩვენის ფიქრით, ამ საზომით, ამ საწყაოთ უნდა შესდგომოდა ბ-ნი ლექტორი თავის რთულს და მძიმე საქმეს...“

ფაქტია: პატივისცემა პიროვნებისადმი, - შეუგუშებლობა მიუღებელ აზრთან. სხვაგვარად: პიროვნულმა პატივისცემამ, პიროვნებისადმი კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ საზოგადო ინტერესი არ უნდა დააზარალოს; ჭეშმარიტებისათვის არ უნდა გვაღალატებინოს.

ილიას ეს წერილიც ერთგვარი გაკვეთილია, მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს პიროვნული დამოკიდებულება საზოგადო ინტერესით ნაკარნახევი.

გავიხსენოთ პრინციპი ილიასი, საფუძველი კრიტიკული განწყობილებისა, თავის პირველ წერილში როგოდოსცა: „იქნება თავად ერისთავმა გვიწყინოს ეს პირმოუფერებელი სტატია. არა გვგონია. ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაში, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის-მოყვარე...“

დიახ, მამულისმოყვარეობა, მწარე სიმართლის თქმატკბილი ტყუილის ნაცვლად; მოყვრისადმი პირში ძრახვა...

„სხვისა არა ვიცით და, - იმ პირველ წერილში განაცხადის სახით წარმოგვიდგენს ილია თავის აზრს, - ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ შშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“. მამული, ენა, სარწმუნოება - ილიასთვის სამებაა და ერთარსება; მამულისმოყვარე - ამ სამების ერთგული და უანგარო მსახური. მამულისმოყვარეობას დაფასება უნდა;

მამულისმოყვარის დამცირება ეროვნული ინტერესის შე-
ლახვაა; აი, ეს არ უნდა ეპატიოს ვინმეს, თვით აცაკებული
საც კი, - ესაა იღიას აზრი:

„ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახე-
ლად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და
დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობო“, - ასე დაასრუ-
ლებს იღია წერილს და „მოგვიტევონ“ უპირველესად
აკაკის მიემართება. და მიემართება უმთავრესად მყითხ-
ველს, რათა კრიტიკა აკაკის აზრისა აკაკის პიროვნების
აუგად არ მიიჩნიონ; რომ ამით აკაკის დამსახურება ერის
წინაშე, მამულისმოყვარის ღვაწლი მამულის წინაშე არ
დაამციროს; გავიხსენოთ: ცოტა ადრე (ეს კრიტიკული
წერილი „ვეფხისტყაოსნის“ გამო იღიამ 1887 წელს
გამოაქვეყნა) აუცილებლად მიაჩნდა: „...პატივისცემა
ერისათვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ მადლის გადახ-
და მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია,
შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის
მამულსა და თანამემამულესა...“ აკაკის შესახებაა საუბა-
რი!...

ერთგან იღია თავის მომავალ კრიტიკოსებს წინასწა-
რი მადლობით მიმართავდა: „თუ ღმერთი გაგვიწყრა და
უხეიროდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და
მადლობით მივიღებთო“. ამ შეგნებით აკრიტიკებს იღია
სხვასაც... და კერძოდ, აკაკის.

ესეც გაკვეთილია, მაგალითი საშვილიშვილო...

მიზანი და განწყობა იღიასი ნათელია.

როგორ აღიქვა და მიიღო ეს კრიტიკა აკაკიმ?

გრიგოლ რობაქიძე ასეთ მოგონებას გვთავაზობს:

„მახსოვს: ჩამოვარდა ლაპარაკი რუსთაველზე.

- ჩემი წერილი ხომ წაგიკითხავს რუსთველზე? (აკა-
კი ამბობდა - „რუსთველი“, ყოველთვის).

მეკითხება იგი.

- როგორ არა?!
ვაძლევ პასუხს. პაუზა.
- ალბათ ილიას გარჩევაც გექნება წაკითხული, ჩემი
წერილის გარჩევა!
- წაკითხული მაქვს.
პაუზა.
- მერე იცი რა? მე ამ პასუხის პასუხი დავწერე.
ილიას აზრები დავარღვიე.
- სადაა ეს პასუხი?
- წარმოიდგინე: ილიამ გაიგო ეს, მოვიდა სტამბაში,
შეისყიდა მთელი გამოცემა - ილია მდიდარი იყო - და
ცეცხლს მისცა.

მე გაშტერებით ვუცქეროდი (აბა, „გაშტერების“ გარ-
და სხვა რა არგუმენტი „მოგივიდოდა“ ამ წამს?).

- ეს კიდევ არაფერი.

ეს შეთხზული ამბავი მან სიტყვა-სიტყვით საჩერე-
ში გაიმეორა. იქაც გაშტერებული ვუცქეროდი“.

იცის გ. რობაქიძემ, რომ უცნაურ მოგონებას გვთავა-
ზობს და კომენტარიც ისეთი გაუკეთა, ილიას, აკაკის და
თვით გ. რობაქიძეს რომ ეკადრებოდა:

„ეს ამბავი ორივეჯერ ისე მოჰყვა, რომ არც ერთხელ
არც ერთი ხაზი ღვარძლისა მის სახეზე არ შემინიშნავს.
ეს უფრო მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო: ისე „გათამა-
შებული“, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონაც სჯეროდა“.

იონა მეუნარგიას მოგონებაც მოვიშველიოთ: როგორც
ჰერინე, აკაკიც მახვილ სიტყვაობისათვის ხანდახან ჭეშმა-
რიტებასაც ღალატობს.

თვითონ ამბობს „ტყუილასა, ბზუილასა...“ ტყუილას
ხმა რომ გაუგდეს აკაკის, იყო დრო, მართალსაც არ
უჯერებდნენ.

განსვენებულმა თეიმურაზ ლეჟავამ არ დაუჯერა რა-
ღაც იყო აკაკის, დანაძლევდნენ და, რომ აკაკი მართალი

გამოდგა, ლეუავა ნახევარი საათით დააჩოქეს ნიკოლაძის
სახლში.

თვითონ თითქოს დასცინისო თავის თავს.

„თამარ ცბიერი“ რომ დაიბეჭდა, აკაკიმ ერთი ცალი
მომცა სახსოვრად. რომ დააწერა წიგნზე - „სახსოვრად
იონა მეუნარგიას აკაკისაგან“, მას უნდოდა რიცხვოც მიე-
წერა, მაგრამ რომ მოაგონდა პირველი აპრილი იყო, კა-
ლამი ხელიდამ გააგდო - „არ დამიჯერებენო...“

ამ თემაზე საუბარს გ. რობაქიძე „ფანტაზია თუ
ფანტასტიკას“ დაარქმევს. სათაურშივე ჩანს შეფასება
აკაკის ამგვარი ქცევისა... თუმცა მოვუსმინოთ:

„აკაკის დიდი ფანტაზია პქონდა. თანვე: ტყუილი
იცოდა დიდი. რა საჭიროა ამის დაფარვა? ხოლო მის
„ტყუილს“ რაღაც სხვა იერი პქონდა: „მოტყუება“ კი არ
უნდოდა (რაიმე პირადი მიზნით). „ტყუოდა“ ისე, თითქო
პსურდა ესიამოვნებია მობაასე. უსმენდი აკაკის და
გიკვირდა მისი „ფანტაზია“. საკვირველი კიდევ ის უფ-
რო იყო, რომ თვითონვე სჯეროდა, რასაც ლაპარაკობდა.
... ეს უფრო მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო“...

ასე რომ, ილიამ გაზეთის ნომერი შეიძინა და
ცეცხლს მისცაო, „აკაკური“ ფანტაზია ჩანს (ტერმინი-
სათვის: აკაკი თავად წერს ერთგან - „აკაკურად ვწე-
რო“).

მაგრამ სათავეს საიდან იღებს? ჩემთვის გამოცანაა ის,
რასაც აკაკი საპასუხო წერილში წერს:

„ჩემი საუბარი რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსან-
ზე“ ჯერ არ დაბეჭდილა, და თუ რატომ არა, ეს ბატონ-
მა ჭავჭავაძემ ყველაზე უკეთ იცის...“ რა იცოდა ბატონ-
მა ილია ჭავჭავაძემ? მაგრამ ამას არა აქვს არსებითი
მნიშვნელობა. მთავარი ჩვენთვის ისაა, როგორ შეხვდა,
როგორ აღიქვა ეს კრიტიკა აკაკიმ.

აკაკი პასუხს წერს; ცალკე წიგნაკად იბეჭდება იმავე

1887 წელს. წერილს ასე დაასრულებს: „რაცა ვთქვა - გულწრფელათ იყო გამოთქმული. და ახლა დიდი სიამოვნებითა და ნატვრით ველი იმ დროს, როდესაც იმავ საგანზე ბატ. ჭავჭავაძე წარმოთქვამს თავის საკუთარ აზრს. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე დიდი სიამოვნებით ჩემი საკუთარი ყურით მოვისმენ მის საუბარს და შემდეგაც დიდი დაკვირვებისა და მოფიქრების შემდეგ დავაფასებ შეძლებისდაგვარად და ცხრა თავიან დევივით ისრებს არ გავტყორცნი ძლევამოსილი უეჭველობით. ამას მოითხოვს, როგორც რუსთაველის დიდი ვინმეობა და ბატ. ჭავჭავაძის ღირსება, ისე ჩემი საკუთარი თავის პატივისცემა“. მივაქციოთ ყურადღება: პოლემიკისათვის, დისკუსიისათვის აკაკი სამ პირობას წამოაყენებს:

1. საპოლემიკო, სადისკუსიო საგნის, თემის დირებულება („რუსთველის დიდი ვინმეობა“).

2. მოპარეობის ღირსება, უნდა ღირდეს მასთან კამათი (“ბატონ ჭავჭავაძის ღირსება“).

3. საკუთარი თავის ღირსებისა და პასუხისმგებლობის შეგრძნება („საკუთარი თავის პატივისცემა“).

საპასუხო წერილი აკაკი წერეთლისა ამ პრინციპების მიხედვით აიგო. ვისაც აკაკის პოლემიკური წერილებისათვის თვალი გადაუვლია, დამეთანხმება, რომ საკმაოდ მკაცრი, დაუნდობელი, ენამწარეა აკაკი - როგორც პოლემიკისი. ილიას მიმართ ტონი სხვაგვარია, უღრმესი პიროვნული პატივისცემით განმსჭვალული. რამდენიმე ამონარიდი ამის დასტურად:

„ბატ. ჭავჭავაძის სიტყვას, როგორც საგულისხმოსა და ყურადსალებს, ცალყბათ მიგებება არ შეჰქორის და ჩვენც ჩვენი შეძლებისა და გვარათ სიმდაბლით, გულწრფელათ მივეგებებით“.

„ბატონი ილია ჭავჭავაძე გამობრძანდა მოძღვრათ...“

„ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ ბატ. ჭავჭავაძეზე, მაგრამ

რა ვქნა, რომ არ შემიძლია შევიწამო ის, რაც არ მითქვამს...“

„თავის წერილებს ბატ. ჭავჭავაძე ისე ათავებს, როგორც შეშვენის სახელგანთქმულ კაცს...“

ასეთი შთაბეჭდილებაც რჩება: მახვილი და „მწარე“ სიტყვის დიდოსტატს, აკაკის, ზოგჯერ თითქოს კალამი გაექცევა ჩვეულებისამებრ, მაგრამ ახსენდება, რომ ილიასთან აქვს საქმე და დროზე დაიოკებს სურვილს... მაგრამ სათქმელს მაინც ამბობს, ოღონდ ქარაგმულად, თითქოს მკითხველს ათქმევინებს, სხვას ათქმევინებს და არა აკაკი წერეთელს!..

ამონარიდი აკაკის საპასუხო წერილიდან: „ხანდახან არათუ ფრაზებისა და სიტყვის, ერთი მარცვლის ჩამატებით ან გამოკლებითაც შეიძლება აზრი შესცვალოს კაცმა. აი, თუ გინდა ეს მაგალითი ავიღოთ: მე ვამბობ: „ბატონი ჭავჭავაძე არ ყოფილა ლექციაზე და რაც წარმოსთქვა მის შესახებ, გულწრფელობით მოსვლია და არა სხვაგვარ რამ კრიმანჭულობით და სხ. ეს რომ ვინმებ შესცვალოს ამგვარით: „ბატ. ჭავჭავაძე არ ყოფილა ლექციაზე და რაც წარმოუთქვამს მის შესახებ, გულწრფელობით არ მოსვლია, გარნა სხვაგვარკრიმანჭულობით და სხ. ეს ჩემი ბრალი იქნება?..“

საინტერესო ფაქტია: აკაკის წერილი არ დაბეჭდილა; ილიას ლექცია არ მოუსმენია; სხვის ნაამბობს, ინფორმაციას დაეყრდნო და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აკაკის აზრები. საპასუხო წერილში აკაკი მისამართებს დააზუსტებს, ამბის მიმტანს დააკისრებს უპირველეს პასუხისგებას:

„საზოგადოთ ჩემს ლექციებზე მე არ ვეგულებოდი იმ ზოგიერთებს, რომლებისთვისაც საჭირო გახდა განმეორებით უბნობა, მაგრამ ახლა კი ჭავჭავაძის წერილებით ჩანს, რომ თურმე ჩიჩინიც ყოფილა საჭირო! ამას მე ვერ

შევჭიადრებ საზოგადოთ მსმენელებს და მით უფრო ჭავჭავაძეს... „საჩიჩინო“ მიმაჩნია მხოლოთ ის მცირე გუნდი ზოგიერთებისა, რომელთაც ჩემი სიტყვები თავის სებურათ გაიგო და რომლის აყოლითაც ბატ. ილია ჭავჭავაძემ სამსჯავროზე გადმოდგა ფეხი ბანის სათქმე-ლად“.

ამას აკაკი წერილის დასაწყისში ამბობს. ამის შემდეგ თითქოს მეტი თავისუფლება შეიძინაო, მეტი პილპილი გაურია სათქმელს, მწარე და დაუნდობელიც ხდება:

„ნამეტანი გამჭრიახობა იგივე გულთამხილაობაა, მაგრამ გულთამხილავმა მხოლოდ ის უნდა ამოიკითხოს. სხვის გულში, რაც იქ წერია და არა ის, რაც თვითონ ურს, რომ ჩაწეროს...“

„ეს კილო ბატ. ჭავჭავაძესაც კარგად შეუთვისებია, რომ მით უფრო ხელმარჯვეთ გვტყორცნოს ისარი, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ ისრათ ნამდვილი საბუთი უნდა იხმაროს და არა მისგანვე შეწამებული!...“

„თუ მე მართლა ვერ მოვახერხე ჩემი აზრის ნათლათ და გასაგებათ გამოთქმა და საბუთებიც ხეირიანი ვერ მოვიტანე, მაშინ ვერ უნდა ის ჩემი საბუთები გაერჩია, დაემტკიცებინა მათი უვარვისობა ბატ. ჭავჭავაძეს და მერე თავის საკუთარი საბუთებითა და უფრო საგულისხმო ლოლიკით გამოელაშქრა“.

რასაც აკაკი ამბობს, ანბანური ჭეშმარიტებაა პოლე-მიკისა. მწარე საყვედურს ვერ ასცდა ილია; ვერ უშველა მისამართების დაზუსტებამ. გრძნობს ამას, როგორც ჩანს აკაკი. ეხამუშება კიდეც ამგვარი საყვედურები ილიას მიმართ და თვითონვე ცდილობს, ილიას ამგვარ ქცევას ახსნა მოუძებნოს, გამართლება:

„აქ რასაც ბრძანებს ბატ. ჭავჭავაძე, ყველა კარგია, მაგრამ საიდამ წარმოუდგენია ის, რომ ვითომ ჩემი აზრი და ჩემი ნათქვამი იყოს ესეები ყველა და არა საკუთარი

მისი ოცნება?... მე ფიქრადაც არ მომსვლია, რასაც ბატ. ჭავჭავაძე ასე გულდაგულ მწამებს. და რამ აიძულა? ვერ გაიგო? შეუძლებელია! განზრახვით გადაასხვაფერა? რა საფიქრებელია! აბა, რა? ის, რომ, უთუოდ, როდესაც მე დაბლა ვიდოდი, ის აღმა ფრენდა მაშინ: არ მისმინა, არ უგდო ყური ჩემ საუბარს და განაგონებს მიენდო!...“

იშვიათი მაგალითია და დიდი გაკვეთილი პოლემიკური კულტურისა: საკუთარი ნააზრევის სისწორის მტკიცების ცდა მოპაექრისა თუ საკუთარი თავის პატივისცემა, თავმდაბლობის მომენტის წინა პლანზე წამოწევა, საკუთარი პატივმოყვაროების შელახვის ხარჯზე ოპონენტის პიროვნული ღირსების ხელუხლებლობა:

„ეგება ჩემი ნათქვამი ბუნდოვანი იყო და გაუგებარი, რადგანაც მე ვერ ვაწერხებ კეცა-კეცათ საუბარს და ყოველთვის უბრალო სიტყვებით, მდაბიო ლექსებით გამოვთქვამ ხოლმე ჩემ აზრს?“

თუმცა, მთლად ზუსტი არ უნდა იყოს ჩემი კომენტარი - საკუთარი პატივმოყვაროების შელახვის ხარჯზე-მეთქი. როცა აკაკი ოპონენტის ღირსებას უფრთხილდება და იცავს, ამით საკუთარ თავს სცემს პატივს, საკუთარ ღირსებასა და ავტორიტეტს იცავს!

* * *

დიახ, იციან ერთმანეთის ფასი. პატივს სცემენ ერთ-მანეთს; წარმოაჩენენ და ბაირალივით მაღლა ასწევენ ერთმანეთის ღირსებებს - სხვათა დასანახად და სამაგალითოდ...

„ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უდელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით“,- ჩასძახებს უკანასკნელ გზაზე აკაკი ილიას და ქართველი კაცისთვის არ სჭირდება კომენტარი ამ სიტყვებს.

გალაკტიონი მაინც იტყვის:

„თვით ილიას დასაფლავების დღეს აკაკი მწარე ცრემლებით სტიროდა და ასე მოიქცეოდა ილიაც, რომ აკაკის ცხედარი დაენახა“. დიახ, და იმასვე იტყოლდა, რაც აკაკიმ თქვა...

დიდი იაკობი ილიას შესახებ წერს: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“. შეუმცდარია ალლო დიდი ქართველისა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ კონტექსტში შეიძლებოდა ილიას ნაცვლად თვით იაკობისა თუ აკაკის დიადი სახელების ჩასმაც... ეს ბედნიერებაა ერისა!...

არ არის უმცირესობრივი მატერიალური მნიშვნელობა არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“. შეუმცდარია ალლო დიდი ქართველისა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ კონტექსტში შეიძლებოდა ილიას ნაცვლად თვით იაკობისა თუ აკაკის დიადი სახელების ჩასმაც... ეს ბედნიერებაა ერისა!...

არ არის უმცირესობრივი მატერიალური მნიშვნელობა არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“. შეუმცდარია ალლო დიდი ქართველისა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ კონტექსტში შეიძლებოდა ილიას ნაცვლად თვით იაკობისა თუ აკაკის დიადი სახელების ჩასმაც... ეს ბედნიერებაა ერისა!...

აკაკი და იაკობი

გავიხსენოთ 1897 წელს აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვა. ერთი ფრაგმენტი: „პატარა ცისარტყელა ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნად არის მიჩნეული. გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შეჩერდებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო შენს მადლს! კარგი ნიშანია: ამ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმანედლებელიო. ...ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე“.

„ის პატარა ცისარტყელა და ის ღრუბლის ნაგლეჯები“ იმერეთშიც გამოჩნდა 1840 წელს. 9 ივნისს ზემო იმერეთში, სხვიტორში, როსტომ წერეთლის ოჯახში ვაჟი დაიბადა... 1840 წელი საქართველოს ისტორიაში ამ ფაქტითაც შევიდა: აკაკი წერეთელი დაიბადა.

ლირისსაცნობი ფაქტი: 1999 წელს პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ გამოსცა წიგნი „იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“, რომელშიც 161-ე

ნომრით როსტომ როსტომის ბე წერეთლის ოჯახია შეტანილი; „მისი ცოლი ეკატერინა; მათი ვაჟიშვილები: დავითი, იასონი, აჭაპო ქარლიშვილები: ანა, მავრა“ (გვ. 308). წიგნის თანდართული გამოკვლევიდან: „ჩახედეთ ჩვენი წიგნის სახელთა საძიებელს და დარწმუნდებით, რომ აკაკი (ან აკაკო თუ კაკო) იმ დროს იმერეთის თავადაზნაურთა შორის სხვას არავის რქმევია. აქედან კარგად ჩანს, რომ ამ სახელის შემდგომდროინდელი პოპულარობა და გავრცელება მთელ საქართველოში სწორედ აკაკი წერეთლის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აიხსნება“. „მთელ საქართველოშიო“, ამბობს ავტორი იმიტომ, რომ იმუამად სახელი - აკაკი - არც გურიის თავად-აზნაურთა ოჯახებში გვზვდება (ეს წიგნი ბ-ნმა ზურაბ ჭუმბურიძემ 1993 წელს გამოსცა) და არც აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ოჯახებში (ეს წიგნი მზადაა გამოსაცემად)... დღეს? 1997 წელს გამოცემული წიგნის „გვარ-სახელები საქართველოში“ (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე) მიხედვით 13415 კაცს ჰქვია აკაკი, 1432-ს - კაკო, მართლაცდა ლირსსაცნობი ფაქტია...“

„ის პატარა ცისარტყელა და ის ღრუბლის ნაგლეჯები“ ქართლშიც გამოჩნდა 1840 წელს. 15 ოქტომბერს შიდა ქართლში, ვარიანში, სიმონ გოგებაშვილის ოჯახში ვაჟი დაიბადა... 1940 წელი საქართველოს ისტორიაში ამ ფაქტითაც შევიდა: იაკობ გოგებაშვილი დაიბადა.

როცა იმერეთი და ქართლი აკაკისა და იაკობის დაბადებით იწონებდა თავს, კახეთში გამოდარების ნიშანი - ცისარტყელა - უკვე სამი წლის მოვლენილი იყო; 1937

წელი უკვე შესული იყო ისტორიაში: კახეთში, ყვარელ-ში, გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში, ილა ჭავჭავაძე იზრ-დებოდა.

„ქართლ-კახეთი-იმერეთი...“

იაკობი-ილია-აკაკი...

უზარმაზარი წყალობა გაიღო ღმერთმა ქართველები-სათვის.

ეს სამება - ილია, აკაკი, იაკობი - ნებისმიერი ერის ისტორიას დაამშვენებდა...

* * *

ილია და აკაკი ხმაურითა და ბრძოლით შემოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე. უამრავი საფიქრალი გაუჩინეს მშვიდი ცხოვრებით გართულ „მამათა“ თაობას...

და როცა XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწე-თა შესახებ იწყებენ საუბარს, უპირველესად ჩვეულებრივ ილიასა და აკაკის ახსენებენ...

მაგრამ ახლა აკაკის მოვუსმინოთ: „მთელს საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის დედაენაზე არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი - რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, ქართველი მწერლების ნაწერებს დღეს დღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტყვება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქარ-

თული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგე-
ბაშვილი ღირსია, რომ მას ქართველმა ხალხმა სიცოცხ-
ლეშვე ძეგლი დაუდგას. ეს ღირსეული მამულიშვილი
შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით,
საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს
ჩვენზედ მოსეულ მტერს...“

დიახ, ამას აკაკი წერეთელი ამბობს თავისივე თანა-
ტოლი მოღვაწის - იაკობის - შესახებ, არ იყო ეს
მხოლოდ აკაკის აზრი.

ცნობილია ისიც, რომ ილია იაკობს „ეროვნული სკო-
ლის მოამაგეს, მებრძოლს, გაბედულ კალმოსანს“ უწო-
დებდა. ერთგან გავიხსენე და კიდევ ჩავიკითხოთ ალ.
ფრონელის მოგონება: „ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს
იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო
იმიტომ, რომ პასუხს ახლავე მოითხოვდა... ილია თავის
კაბინეტში შევიდა პასუხის დასაწერად. გაიარა ერთმა
საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა...
ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა და წაგვიკითხა, რაც
დაეწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი-ექვსი...“
როცა გაკვირვება გამოუთქვამთ იქ მყოფთ ამდენი დახარ-
ჯული დროის გამო, ილიას უბრძანებია: „იაკობ გოგებაშ-
ვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამე, რასაც ის მოი-
წერება, ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის
ხვედრი გახდეს“. - ფრონელი არ აზუსტებს, ეს როდის
იყო, მაგრამ არა აქვს ამას არსებითი მნიშვნელობა:
შეუმცდარია აზრი ილიასი და უტყუარია შეფასება თანა-
მოკალმისა...

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო ერთმანეთის ქებაში.
ერთ-ერთ საღამოზე იაკობს უთქვამს: „მე ღირსი არა ვარ
თმ ქება-დიდებისა, რომელიც მე თუკენ მომიპოვუთ. მე
ქართველი ხალხისთვის ბევრი არაფერი გამიკეთებია,

მაგრამ თუ მართლა რამე გაუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელშეწყობით.

ჩინ-ორდენების მოყვარული ქართველები როდესაც, თავს მესხმოდნენ, ჩემი ერთადერთი იმედი, მფარველი და ნუგეშისმომცემი ილია ჭავჭავაძე იყო.

თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს: „დედა ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკოე სლოვოს“ საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიური დახმარებით და ხელშეწყობით....

ამ საქმეში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძლვის საქართველოს ბულბულს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი სახელმძღვანელოების შედგენაში მუდამ აქტიურად მეხმარებოდა. ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ყველა იმათ, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ჩემი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელებისა“....

(საგულისხმოა: აკაკის ეპითეტის გარეშე არ მოიხსენებს...)

* * *

ვთქვით, ილია და აკაკი ბრძოლითა და ხმაურით შემოვიდნენ საზოვადო ასპარეზზე...

იყობმა მოკრძალებით შემოაღო ფართო კარები და თავის საქმეს მიაშურა - სკოლას. ილიასა და აკაკის მხარში ამოუდგა და იმ სფეროს სიმბიმე - ეროვნული სკოლა რომ პეტია - ძირითადად საკუთარ მხრებზე იტკირთა.

იაკობი 1863 წელს დაბრუნდა საქართველოში კრევიდან. 1865 წელს 25 წლის ჭაბუქი უკვე სცემს წიგნს - „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

მოსწავლეთათვის“. როგორც ამბობენ, ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა, როცა ასე ახალგაზრდა კაცი ადგენს სახელმძღვანელო წიგნს, ანბანის სახელმძღვანელოს. მაგრამ ასეთი გამონაკლისები ალბათ კაცობრიობის ისტორიამ იცის; საქმე გენიოსთან გვაქვს.

ღირსსაცნობი ფაქტი: ლევ ტოლსტოის 43-44 წლის ასაკში შეუქმნია საანბანო წიგნი და სიამაყით უთქვამს: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანით“ სამარადისო ძეგლი დავიდგიო“. ამას ამბობს კაცი, რომელიც იმ დროს ავტორი იყო რომანისა „ომი და მშვიდობა“ და იმ პერიოდში წერდა „ანა კარენინას“. მაგრამ, რაც იყო საანბანო წიგნის ფასი ერისათვის, იცოდა დიდმა მწერალმა და ამიტომაც იწონებდა თავს. ამ გადასახედიდან თუ გადავხედავთ იაკობ გოგებაშვილის პიროვნებასა და ლვაწლს, კიდევ უფრო კოლორიტულად წარმოჩნდება მისი გრანდიოზული ფიგურა...

* * *

მაგრამ იაკობი ამ პირველი წიგნით - „ქართული ანბანი“ - ნიადაგს იმზადებს მხოლოდ იმ ძეგლისათვის, რომლეიც „ბუნების კარითა“ და „დედა ენით“ დაიდგა.

აი, აქ სჭირდებოდა იაკობს აკაკის თანადგომა და დახმარება. ვთქვით უკვე, ამ თანადგომისა და დახმარების გარეშე იაკობი ვერ იქნებოდა იაკობი. ამას თვითონვე ამბობს.

კირილე ლორთქიფანიძისათვის გაგზავნილ წერილს მინაწერს გაუკეთებს: „ამ ცოტა ხანში უნდა გაუგზავნო ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს გადაწერილი საყმაწვილო რუსული ლექსები ქართულს ენაზედ გადასათარგმნელათა. ლექსებს ბლომათ ვაწერიებ და კაი ხანს წაართმევს ამ ჩვენ პოეტებს მათი თარგმა. ამიტომ, ცო-

ტა არ იყოს, ვეჭვნეულობ, ვაი თუ უარი მითხრან... არ შეიძლება, რომ თქვენ, პეტრემ და კიდევ სხვებმა ვიწმემ გავლენა თქვენი მხრით იქონიოთ ამ ჩვენ პოეტებშველ და გადათარგმნა მოანდომებინოთ და დააჩქარებინოთ“.

ისევ კირილე ლორთქიფანიძისადმი მინაწერი სხვა წერილიდან: „მე შევიტყვე, რომ ა. წერეთელი საზღვარს გარედ არისო. ვის მივმართო ლექსების გადასათარგმნელათ მის მაგიერათ, არ ვიცი“. ცხადია, იაკობისთვის აკაკი შეუცვლელია...

* * *

პირველი წიგნის შესახებ მოგვიანებით ითქვა, რომ ეს „ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში რევოლუციას უდრიდაო“ (ვ. რამიშვილი). თუმცა, ნამდვილი რევოლუცია ჯერ კიდევ მოსახლენია - „დედაენა“ შესაქმნელია.

იაკობი თავაუღებლივ განაგრძობს შრომას და 28 წლის ჭაბუკი გამოსცემს ენციკლოპედიური წასიათის სახელმძღვანელოს - „ბუნების კარს“. ეს მეორე რევოლუცია იყო ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

მთავარი მაინც წინაა... აი, აქ სჭირდება იაკობს აკაკისა და ილიას თანადგომა...

და, აი, ის მთავარიც: 1876 წელს გამოვიდა „დედაენა“.

1894 წელს „ორხმიან საახალწლო ოპერეტაში“ ილია ასე შეეხუმრება იაკობს:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-ენა მიჩნს სახელად.“

არ თავი გამიქიქია.
 იგია ფუძე ქართვლისა,
 მაგარი, ვითა ჯიქია...
 დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
 მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
 დედა-ენა პირველადვე
 სიბრძნისაა ერთი დარგი,
 ტკბილი ტკბილად გასაგონი,
 ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
 მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
 თუ კაცია მართლა ვარგი...
 სიტყვა სრულად გულსა სწვდება,
 დედა-ენა მით არს კარგი”.

ეს პაროდია იაკობსა და ილიას შორის ურთიერთობის ნათელი მაგალითია; დიდი აღიარებაა იაკობისა ილიას მიერ.

ილიას აზრს თუ რა მნიშვნელობა აქვს, იცის იაკობმა. ილიას აზრი აკაკის აზრიცაა და ამიტომ მოიხსენიებს ჩვეულებრივ წყვილად. მათი (ილიასა და აკაკის) წყალობით ვარ, თუ ვარო...

საჩხერიდან აკაკი წერეთელი წერილს მისწერს იაკობს. ფრაგმენტი წერილიდან: „...რა არის, ნუ ხარ ეგოისტი, ერთი აქეთკენაც დაენახვე თვალით ჩვენებურ ბავშვებს!... გუშინ ერთი პატაწინა მეზობლის გოგონა მეკითხებოდა შენს შესახებ: ბელატია (მელოტი) თუ არა იაკობ გოგებაშვილიო? შვილები თუ ყავსო? გაწყრომა თუ იცისო? და სხვანი... ნეტავი მაჩვენაო და მეც შენს პორტრეტს დავპირდი. დიდათ გაიხარა, ცალკე მინდაო, თვარა „ფერხულიანი“ არის ჩვენს სახლშიო; „ფერხულიანს“ თურმე სხვებთან რომ ხარ, იმას ეძახის. თუ

გაქვს, გეთაყვა, შენი პატარა სურათი, გამომიგზავნე...“
არა მგონია, ამ წერილს კომენტარი სჭირდებოდეს, და
მაინც, ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, მოკლმალების
ბისა და აღიარების დიდებული მაგალითია, ლირსსაცნო-
ბი გაკვეთილი...

* * *

იაკობსა და აკაკის ხშირი მიმოწერა ჰქონიათ.
ერთხელ იაკობს წერილი შეუგვიანებია აკაკისათვის.
მოუბოდიშებს: „შენმა ყმაწვილმა მეგობარმა გიგო დიასა-
მიძემ მითხრა იანვარში, რომ საყვერიელოდ დაბრუნდე-
ბაო (აკაკი ევროპაში იყო - გ.გ.), მე ეს მჯეროდა,
რადგანაც მასთან ერთად დავივიწყე, რომ სანატრელი
საზოგადოდ ყოველთვის იგვიანებს, ან სულაც არ მოდის,
და არასანატრელი კი მუდამ ჭენებით მორბის. ამ ჭეშმა-
რიტების დავიწყება იყო მიზეზი, რომ წერილი ვერ მოგ-
წერე“...

შეუგვიანდებათ ერთმანეთის ნახვა და „სანატრელს“
წერილებით ეხმიანებიან; ნახვის ნატვრას ამით იკლავენ...

აკაკი: „თუ ვინიცობაა მოიცალო და მოგინდეს ჩემთან
წერილის მოწერა, რომელიც ჩემთვის სასიამოვნო იქნე-
ბა, აი ჩემი ადრესი...“

იაკობი: „გიგზავნი აპელსინებს, რადგანაც გავიგე,
რომ კიდეც გიყვარს და კიდევაც გარებს. „სულით და
გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებაო“, სთქვა
ქართველმა პოეტმა, რომლის სიცოცხლის, სიმრთელის
და გამარჯვების მონატრულია იაკობ გოგებაშვილი...“

ალბათ ამ შემთხვევის გამო იგონებს იოსებ სრესელი:
„ერთ დღეს იაკობმა მეგობრის ავადმყოფობის ამბავი
შეიტყო, ძალზე შეწუხდა და სასწრაფოდ გაუგზავნა
სხვიტორში პატარა ბარათი და მცირედი მოსაკითხი. დი-

დი დრო არ გასულა, როდესაც იაკობმა გრძნობით აღ-
სავსე წერილი მიიღო სხვიტორიდან, რამაც გაახარა
მეგობრის ავადმყოფობის გამო დადარღიანებული იაკობი.
აკაკი იწერებოდა: „მმაო იაკობ, არის ხოლმე ისეთი
გარემოებაც, როცა ადამიანი მადლობასაც ვეღარ ახერ-
ხებს. შენი მოსაკითხი სიცოცხლის წილად მივითვალე,
იმდენად დაკმაყოფილდა ჩემი ზნეობრივი მხარე“.

კვლავ წერილების დიალოგი:

აკაკი: „ხანდახან კი მომენატრება ხოლმე, როგორც
მარტოსულს, ზოგიერთ ჩემი ნაცნობის ნახვა და მათ
რიცხვში შენი ყველაზე უმაღ. არ გეგონოს, რომ იმერუ-
ლათა გწერდე!... აკაკურადა გწერ, მხოლოდ გულის აყო-
ლით... თუ მოვაწიე გაისამდე, ეგებო გაგაბედვიო, რო-
გორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუება!... იმედი კი არა
მაქვს, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებ და გიმზადებ ოთა-
ხებს, სწორეთ, შენი გემოს საკადრისს“. მოგეხსენებათ,
თავისი ჯანმრთელობის გამო, იაკობი ძირითადად
თბილისშია, ერიდება წასვლას... ამიტომ არა აქვს იმედი
აკაკის...

* * *

პირადულ, ერთი შეხედვით, მხოლოდ სათავისო
პრობლემებსაც უმხელენ ერთმანეთს, თითქოს თავიანთი
მოქმედების დასტურსაც სოხოვენ: აკაკი იაკობს მისწერს
- „...მარსელში შვილი დამიხვდა. არ ვიცი, მე მომეგება
თუ ჩემ ჯიბეს? თუ ჩემ ჯიბეს, შემცდარა, რაღგანაც მე
ყოველთვის და ყველგან კნიაზური ჯიბით დავდივარ!...“
ასეთი გულისტკივილი კაცმა შეიძლება მხოლოდ უახ-
ლოეს პიროვნებას გაუმნილოს. იაკობია ასეთი პიროვნე-
ბა აკაკისათვის.

იაკობიც ფიქრობს და ზრუნავს აკაკის შესახებ. ზრუ-

ნავს აკაკის ფონდის დაარსებაზე. ვალერიან გუნიასადმი მიწერილი წერილიდან: „...სტატია გავუგზავნეთ საფუძვლები კომიტეტის მდივანს ფირცხალავას, რადგანაც იგი, შეეხებოდა აკაკის ფონდსა. გაიცანით ეს სტატია და თუ მოგეწონოთ, დაბეჭდეთ ოქვენს ალმანახში“... (1908 წელი).

იაკობს აფიქრებს და ადარდებს აკაკის მდგომარეობა. ამიტომაც აიმედებს და გულს უკეთებს მას; ერთი წერილიც: „დღეს შენ ცოტა პესიმიურს მდგომარეობაში გნახე და ძლიერ გამიკვირდა. გამიკვირდა იმის გამო, რომ შენს პესიმიზმს არავითარი საფუძველი არა აქვს. ექიმების საერთო აზრით, რომელიც მათ გამოსთქვეს კრებაზედ, შენი ჩინებული აგებულება გიქადის ხანგრძლივს და საღს სიცოცხლესა. სწორედ ამის გამო დაგენიშნა შენ პენსიად თვეში თხუთმეტი თუმანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრად მეტს დავნიშნავდით. დავნიშნამდით იმის გამო, რომ სრული იმედი გვაქვს მხურვალე თანაგრძნობისა და სიუხვისა ქართულის საზოგადოების მხრივ. გარდა ამ ყოველთვიურის პენსიისა, კომიტეტი იკისრებს დაქმაყოფილებას ბანკისას, რომელშიც დაგირავებულია შენი მამული. ერთი სიტყვით, შენ სრულიად დამშვიდებული უნდა იყო, და შეგიძლიან იჯიქრო მხოლოდ შენს მომავალს პოეტურს ქმნილებებზე, რადგანაც შენისთანა ოლიმპიელისათვის ამისთანა ფიქრი საუკეთესო ღონისძიებაა მაღალის მშვიდობიანობისათვის, რაც შეადგენს შენთვის აუცილებელს პირობას დროიანად გამრთელებისათვის“ (ხაზი ჩემია - გ.გ.).

ეს წერილიც უკომენტაროდ უნდა ჩავიკითხოთ, ალბათ...

ერთი უჩვეულო კომპლიმენტიც პირადი წერილები-დან: აკაკი სწერს იაკობს: „...სხვათა შორის მოამზის №11 გადავიკითხე და ძალიან მომეწონა. სწორედ კარგი ნომერია. მაგრამ გვირგვინი კი ყველა სტატიების „ნაცნობის“ სტატიაა. მე შენი სტატია მგონია და მართალია თუ არა? მაგრამ რომ შენი არ გამოდგეს, უფრო მოხარული ვიქნები! მაშინ ერთის მაგიერ ორი იაკობი გვეყოლება!!!“

მარიამ დემურიას საყმაწვილო წიგნების გამოცემა განუზრახავს და აკაკისათვის მიუმართავს. აკაკი საჩხერე-შია. მას ამ საქმისათვის შესაფერისად იაკობი მიუჩნევია. წერილს მისწერს იაკობს: „...საყმაწვილო წიგნები უნდა გამოვსცეთ ქალებმაო და დაგვეხმარეო!... მე რა ავტორიტეტი ვარ, რომ აქ მომწვდენ? შენ მანდ არა ხარ? შენ უკეთ არ მოუხერხებ საყმაწვილოსაც და სავაშკაცო-საც?... გეთაყვა, თუ მოგმართონ, ზურგს ნუ უჩვენებ“...

პატივმოყვარეობა და ამბიცია შორსაა მათგან. საქვეყნო საქმეს ასე სჭირდება: ვინც უკეთ შეძლებს ამა თუ იმ საქმის გაძლოლას, საქმე მან უნდა აკეთოს. ამის მაგალითი თავად იაკობსაც მოუცია:

გაზეთ „კავკაზში“ იანოვსკის წერილი გამოქვეყნდა ჩვენს ქვეყანაში სახალხო სკოლების მოწყობის თაობაზე. იაკობი წერს: „პასუხის დაწერა რედაქციამ მე დამავალა; მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას ილიას მე თვითონ მივუტან; სამაგიეროდ როცა ამ დღეებში იანოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი. და ასეც მოხდა. ასეთი განაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო. როცა გორის საოსტატო სემინარიიდან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში

მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხრათ აგვეგდო - იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“ და კიდევ შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელშივე გაწყალდა“.

ბედნიერი შემთხვევაა: გვერდიგვერდ მოღვაწეობენ ილია, აკაკი და იაკობი. იციან ფასი და ძალა თავიანთი თავისაც და ერთმანეთისაც. საქვეყნო საქმეს ინაწილებენ და იმარჯვებს ეს საქვეყნო საქმე...

ერთმანეთის ძალასა და ენერგიასაც უფრთხილდებიან. ანტონ ფურცელაძემ 1909 წ. გაზეთ „Тифлисский листок“-ში წერილი გამოაქვეყნა ბანკის მუშაობის თაობაზე. თავის თავზე ბევრი რამ მიიწერა და სხვისი ღვაწლი მიჩქმალა. აღაშფოთა ამან იაკობი და გაზეთ „Закавказье“-ში ვრცელი საპასუხო წერილი დაბეჭდა. აკაკიმ მოსწერა იაკობს: „შენი წერილი ანტონზე წავიკითხე, რას იხარჯებოდი? ვინ შენ და ვინ ანტონი?...“

როგორ მიმართავენ ერთმანეთს: იაკობი თითქმის ერთნაირად იწყებს პირად წერილებს - „ძვირფასო აკაკი!“ ერთადერთ წერილს იწყებს ასე: „ბატონო აკაკი!“ ამ წერილში საყვედურია გამოთქმული აკაკის მიმართ: „... რომელმა ჭორიკანა ჭინჭრაქამ დაგარწმუნა, რომ მე „ივერიაში“ ვითომ მხურვალე მონაწილეობას ვიღებ...“ და მისთანანი. ითქვა საყვედური, იმართლა თავი იაკობმა და წერილი ტრადიციულად, აკაკისადმი სიკეთის სურვილით დაასრულა: „ივერიის“ სხვადასხვა მძიმე შეცდომაში თუ დანაშაულობაში, მე იმდენადვე ბრალი მიდევს, რამდენიც შენის სახლ-კარის გადაბუგვაში. ქართველი გლეხის აზრით, ჭონების ცეცხლით გადაბუგვა - პატრონის დღეგრძელობას მოასწავებსო. ვინუგეშოდ ამ ტკბილი

იმედით მაინცა. თქვენი ყოველი სიკეთის მონატური და-
კობ გოგებაშვილი...“

ლირსსაცნობი ფაქტი: ერთი პირადი წერილი შემორჩა ია-
კობისა ილიასადმი. ასე იწყება: „მმაო ილია“ და
საერთოდ, ჩვენი კლასიკოსების ეპოსიტოლარუ-
ლი მემკვიდრეობა შესასწავლია, თუნდაც
მიმართვის ფორმები. ბევრი რამ ჩანს საგულისხ-
მო ამ ფორმებში...

აკაკის წერილებში მეტი მრავალფეროვნებაა: „მმაო
იაკობ!“, „ძვირფასო მეგობარო იაკობ!“, „წარსულის შვი-
ლო, მომავლის მამავ და მყობადის გადავა, მმაო იაკობ!“
„ბატონო იაკობ!“ ამ შემთხვევაშიც ბატონობით მიმართვა
განაწყენებული ადრესანტის პოზიციის გამომუღავნებაა:
„მიკვირს და გამკვირვებია, რომ ის გაზეთი, სადაც შენ
მხურვალე მონაწილეობას იღებ, კიდევ მაინც ასე
წინდაუხედავად წაიკუნტრუშებს ხოლმე!...“

აქაც ჩანს თითოეული მათგანის პიროვნება... განუმეო-
რებელი და სანიმუშო ურთიერთდამოკიდებულება.

პირად წერილში მისწერს იაკობი აკაკის: „საზოგა-
დოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩემს წიგნშიც არ მოი-
პოვება არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფრაზა, რომელიც
ნათქვამი იყო სახელის გულისათვის. ყოველ შემთხვევა-
ში მე სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩვენი ტანჯული
ერისა და სხვა არაფერი. ეს შენ კარგად იცი და მინდა,
რომ სხვებმაც შეიგნონ...“

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ ფასობს, თუ ქვეყნისთვის
სასიკეთო საქმეს აკეთებს: „პირადათ ჩემთვის სულ ერთია,
დღეს აღარ ვიქნები თუ ჩვალ, მაგრამ ის კი მწყინს,
რომ, როდესაც დავმწიფდი, ჩავჯერი გრძნობა-გონებაში,
მაშინ უნდა შევიქმნე უძლური და ურგები ქვეყნისათ-
ვის...“ ამ დარდსაც აკაკი იაკობს გაუმხელს პირად წე-

რილში...

არ არის შემთხვევითი ეს განდობა
თან.

* * *

იაკობი ხანგრძლივად ავადმყოფობდა. 1912 წლი მარტს ანდერძი შეუდგენია (1 ივნისს გარდაიცვალა). თვისი ქონება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უანდერძა და მასვე დააკისრა ანდერძის პირობების დაცვა. ერთ-ერთი პირობა ასეთი იყო: „წერა-კითხვის საზოგადოება“ „ყოველწლიურად აძლევს აკაკი რომელის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც პონორარს იმ საბავშვო ლექსებისათვის, რომლებიც იძეჭდება „დედა-ენაში“ და რომლებიც ჩემის თხოვნით სპეციალურად დაწერილა ამ ჩემი გამოცემისათვის“... ანდერძში პერსონალურად იაკობმა თავისი და მოიხსენია (ეფემია), დისტვილები გიორგი და კონსტანტინე, ძმისშვილი შალვა და აკაკი წერეთელი! საგულისხმო ფაქტია...

აკაკის ბედმა არგუნა, გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვა იაკობისთვის. ასე დაასრულა სიტყვა: „აქ კი იღალადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება. კურთხეულ იყოს სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად სახსენებელი შენი“...

იყვნენ მოღვაწენი, იცოდნენ ფასი ერთმანეთისა და გვიტარებდნენ სამომავლო გაკვეთილებს ერთმანეთის შეფასება-დაფასებაში.

არ დაობდნენ? არ კამათობდნენ? ყველაფერში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს? არ იყო, რა თქმა უნდა, ასე...

გავიხსენოთ ცნობილი პაექრობა აკაკისა და იაკობს შორის ენობრივ საკითხებზე. ესეც გავიხსენოთ. ზოგადი პოზიცია თაობისა, იღიას თაობისა, საერთოა: ენა უნიკალური ფენომენია და ეროვნულობის უპირველესი ნიშანი; მამულიშვილობა, მამულისმოყვარეობა დედაენის სადარაჯოზე მტკიცედ დგომაა.

ვფიქრობთ, დღევანდელ მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს მათი სიტყვა, საქმე და ქმედება; საუკუნისწინანდელი კულტურა პოლემიკისა. ფაქტია: მათთვის არსებობს საზოგადო საქმე და უკომპრომისობა საზოგადო ინტერესებიდან გამომდინარე. პიროვნულ სიმპათია-ანტიპათიებს ამ შემთხვევაში ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ. უფრო სწორად: პიროვნული ურთიერთობანი, პიროვნული სიმპათია-ანტიპათია ობიექტურ სათქმელს არ ავიწყებთ, ობიექტური სათქმელისათვის გვერდს არ აავლებინებს. ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ძალზედ მკაცრია ტონი მოპაექრეთა; ერთი შეხედვით პიროვნული ღირსების შემლახველიც, თითქოს, მაგრამ ეს მხოლოდ „თითქოს“... მათი პირადი ურთიერთობები, მათი პირადი დამოკიდებულებები ამით არ იცვლებოდა, ეს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე უარყოფითად არ მოქმედებდა...

დღეს გაჭირდება მსგავსი მაგალითების მოძიება. ალბათ დრომ უნდა განვლოს, რომ ჩვენი საპოლემიკო კულტურა იმ დონეზე ავიდეს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში რომ იყო...

ახლა კონკრეტულად: ენობრივ საკითხებზე პაექრობენ აკაკი და იაკობი.

1894 წლის 3 ივნისს გაზეთ „კვალის“ 28-ე ნომერში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის მომცრო წერილი „ჭრელი ფიქრები“. აკაკი ჩვეული იუმორისტული და მორონიშვილი სტილით მიმოიხილავს გაზეთ „ივერიის“ 137-ე ნომერში დაბეჭდილ არაკს. არაკის პერსონაჟები არიან გუგული, ბულბული და ვირი. წერილს ასე დაასრულებს აკაკი: „ერთი წუნი იმ ვირის ის არის, რომ ქართული არ პცოდნია; მის ნაცვლად, რომ გუგულს უთხრას, პირველ მგალობლად „აღგიარებო“, ის ჩიქორთულად ეუბნება „გალიარებო“. საგულისხმოა, რომ „ჭრელი ფიქრების“ ავტორი საანალიზოდ აღებული არაკის ავტორს არ ასახელებს. არადა, ავტორი „ივერიაში“ გამოქვეყნებული არაკისა იაკობ გოგებაშვილი იყო. ამიტომაც იაკობი პასუხს გასცემს, „პაწია სამაგიერო“ პქვია საპასუხო წერილს, რომელსაც ასეთ ეპიგრაფს წაუმდგვარებს: „რომელთა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოსთ თქვენ“. ეს ეპიგრაფიც და სათაურიც იმას გულისხმობს, რომ იაკობი თავს იმართლებს და ენობრივ შეცდომებს დაძებნის აკაკის წერილში.

აკაკიმ სადაცოდ გახადა „გალიარებ“ ფორმის მართებულობა. მოდით, ამასაც ჩავუფიქრდეთ: ორი გენიოსი, საქვეყნო საქმეში ყელამდე ჩაფლული მოღვაწეები „იცლიან“ და ერთი ზმნური ფორმის მართებულობაუმართებულობაზე დაობენ, პაექრობენ... თითქოსდა მარტივი საკითხია „აღგიარებ“ არის სწორი თუ „გალიარებ“. შეიძლება ზოგ დღევანდელ „მოღვაწეს“ ღიმილიც კი მოპევაროს ამ ფაქტმა, მეტი საქმე არა პქონდათო, მაგრამ როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის საკითხი უფრო პრინციპულად დგას: საქმე სწორმეტყველებას ეხება და ამ შემთხვევაში აკაკი თვალს ვერ მოუხუჭავს

ვერავის შეცდომას... ასევე პრინციპულია ეს საკითხი იაკობისათვის - მას ქართული დაუწუნეს! დიახ, ქართული დაუწუნეს კაცს, რომელმაც მთელი შეგნებულებულოვრება ქართული ენის სამსახურს შეალია... სხვა რომ არა იყოს რა, ამგვარი საქმიანობის კაცისთვის ეს თავმოყვარეობა - პატივმოყვარეობის შელახვაცაა...

თუმცა ნუ გავიგებთ ასე; იაკობი არასდროს ყოფილა ახილებული პიროვნება; მე ასე ვთქვი და ესაა სწორიო - არ იყო მისი პრინციპი. მართალია, იგონებენ, რომ „თავისნათქვამა“ იყოო, მაგრამ „თავისნათქვამობა“ საკუთარი აზრის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულობის გამოხატვა იყო. მისი თანამედროვენი არაერთ მაგალითს მოიყვანენ ამ აზრის დასტურად...

იაკობი პირადი ღირსების შელახვად არ მიიჩნევს საკუთარი შეცდომის აღიარებას. ამბობდა, შეუცდომელი ნხოლოდ ღმერთია და უსაქმო ძილისგუდაო!... ეს გენიოსთა დიდკაცური თვისება იყო... არა თუ აკაკი წერეთლი-საგან, რომელსაც იაკობი უაღრესად დიდ პატივს სცემს, არამედ ნაკლებად გამოჩენილი და ახალგაზრდა კაცისაგან მიუღია მას შენიშვნა.

იოსებ მჭედლიშვილი იგონებს: 15-16 წლისა ვიქებოდი, იაკობს რომ გავეცანიო. „როდესაც ლაპარაკში შევეჩიე, ისე წავთამამდი, რომ აქა-იქ ფრთხილად ენაც დავუწუნე მის სახელმძღვანელოებს... თქვენს წიგნებში ზოგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილებიო... - აბა, სადა, მაჩვენეო“, - უთქვამს იაკობს და „ბუნების კარი“ მიუწვდია, ცოტა არ იყოს, შევფიქრდიო, განაგრძობს ო. მჭედლიშვილი. დინჯად გადაუშლია წიგნი და უპოვია სასურველი მაგალითი. „აი, ბატონო იაკობ, ავიღოთ, მაგალითად ამბავი გველზე, ასე იწყება: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. ხალხი იტყვის: „ყვე-

ლამ იცის, გველი შხამიანი ცხოველია“ ი. მჭედლიშვილს მსგავსი მაგალითები სხვაც დაუძებნია. იაკობს უთქვამს: „იცი, ყმაწვილო, შენ მართალი ხარ, ზოგდერთ ადგილს არ უნდა „რომ“. მერე წიგნიც უჩუქებია და უთხოვია, რაც კი გასწორების ღირსად ცნო, გაასწორე და მომიტანეო...“

ისც ცნობილი ფაქტია, რომ იაკობს ჯილდო ჰქონდა დაწესებული, ვინც მის სახელმძღვანელოში შეცდომას აღმოაჩენდა, თითო შეცდომის აღმოჩენაში შაურს ჩუქნიდა, როცა „დედაენის“ საანბანე ნაწილი ორი შაური ღირდა...

და ამიტომაც ერთი სადავო ზმნური ფორმის გამო - გაღიარებ თუ აღგიარებ - პოლემიკას უმართავს აკაკის... თუმცა, არა მხოლოდ აკაკის: იაკობის საპასუხო წერილს „კვალის“ სარედაქციო წერილი მოჰყვა. რა თქმა უნდა, აკაკის ემხრობოდნენ. შემდგომ იაკობს დაუპირისპირდნენ გ. წერეთელი, კ. დოდაშვილი და ს. ხუნდაძე. ამ პოლემიკის დროს 7 წერილი გამოქვეყნდა იაკობისა... დავის საგანი, გარდა აღნიშნული ფორმებისა, სხვა საკითხებიც გახდა.

იაკობი პრინციპულად იცავს თავს და ყველა საპასუხო წერილში აკაკის სახელი გაიელვებს, როგორც პოლემიკის წამომწყებისა და ამ პოლემიკის ფარული წამქეზებლისა. აკაკის ირონიულ, ზოგჯერ ცინიკურ, ტონს არც იაკობი ჩამორჩება. ზოგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს მკითხველს, თითქოს დაუძინებელი მტრები ეპაექრებიანო ერთმანეთს. მაგალითად, აკაკის „ჭრელი ფიქრების“ საპასუხო წერილში „პაწია სამაგიერო“ იაკობი წერს: აკაკის წერილი „შეთხულია მხოლოდ წერილის კულისთვის, რომელიც სწორედ მორიელის კუდს მოგაგონებთ. აი, ეს გესლიანი

კუდი მთლად“ და იაკობს შემდეგ მოჰყავს ციტატა, ზე-
ვით რომ მოვიყვანეთ, ის ციტატა. იაკობის წერილის ამ
ადგილს და საერთოდ იაკობის განწყობას აკავი საპასუ-
ხო წერილში ასეთი ვარიაციით წარმოგვიდგენს: იაკობი
ამბობსო „აკაკიმ მორიელივით კუდი მოიქნია, ჩემი გა-
თახსირება მოინდომა, მოუმიზეზებია, უნდა დაბალ ღო-
ბედ მნახოს, დამჩაგროს, უსაფუძვლოდ მიკბინოს და
სხვანი“... აკაკი, რა თქმა უნდა, ამუქებს იაკობის აზრს.
აქვე შევნიშნავთ, ასე გამუქება, ასე დაძაბვა სიტუაციისა
სამსჯელო საგნის (დედაენის სიწმინდის) დიდმნიშვნე-
ლოვნობიდან გამომდინარეობს...

და აკაკი განაგრძობს: „უნდა რომ დამჩაგროს, უსა-
ფუძვლოდ მიკბინოს და სხვანი: თვარა მე ქართულში
უცოდველი ვარ და სხვები კი ყველა დამნაშავეო და მათ
რიცხვში, რასაკვირველია, აკაკიცო, რადგან მის პატარა
წერილში ათი მსხვილი და უტყუარი შეცდომა ვიპოვეო“.
ერთგანაც და მეორეგანაც საკმაოდაა ისეთი სიტყვები,
რომლებიც შეიძლებოდა განაწყენების საფუძველი შექმ-
ნილიყო. მაგრამ სიტყვაზე გამოდევნება არაა მათი ჩვევა.
ეს სიტყვა რად მითხარი და რად მაკადრეო, არაა ამაზე
საუბარი... ყველაზე დიდი შეურაცხყოფა, რაც შეიძლება
იაკობს ანდა აკაკის მიაყენონ, ესაა ენის უცოდინარობის
დაბრალება. ამას უნდა მივაპყროთ ყურადღება. იაკობი
წერს: „გესლიანობას ჯერჯერობით თვალი ავარიდოთ და
მივაქციოთ ჩვენი ყურადღება მხოლოდ ენის უცოდინარო-
ბის დაბრალებას“. აკაკი ასე იტყვის: „ვნახოთ აზლა, ან
თავს როგორ მართლულობს, ან მე როგორ მიმტკიცებს
ენის უვიცობას“...

საგულისხმო ფაქტია და სადღეისოდაც სანატრელი
თვისება კაცისა: ქართველს ქართულის არცოდნა ყველა-
ზე დიდ ცოდვად მიაჩნია და დედაენის უცოდინარობაში

მხილება, ყველაზე დიდ დანაშაულად... და ეს იყო საუკუნის წინათ. ეს იყო ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟასა და ზოგი სხვისაც აქტიური ეროვნული პოზიციის გამოყენება. მათვის ჭეშმარიტი ქართველობის, მამულიშვილობის ერთ-ერთი გამოვლინება დედაენის ღირსეული ცოდნა იყო.

დიდად საინტერესოა ისიც, ვის ეკამათებიან ისინი, ვის თვლიან პაექრობის ღირსად. იაკობ ბურჭულაძე იგონებს: „იაკობი ეკამათებოდა გიორგი წერეთელსა და დოდაშვილს, რომლებმაც უსაყვედურეს იაკობს: „ხმა ვერ ამოგვიღია გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ, მაშინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეცხლს დაგვაყრისო“. იაკობმა სხვათა შორის უპასუხა: „ოთხ კრიტიკოსში მხოლოდ ერთს ვაძლევდი პასუხს. ეს ჩვენი პასუხი ყოველთვის იყო თავაზიანი, თუ კრიტიკოსი მართებულად გვეპყრობოდა ჩვენ და ჩვენს წიგნებსა. მაგალითად, წარსული წლის მაისში ერთმა ახალციხელმა მასწავლებელმა დაბეჭდა „ივერიაში“ ვრცელი შენიშვნები „დედაენის“ შესახებ. შენიშვნები იყო დაწერილი გულწრფელად (გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება - გ.გ.)... საგნის სიყვარულით, მიუდგომდად და მიუფერებლად. ჩვენც ასეთივე შენიშვნები დავუწერეთ „მოამბეში“ და სრულის თავაზიანობით მოვეპყარით. გ. წერეთელმა და დოდაშვილმა ჩვენი დამცირება მოინდომეს და თვითონ იქმნენ დამცირებული ჩვენ მიერ“.

აქ აშკარად გამოიკვეთა მირითადი საპოლემიკო პრინციპები იაკობისა: თავაზიანობა, გულწრფელობა, საგნის სიყვარული, ობიექტურობა (“მიუდგომლობა“)...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პაექრობას აკაკისა და იაკობს შორის. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს, თითქოს აკაკისთან კამათში თავაზია-

ნობის პრინციპი ირღვევა: იქ გესლზე, შხამზე და მორიელობაზეა საუბარი. თუმცა ეს ერთი შეხედვით...

მაგრამ ჯერ აკაკისეული საპოლემიკო პრინციპიც გავიჩხეოთ. იაკობის წერილს „პატია სამაგიერო“ აკაკი უპასუხებს წერილით „არ ცოდნა, არ ცოდვაო“. წერილს ასე იწყებს: „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავსკვენით პირობა, რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მიგვემატებია - „სასწორმეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილებია ხოლმე. პირველი სანიმუშო ისარი მე გავტყორცე და იმ ისარმაც ყურთან გაუზუზუნა ბატონ იაკობ სიმონიძეს (სიმონიძე, მოგებსენებათ, იაკობის ფსევდონიმია - გ.გ.); - აკაკი განაგრძობს - ბატონი იაკობი მისთანა კაცია, რომ ბუზსაც არავის ააფრენინებს, თვარა ყურთან ისრის გაზუზუნებას როგორ აიცდენდა? ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, მაგრამ მაინც პირველად სიმონიძეს მიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას, ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას. ეს ჩვენი უმანკო აზრი და კეთილი განზრახვა იყოო...“

აქედან გამომდინარე, აკაკისეული პრინციპი პოლემიკისა შეიძლება ასეც ჩამოყალიბდეს: ნებისმიერი კრიტიკა და ნებისმიერი პოლემიკა მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებად, თუ ის საზოგადო ინტერესს ემსახურება. პიროვნულ, სუბიექტურ ინტერესებზე აგებული პოლემიკა მანკიერი აზრია და ბოროტი განზრახვაო.

აქ ილიას აზრიც მინდა გავიჩხენო: „ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და თუ ღმერთი გაგვიწყრა და

უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და
მაღლობით მივიღებთო“. ფაქტია: ძირითადი პრინციპი
ერთია... ამის დასტურად ერთ ადგილსაც მოვაჭურან - აკა-
კისადმი იაკობის საპასუხო წერილიდან:

აკაკი ერთ-ერთ თავის წერილში წერდა, რომ ვაპი-
რებდი „დედანისა“ და „ბუნების კარის“ ენობრივ გარჩე-
ვასაც, მაგრამ არ მინდა იაკობს ვაწყენინო და ამ
განზრახვაზე ხელს ვიღებო. იაკობი უპასუხებს: „ოუ
მართლა ამ განზრახვაზედ ხელი აიღო აკაკიმ, დიდად
გვაწყენინებს. ჩვენი გულითადი ნატვრა იყო და არის,
მოვესწროთ როდისმე ჩვენის წიგნების გარჩევას შეგნე-
ბულისა და განვითარებულის პირის მიერ. რადგანაც
ამისთანა პირთა შორის აკაკის ერთი უპირველესი ადგი-
ლი უჭირავს, ამიტომ უკეთესს კრიტიკოსს ვეღარც კი
ვინატრებთ. სამაგიერო სიკეთეს ვეცდებით გადავუხადოთ
დაუყოვნებლივ. ჩვენ ჯერ პასუხს ვუგებთ, შემდეგ გავარ-
ჩევთ მის თხზულებებსა და დავაფასებთ შეძლებისდა-
გვარად მისს ენას. სიკეთის მეტს ეს, ერთმანეთის ნაწე-
რის დაფასება არაფერს არ მოიტანს“. ამ მწვავე პოლე-
მიკაში ნათლადაა გამოკვეთილი პიროვნული პატივისცე-
მა იაკობისა აკაკის მიმართ. ეს მთავარია, რომ კრიტიკა
უკადრის პოლემიკად არ გადაიქცეს. ასეთივეა აკაკის
პოზიციაც: „ჩვენ დიდი პატივისმცემელი ვართ იაკობ სი-
მონიძისა და მისი წყენა სრულიად არ გვესიამოვნებაო“,
- აცხადებს და განაგრძობს პოლემიკას... თუმცა ცხელ
გულზე აკაკისა და იაკობის კამათში მაინც გაიელვებს
უსიამოვნო ტონი, მაინც დაირღვა თავაზიანობის პრინცი-
პი... ამას თვითონვე გრძნობენ და ცდილობენ მკითხველის
თვალში ახსნა მოუძებნონ. იაკობი ასეთ რაიმეს წერს:
აკაკი ამბობს, რომ მართალია, შხამიანი ისარი ვესრო-
ლეთ ერთმანეთს, მაგრამ ეს ისე მოგვივიდა, უცაბედად,

ლამაზის, მახვილის სიტყვის სიყვარულითო და მე მჯერაო ეს. მეც ვეთანხმებიო. როგორც ვხედავთ, წამოუდენილი უსიამოვნო სიტყვისთვის ბოლოში უხდიან ერთმანეთს და გრძელდება პოლემიკა. საინტერესო ტერმინებს გამოიყენებენ: რიგიანი კრიტიკა, ნაყოფიერი კრიტიკა და ანტიკრიტიკა. ერთგან უკადრისი პოლემიკაც ითქვა. თუკი ვინმე ქართული პოლემიკური კულტურის ისტორიას შეისწავლის, უმდიდრეს მასალას მოგცემენ ჩვენი კლასიკოსები ამისთვის.

დიახ, მათთვის პოლემიკა არის საკადრისი და უკადრისი. უკადრისი პოლემიკა იგივე ანტიკრიტიკა...

ზემოთ საპოლემიკო კულტურაზე გვქონდა საუბარი; აკაკისა და იაკობის პოლემიკას რომ ვიხსენებთ (ასევე აკაკისა და ილიას პოლემიკას), და ამ ფონზე საუკუნის-შემდეგდროინდელ საპოლემიკო კულტურას გადავავლებთ თვალს, სამწუხარო რეალობის წინაშე დავდგებით: წარსულის გაკვეთილებს უკვალოდ ჩაუვლია... მთავარი მიზანი დაიკარგა: ის, რასაც ეროვნული ინტერესი პქვია. პიროვნულმა ინტერესებმა იმბლავრეს...

თუმცა, ეს შორს წაგვიყვანს... ისევ საკითხს დავუბრუნდეთ, დავა ენობრივ პრობლემებზე აკაკისა და იაკობს შორის ერთი ზმნური ფორმის მართლწერის თაობაზე წარმოიშვა. გავიხსენოთ: სადავო ის ფორმა გახდა, იაკობის არაკში ვირი რომ ეუბნება გუგულს - პირველ მგალობლად გაღიარებო. გაღიარებ ფორმა მიუღებელია აკაკისთვის. უნდა იყოსო: პირველ მგალობლად აღვიარებო. კაცმა რომ თქვას, ღირდა კი ამ ერთი ფორმის თაობაზე ამდენი დავა? მაგრამ, როგორც ჩანს, ღირდა. აქ პრინციპია მთავარი. აკაკის მოწონებული აღვიარებ ფორმა ისტორიულად მართებული ფორმაა. საღმრთო წერილს მოიშველიებს კიდეც აკაკი არგუმენტად, თუმცა ეს არგუ-

მენტი იაკობისთვისაც ნაცნობია, მაგრამ ამ შემთხვევაში უდავოდ გასაზიარებელია იაკობის მსჯელობა: „საღმრთო წერილის ენაზედ მეათე საუკუნიდან აღარა სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დავუბრუნდეთ, ხომ მთლად დამარხვა მოგვინდება ახლანდელის ცოცხალის ენისა ლიტერატურასა და საუბარში?“

როული დრო უდგას ქართულ სალიტერატურო ენას: არა გვაქვს ერთიანი ნორმები. ძირითადი პრინციპი ნათელია, თუმცა ცალკეული კონკრეტული საკითხების გარკვევა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ხშირ შემთხვევაში იმ ენობრივი საფუძვლის კვალიც იჩენს თავს, რომელზეც აღიზარდნენ. ამიტომაც, აკაკი ზოგჯერ ისეთი ფორმის მართებულობასაც ამტკიცებს, სხვისთვის რომ უდავოა (გავიხსენოთ აკაკის მსჯელობა „ყოლიფერი“ სიტყვის თაობაზე: **ჭოველი ფერი** და არა **ჭველა ფერიო**...), თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აღგიარებ და გაღიარებ რომ არის, საქმე სხვაგარადაა...

თუმცა დიალექტური ვარიანტების საკითხი მათთან მაინც დგას. ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში იაკობი ამ საკითხზეც მსჯელობს. ეტყობა, მას შეუმოწმებია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელთან და იმ ფორმის მართებულობა, რომელსაც თვითონ უჭერს მხარს, ყველგან დაუდასტურებია. მაგრამ არ გავიგოთ ისე, რომ აკაკი ცდებოდა ამ საკითხში. ასე ნუ იტყვით. აქ საკითხისაღმი პრინციპული მიღებომაა განსხვავებული. მოცილე ფორმათა შორის აკაკი ისტორიულად უფრო მართებულს ანიჭებს უპირატესობას. ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევს სასაუბრო ენას. დღეს ნორმათა დადგენის მხოლოდ ეს პრინციპი არაა გაზიარებული. თუ კლასიკოსთა ნაწერებში, საერთო-სახალხო ენაში

ძირითადად გავრცელებულია ისტორიულად თუნდაც არა მართებული ფორმა, ნორმად მაინც ამას ვირჩევთ. მაგალითად: ნენ დაბოლოება რომ გვაქვს სუბიექტურ შესამებირის მრავლობით რიცხვში - მოვიდნენ, აკეთებდნენ - გრამატიკული თვალსაზრისით გაუმართლებელი ფორმაა. მოვიდენ, აკეთებდენ უფრო მართებულია. მაგრამ ფორმის გავრცელების სიხშირე იქნა მიღებული მხედველობაში და ნორმად მოვიდნენ, აკეთებდნენ ტიპის ფორმები დაკანონდა. სხვათა შორის ამ ფორმებსაც შეეხნენ პოლემიკის დროს. ასე რომ, დღევანდელი თვალსაზრისით (და ალბათ იმდროინდელითაც) იაკობის პოზიცია ჩანს მართებული. აკაკის თავგამოდება ენის არცოდნის შედეგი კი არა არის, არამედ ენის ისტორიის კარგი ცოდნის შედეგია! უბრალოდ: სხვადასხვა თეორიულ პოზიციაზე იდგნენ...

და მაინც, ლირდა კი დავად?

უდავოდ ლირდა. როგორც ვთქვი, პოლემიკა აქედან დაიწყო. შემდეგ მრავალ იმ დროისათვის აქტუალურ საკითხზე იყო მსჯელობა. ეს ეხება ცალკეულ მორფოლოგიურ ფორმებს, სიტყვათა რიგს, სინტაქსისა თუ სტილისტიკის მრავალ საკითხს. ეს საკითხები დღეს შეიძლება ასე აქტუალური არ იყოს, მაგრამ იმ დროისათვის უდავოდ ფასეულია და ლირებული.

ამგვარი კამათის გახსენების დროს, თავისთავად, მაინც გაკრთება სურვილი - ამ ვრცელ და მრავალსაკითხის მოცველ კამათში სამართლის სასწორი უმეტესად ვის მხარეს იყო გადახრილი. მნელია ახლა ამის რჩვენა. ერთი რამის თქმა კი აუცილებელია:

იაკობს ყოველთვის სჯეროდა, რომ ის იყო მართალი. მისი მსჯელობაც ყოველთვის არგუმენტირებული იყო. საწინააღმდეგო აზრის დასარღვევად ყოველთვის

ცდილობდა დამაჯერებელი კონტრარგუმენტების მოყვანას. იოსებ იმედაშვილი იგონებს: იაკობი თავის სახელმძღვანელოში შეტანილ ყოველ სიტყვას, განსაკუთრებით ამა თუ იმ თავისებურ გამოთქმას, ამვლელსა და ჩამვლელს, დიდსა და პატარას, სწავლულსა და უსწავლელს ჰქითხავდა, პრესაში არკვევდა....

ასე იყო აკაკის შემთხვევაშიც: აკაკის ყოველთვის სწავლა, რომ სიმართლე მის მხარეს იყო და საამისოდ არც არგუმენტებს იშურებდა და არც ლოგიკურ მსჯელობას. ღვთის მადლით, ქართულ სიტყვასაც დიდოსტატურად ფლობდა და მკითხველის სიმპათიაც მისი წერილის კითხვისას, მისკენ იყო, თუმცა... თუმცა არ იყო იოლი პოზიციათა შეჯერება... ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ერთიცა და მეორეც დაუნდობელი პოლემისტია, სიმართლისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი.

მათი თანამედროვენი საგანგებოდ გახაზავენ იაკობის ამგვარ თვისებას: „იაკობი ისეთი იყო, - წერს ი. იმედაშვილი, - მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საეჭვოდ მოეჩვენებოდა“... შიომლვიმელიც გაიხსენებს მოგვიანებით: „იაკობი მუდამ პირში მთქმელი კაცი იყო და დიდი ბოდიშები არ იცოდა... იაკობი სულ მუდამ თავისნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო“. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველთვის სიმართლეს იცავდა, რაიმე სუბიექტური მოსაზრებით მართალ გზას გვერდს არ აუქცივდა....

ერთი საინტერესო ფაქტიც გავიხსენოთ: „დედაუნაში“ მოთავსებულ ერთ-ერთ საკითხავ მასალაში ეწერა თურმე, რომ ოფოფი კუკუს იძახისო. გაზეთებმა განგაში ატეხეს, ეს რას ასწავლის იაკობი ბავშვებსო. ოფოფი იმიტომ ჰქვია, რომ ოფ-ოფ-ს იძახისო. ნოტებიც კი დაუჩა-

ტეს თურმე ერთ-ერთ გაზეთში. ვერ დაითანხმეს იაკობი. ფაქტი ისაა, რომ ოპონენტებმა ვერ დაარწმუნეს იაკობი. იაკობს დაუბარებია იოსები მჭედლიშვილი. „მიღვდით უარი, იაკობმა მაშინვე ოფოფზე ჩამომიგდო ლაპარაკი. წყენით შემომჩივლა,- იგონებს იოსები, - ყმაწვილო, გესმის, ეს ხალხი რას მიმტკიცებს! ოფოფი კუკუს კი არა ოფოფს იძახისო. შენ, როგორც სოფლის შვილმა, მწერალმა, ხმა უნდა ამოიღო“. დღეს შეიძლება ცოტა მხიარულად უღერდეს, მაგრამ იაკობისთვის მთავარი ისაა, რომ ვინც დედაენას აიღებს ხელში, მას მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრას, რაც არ უნდა უმნიშვნელო ფაქტად ეჩვენებოდეს ვინმეს ეს... იოსები მჭედლიშვილს იქვე უპასუხია, რომ იაკობი არ იყო სწორი. „მართლა? - გაკვირვებით უთქვამს იაკობს და დაუმატებია: შენ ტყუილს არ იტყვი, ამიტომ დაგიჯერებო“ და შემდეგ რომელიდაც გაზეთში დაუწერია კიდეც ამის თაობაზე... იაკობის პრინციპი ნათელია. მარკუს ავრელიუსის სიტყვებით შეიძლება გადმოიცეს: „უნდა შეგეძლოს შეიცვალო შეხედულება, თუკი ვინმე დაგანახვებს შენი შეხედულების მცდარობას. მაგრამ შეხედულების შეცვლის საბაბი უნდა იყოს რაიმე დიდი და ნათელი, როგორც, მაგალითად, სამართლიანობა, საზოგადო სიკეთისა თუ სხვა მათი მსგავსისათვის ზრუნვა და არა ის, რაც სასიამოვნოდ გიჩანს, ან დიდებას გიქადის შენ“. ისე-თი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ავრელიუსი ჩვენი კლასიკოსების ცხოვრებას იცნობდა და ამის მიხედვით გააკეთა ეს დასკვნა...

თავისნათქვამი კაცი იყოო, როცა წერენ, ახირებულობას კი არ გულისხმობენ, საბუთიანობა უყვარდა და უსაბუთო მსჯელობას ვერ დაეთანხმებოდაო, ამას აღნიშნავენ. მას არც პრეტენზია ჰქონდა ყოვლისმცოდნი-

სა. ამას მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებენ. აკაკი-
სადმი საპასუხო წერილიდან ერთი ადგილის მოშველიე-
ბაც შეიძლებოდა: „ენაში ხომ ვკოჭლობთ და ვკოჭლობთ
ყველანი, მაგრამ ეს არ შეადგენს ჩვენს მთავარ ნაკლს.
მომაკვდინებელი ჩვენი სენი უფრო სხვაა. ჩვენ ძლიერ
ღატაკნი ვართ ნათელის აზრითა, მიმართულებითა,
გარკვეულის მიზნით. ჩვენი ენა კიდევ ჭარტალობს, ხო-
ლო თავი კი ცალიერობს. ამის გამო ჩვენი ლიტერატუ-
რა წყალწყალა შეჭამანდს მოგაგონებთ, რომელშიც
ლობიოს მარცვალი. თითო საათობით უნდა ეძებოთ.
კალმის ასე ნაწარმოებში 99 უთავბოლო ყბედობაა და
სხვა არაფერი... ამის გამო საჭიროა ენის გარდა შინაარ-
სიც გავხადოთ საგნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა,
თუ აკაკიც ინებებს“.

ასე რომ, ეს პაექრობა ჩამთავრდა, სათქმელი ითქვა.
აკაკიმ თავისი ამტკიცა, იაკობმა - თავისი. ამ საკითხე-
ბის განხილვა არაა ჩვენი მიზანი, ჩვენ ზოგადი პოზიციე-
ბი და ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებები გვაინტე-
რესებს.

ჩამთავრდა პაექრობა, თუმცა იაკობი ახალ პაექრობა-
ში იწვევს აკაკის (“ენის გარდა შინაარსიც გავზადოთ
საგნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა, თუ აკაკიც ინე-
ბებსო“). გამოდის, რომ ამ პაექრობით ნაწყენი არ რჩე-
ბა. და ალბათ იმიტომ, რომ რაღაც გაირკვა, რაღაცას ნა-
თელი მოეფინა; ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზები დაი-
ლანდა. ამისთვის იდავეს, იკამათეს, გაცხარდნენ კიდეც...
ცოტა მოგვიანებით იაკობი დაწერს: „აკაკი წერეთელსა
და ჩემ შორის დაწყებული ხანგრძლივი პოლემიკა ქარ-
თული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით
დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა
თითქმის მეგობრობად იქცა“.

აქ ერთი საკითხიც არის ძალიან საინტერესო: მათი პიროვნული ურთიერთობები და მათი საზოგადო ასპარეზზე შეხვედრები. პირად ურთიერთობებში ჩვეულებრივი ადამიანები არიან: დავით, ჩხუბით თუ კინკლაობით. საქმე საქმეზე რომ მიღება, იციან ერთმანეთის ფასი, პატივისცემა... ბევრი მოგონება შემოვრჩა. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვენდოთ ავტორებს. მით უმეტეს, როცა ავტორი ისაა, ვისთვისაც აკაკიც და იაკობიც უდიდესი ავტორიტეტები არიან...

შიო მღვიმელი იგონებს: „ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოებაში აკაკი, ანტონ ფურცელაძე და კიდევ ერთი სხვა მუსაიფობდნენ. მე წიგნის საწყობში მომიხდა გასვლა. ჩემი იქ არყოფნისას რა ილაპარაკეს, არ გამიგია. გაიარა სულ მცირე დრომ და იაკობიც შემოვიდა თავის ჩვეულ ვადაზე.

- აი, აკაკი, იაკობიცაო, სთქვა გულმოსვლით ანტონმა და მივარდა იაკობს მწარე სიცილით და ყვედრებით: კაცო, ის რაები გილაპარაკია ჩემზედაო.

- რაო? რა მილაპარაკნიაო!

- აი, ეს შენ და ეს აკაკიო და მოუყვა.

აენთო გოგებაშვილი, დაიწყო ცხვირში ფრუტუნი, ერთი რაც ძალა და ღონე ჰქონდა დასცხო იატაკს ჯოხი და უთხრა:

- აკაკი, შენ ნამდვილი ჭორიკანა დედაკაცი ხარო... უთხრა სხვა მრავალი სიტყვებიც პირიდან ცეცხლის ყრით და მიაჩერდა მრისხანე თვალებით. და რომ აკაკის-გან ვერაფერი პასუხი ვერ მიიღო, უუ, შენს კაცობასო და გავარდა გარეთ.

- აბა, ამის შემდეგ რაღა გითხრაო, უთხრა აკაკის ანტონმა და ისიც ვაჰყვა იაკობს უკან.

აკაკიმ ჩაიღიმა თავისებურად და სთქვა: ერთი კოჭ-

ლი, მეორე გიუიო, აბა რა უნდა ველაპარაკო მაგათო და დაიწყო სხვა რამეებზე ოხუნჯობა...“

ესეც მორიგი ოხუნჯობა იყო აკაკისი, როგორც ჩანს. ცხადია, ამგვარი რამ მათ შემდგომ ურთიერთობებზე არ იმოქმედებდა.

ყოველგვარ ასეთ გახუმრებასა თუ, ერთი შეხედვით, უსიამოვნო გაპაექტებას გადასწონის თუნდაც ერთი ხოტბა ერთ-ერთი მათგანის მიერ მეორის მისამართით თქმული. ზემოთ გვქონდა საუბარი, როგორი პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს ოფიციალურ გამოსვლებში, პირად წერილებში. იოსებ სრესელი იგონებს: „იაკობს აკაკის მოსწრებული სიტყვების გაგონებაზე გულს დარღი გადაეყრებოდა. აკაკის ენამახვილობას ბევრჯერ გაუკენტლია იაკობიც. დიდი თაყვანისმცემელი იყო იაკობი აკაკის პოეტური ნიჭისა. როდესაც დაინახავდა ქუჩაში მხრებგაშლილ ამაყად მიმავალ ჭალარაშევერცხლილ მგოსანს, თვალები გაუბრწყინდებოდა სიხარულისაგან და აღტაცებით წამოიძახებდა: „აგერ, გამოჩნდა ქართული პოეზიის ფეხადგმული იალბუზიო!“ წერილიც აქვს იაკობს ასეთი სათაურით - „იალბუზი ქართული პოეზიისა“, როგორც ჩანს, მოსწონდა თავისი მიგნება და ხშირად იმეორებდა მას.

ზემოთ ვთქვით, ერთ-ერთ პირად წერილს აკაკი ასე იწყებს: „წარსულის შვილო, მომავლის მამავ და მყობალის გადიავ, ძმაო იაკობ“. სწორედ აკაკის შესაფერისი დახსიათებაა და, რა თქმა უნდა, იაკობს რომ ეკადრება, ისეთიც...

წერილში „იალბუზი ქართული პოეზიისა“ იაკობი წერს: „აკაკის მაღალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს. აკაკი პატარა საქართველოა“. იაკობი

ფრთხილობს, არ გადააჭარბოს და ჭეშმარიტებას არ
ასცდეს. ამიტომაც იქვე დააზუსტებს: „მაგრამ ამ დღიდე-
ბულს სახელს მარტო მას ვერ დავუსაკუთრებთ, — რადგან
ნაც თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ,
პატარა საქართველონი სხვანიც გვყავს, რუსთველი,
ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“. იაკობი ამ
ჩამონათვალში, ცხადია, თავის თავს არ შეიტანდა... ჩვენ
ვთქვათ ის, რაც ჭეშმარიტებაა: იაკობიც რუსთველის,
ილიას, აკაკის, ბარათაშვილისა და ვაჟას დარად - პატა-
რა საქართველოა. მისი მაღალი ბუნებაც „იტევს თავის
წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოისას, არა-
მედ მთელს საქართველოს.“

* * *

და კიდევ: ასიკო ცაგარელს სცოდნია თქმა იაკობზე:
ჯერ ბოდიშს მოიხდიდა და მერე იტყვოდა: „ქართველებს
და ქართულ ენას ისეთი ასარ-ბასარა დარაჯი ჰყავს, რომ
მას ვერავინ ვერაფერს დაკლებსო, არავის გაახარებს,
თუ ჯიბრზე მიღვა საქმეო“. ამას იაკობზე ამბობდა. ია-
კობს გვერდში ილია და აკაკი ედგნენ...

არადა, როგორ სჭირდება დღეს ქართულ ენას ასეთი
„ასარ-ბასარა დარაჯები!...“

არადა, როგორ სჭირდება დღეს ქართულ ენას ასეთი
„ასარ-ბასარა დარაჯები!...“



କୁଳାଳ ରାଜ୍ୟ

1913 წელს გაზეთ „თემში“ (№111, 18 თებერვალი) აკაკი წერეთელი აქცეუნებს ლექსის „ვაჟა-ფშაველას“:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მეოსანო მაღალ მთისათ,
თუმც კი გვითეხავ მარგალიტე!...
მკითხველიც იმას მკისათ!
ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,
მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა;
შენ დამიხატე ის მხარე
ფშაურის ჭკუა გრძნობითა.
და რაც არ გადმოგიცია
მის შვენებაზე ენითა,
მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს,
შენთანვე აღმაფრენითა.
ვიცი, რომ ფშავის სოფელი
წმინდაა მაღალ მთისათ,
ენა - მეტყველი სიმართლის,
გულ-მკერდი ფოლადისათ.
წინეთ რომ სმალი უქრიდით,
სადღეისოდ სქრის კალამი...
ვადაც ბარის მგოსნისგან
მთაულებს ძმური სალაძი”.

იმავე წელს, სამიოდე თვის შემდეგ, „სახალხო გა-
ზეთში“ იძეჭდება ვაჟას ლექსი „დაგვიანებული პასუხი
აკაკის“:

„ბევრი ვიფიქრე ძალიან,
თუ რა პასუხი გამეცა
შენთვის, მცხოვანო პოეტო,
დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა.
როს დავაპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავზარი დამეცა:
სიტყვა, მოსული სათქმელად,
ენიდან მომწყდა, ვამექცა,
დავლონებულვარ ძალიან,
თითქოს სახლ-კარი დამექცა.
რადა? რა ღმერთი ვამიწყრა
მარგალიტების მფლობელსა,
რომ თავის უშხო ენითა
ვეღარ ვაგონებ მშობელსა?!
ბულბულისათვის ვალობა
დაუწენია რომელსა?
ბარვალიტების მფლობელი
ენასა სმარობს ღონედა
და როცა მარგალიტს სთესავს,
ან თუ ააგებს ყორედა,
მაინც ის არის, რაც არი
ჭორები მოაშორეთა!
იქნებ მე, ჩემმა ენამა
სამშობლო დავაღონეთა?
ფრთები შევევეცეთ ოცნებას
დავამხეთ, დავამონეთა?
უვარვისობის მიზეზი

ფშავლობა არის სწორედა.
 მოძღვნილი არი მთის მიერ,
 ჩამოტანილი ქარისა,
 რატომ არ ჰყუობს, არ ვიცი,
 ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!
 აქაც ხომ ქართველები ვართ,
 ყვავილი აქაც ჰყვავისა,
 ხატად ჰყავ, ხალოცავ ხატად,
 მთიელთ სამშობლო თავისა.
 და ენა მთისა სიმტკიცით
 მხვავხია კლდისა სალისა;
 იქნებ აკლია, არ ვიცი
 ამ ლომს სინაზე ქალისა?
 ამისთვის დასაგმობია
 და წახალები წყალისა?!
 კაცი მეტყველი, მგრძნობელი,
 ცხოვლად ამხელი თვალისა,
 ამგვარის ამბის მოწამე,
 შევდრკე, დავმუნჯდე ლამისა.
 მაინც წინ მივაღ, მაინც
 არ მეშინიან შარისა,
 გულს მისვენია ხატად
 ენა მთისა და ბარისა.
 მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
 თუა ქართულის გვარისა.
 მოთაყვანე ვარ ყოვლისა
 იმათ ტკბილის და მწარისა.
 სხვა რამ მაშინებს, ისა ვსოფვათ,
 დამხშობი მზის და მოვარისა,

სამშობლოს დამამხობელი
და გამომჭრელი კარისა...
სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,
ნუ შეგაშინებთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა”.

ეს ლექსები საყოველთაოდ ცნობილია; იმდენად, რომ შეიძლებოდა ამჟამად აქ აღარც მოგვეყვანა, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ორი ლირიკული შედევრი; კიდევ ერთხელ გადავხედოთ მათ; დავუკვირდეთ მათ სტილს, ტონს, მიზანდასახულობას და შემდეგ განვაგრძოთ მსჯელობა...

თთქმის ყველას, ვინც კი ვაჟა-ფშაველას ენობრივ სამყაროს შეპჩებია, ვაჟას სტილის თაობაზე უმსჯელია და, საერთოდ, გენიოსი პოეტის შემოქმედებას დაუფიქრებია, აკაკისა და ვაჟას პოეტური პოლემიკისთვის გვერდი არ აუვლია. გაიხსენებენ ამ პაექრობას და შეაფასებენ მას. თუმცა... დიახ, თუმცა დასკვნები არაერთგვარია; მეტიც, ზოგჯერ დიამეტრალურად საპირისპირო.

* * *

ამ პაექრობამ მრავალ ტყუილ-მართალსაც მისცა და-საბამი, ბევრი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია. ი. იმედაშვილის მოგონებიდან: „ერთხელ შევეკითხე:

- ბატონო აკაკი, მაპატიეთ, მაგრამ მინდა შეგვითხოთ: ვაჟა ასე რად გაანადგურეთ.
- ვაჟა გავანადგურე?
- დიახ.
- რით, როდის?
- ენა რომ დაუწუნეთ.

- დასაწუნია და მიტომაც დავუწუნე... სხვებრ როგორ

შევკადრებ განადგურებას?

- ხალხმა კი ასე გაიგო: რაკი აკაკიმ ვაჟას ენა დაუწუნა - გაანადგურაო, მოგეხსენებათ, საქართველოში არავისი სიტყვა ისე არ სჯერათ, როგორც თქვენი...

- ძლიერ შეცდება, თუ ვინმე მომაწერს, ვითომც ვაჟას განადგურება მენებოს... პირიქით, როგორც მოღვაწე-მწერალსა და ნამდვილ ქართველს, ძნელად თუ ვინმეს პატივს ვცემდე, როგორც ვაჟას... ეგ ისეთ გმირად ჩამებეჭდა გულში, რომლის მსგავსს სხვას ვერ ვხედავ, რადგან მაგას სიტყვა და საქმე ერთი აქვს!... ენის დამანინჯება კი არავის უნდა ეპატიოს, - ენა უნდა იყოს ერთი, ნამდვილი ქართული, ხალასი, წმინდა წყარო... მაგან კი ფშავ-ზევსურების კილოკავები შემოიტანა, რომელიც არავის ესმის... ეს კუთხური გამოთქმანი არ გამოგვადგება...

- ამ მხრივ სხვებიც რომ სცოდავენ... - მივუგე და კრძალვით შევხედე.

- სხვებიც, სამწუხაროდ... საკუთრივ მეც ქე მაქვს აქა-იქ იმერული, მაგრამ იშვიათად, როცა ამას ტიპიურობა მოითხოვს. ეგ მამაცხონებული კი წრეს გადასცდა: ქართული გააფშავ-ზევსურა...

შეკამათება აღარ შევკადრე...“

მოგონებათა ავტორებს უნდა ვერწმუნოთ, ოღონდ სიტყვაზე ნუ გამოვედევნებით - ეს მაინც სხვისი სიტყვით ნათქვამი აკაკისა თუ ვაჟას აზრია.

სიკო ფაშალიშვილი იგონებს: ვაჟას „ცნობისმოყვარედ შევეკითხე - პაპიროსის წევა დაგიწყია-მეთქი?

- არა, კაცო, ჯავრიან გულზე პირს ვიბოლავ, რომ სიტყვა უნდილი არ გამოვიდეს. როგორ არ გავჯავრდე? სადაც მივალ, წინა მხვდება - ენა დაგიწუნაო, მაგ კაი კაცმა, რაღა ახლა მიყელა?

- მე ვიფიქრებდი, ეს ლიტერატურული გამოხმაურება იყო.

- გიცხონდა ქოჩორი, თუნდ დიდმარხვის მიღლოცვა დაარქვი, ე, მე კი უპასუხობას ვერ ვურიგდები და...!"

მოგონებებში ზოგჯერ ისეთი ფრაზებიც გაკროება, ძნელი დასაჯერებელია ამგვარ ფრაზათა რეალურობა. გულქან რაზიკაშვილმა თქვაო: „წაიკითხა მამამ, არ ვიცი, ლექსი აღარ მახსონ, გაზეთში იყო, აკაკიმ რო დაუწუნა. ენას მიწუნებს აკაკუნაიო, - ისა თქვა. არ იყო ხასიათზე ცუდზედ, არა.

დიდხანს ვიფიქრე მაგაზე, თუ რა პასუხი გამეცაო.

მე არც ერთ კილოს არ ვჰქუნობ, თუა ქართული გვარისაო...

მე რატომ არ ვჰქუნობ მაგათ ენასაო, რაებსა სჩხაპნიანო, - ისა თქვა..."

ნიკო კურდღლელაშვილის (ნარკანის) მოგონებიდან: ვმსჯელობდითო „ - რუსთაველიდან დაწყებული დღემდე ქართულმა ენამ მრავალი დევნა და ცვლილება განიცადა, მაგრამ სალიტერატურო ენა მაინც ჩამოყალიბდა; ჩვენი ენის ღირსება ის არის, რომ სასაუბრო და სამწერლო ენა ერთმანეთისგან არ არის დაშორებული, როგორც ზოგიერთ სხვა ენებში. რუსთავი სალიტერატურო შემოქმედი პუშკინი იყო. ჩვენცა გვყავს სალიტერატურო ენის შემოქმედნი: ილია, აკაკი...

- პეპლების პოეტებისა არა მწამს რა, - კვლავ ჩაურთო ვაჟამ.

- საქმე პეპელა კი არ არის, არამედ ის, რომ მგოსნის ნაწერი ხალხის გულს ჩასწვდეს, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხისათვის გასაგები იყოს, - ესაა სალიტერატურო ენის ღირსება...

- რუსთაველის ენა მთაშია შემონახული, ფშავ-ხევსურეთში, რაჭაში, ხევში, ალბათ სვანეთშიც. ამ ენას უნ-

და უფრთხილდებოდეთ თვალის ჩინივით! - არ ისვენებს ვაჟა“.

ისევ იმ პოლემიკის გამოძახილი და ისევ მოულოდენელი ფრაზები...

* * *

მწარედ რომ განუცდია ვაჟას აკაკის ლექსის გამოქვენება, ფაქტია (ცუდ ხასიათზე არ იყო, კი ამბობს გულქან რაზიკაშვილი, მაგრამ...). აკაკის ლექსი 18 თებერვლის გაზეთში გამოქვეყნდა. 19-21 თებერვალს ვაჟა ქუთაისშია, იღიას · საღამოში მონაწილეობს. დ. კლდიაშვილი, მისი უპირველესი მასპინძელი, მოიგონებს: „საღამოს მივაცილეთ სადგურამდი და გავისტუმრეთ თბილისში. სადგურისკენ მიმავალმა სხვათაშორის მითხრა:

- ახირებული ადამიანია ეს ჩენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ, ფშაველოო“. კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ არაფერი ყოფილა: და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! - ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა“...

ზოგი რამ, როგორც ჩანს, დაზუსტებას საჭიროებს. ს. ფაშალიშვილი ამტკიცებს, ქუთაისში რომ იყო ვაჟა, წაკითხული არ ჰქონდაო აკაკის ლექსი: „ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ ვაჟას საინტერესო ლიტერატურული „მოულოდნელობა“ დაუხვდა: „გაზეთ „თემის“ 1913 წლის 18 თებერვლის ნომერში მოთავსებული აკაკის ლექსი „ენას გიწუნებ, ფშაველო“ მან ვორში ჩამოსვლისას წაიკითხა. ზსენებული ლექსი ვაჟას ქუთაისში მოგზაურობის დღეებს ემთხვეოდა, მაგრამ ეტყობა, რაღაც ტექნიკური მიზეზების გამო „თემი“ რამდენიმე დღის

დაგვიანებით გამოსულიყო და გიმნაზიის მოწაფემ, ვაჟას
შვილმა ლევანმა, კიოსკიდან იმ დღით გამოიტანა...

ვაჟა „თემის“ წაკითხვის შემდეგ ერთგვარად გაწინი-
ლებული დარჩა, პასუხიც დააპირა, მაგრამ „სახალხოს“
მესვეურების რჩევამ შეაჩერა - „ამ საკითხზე კამათის
აღმდევრა აკაკისთვის საწყენი არ გამოვიდესო“, დააშოშმი-
ნეს ვაჟა და ჩარგალს წავიდა“.

აღბათ, არსებითი არაა წვრილმანი დეტალების ასე-
თი სიზუსტე. მთავარი ვაჟას რეაქციაა: არ ყოფილა
მისთვის იოლი ენის დაწუნება. თუმცა, ისიც ვთქვათ -
არსებითია, ვინ გამოთქვამს საყვედურს. აკაკის სიტყვას
მეტი წონა აქვს მისთვის და ამიტომაც მოხვდა მწარედ
მისგან ნათქვამი საყვედური, თორემ... მოდი, აქაც მოგო-
ნება მოვიშველიოთ. შ. მღვიმელი: „ერთხელ სუფრაზე
შანშიაშვილმა ვაჟას მოაგონა ის ამბავი, როცა მწერალ-
მა მელიტონ გობეჩიამ „სახალხო ფურცელში“ დასაბეჭ-
დად მიტანილი ლექსი დაუწუნა და არ დაუბეჭდა -
„რითმები არ ვივარგაო“, ვაჟას ამ ამბის გახსენება სიცი-
ლადაც არ ეყო“.

აქ გულქან რაზიკაშვილისეული დახასიათებაც მინდა
გავიხსენო ვაჟასი: „თუ ადამიანი არ მოსწონდა, არც ავად
ასჩქამდებოდა და არც კარგადა“.

დიახ, ეს უპირველესი პირობა იყო ორივე კლასიკო-
სისათვის: თუ შემოქმედი არ მოსწონდათ, არც ავად
ასჩქამდებოდნენ და არც - კარგად.

* * *

აკაკი და ვაჟა იყვნენ პატივისმცემელნი და დამჯასე-
ბელნი ერთმანეთის გენისა. აღბათ, სხვაგვარ კომენტარს
საჭიროებს გალაკტიონის აზრი: „აკაკის არაფერი არ
სწამდა ვაჟა-ფშაველასი და ვაკეირვებას ვძლეოდა,
როდესაც ჩედავდა ვაჟა-ფშაველას ტრიუმფს. სამაგიეროდ

ვაუა მუხლს იყრიდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუ-
ხებდა მას აკაკის შეხედულება. ასეთია დიდბუნებოვან
ხალხთა ცხოვრება“...

არა, არ იყო ასე...

აკაკის ზემომოხმობილი ლექსი მოვიშველიოთ. გარდა
ფრაზისა - „ენას გიწუნებ, ფშაველო“- ქება-დიდებაა ვა-
უასი, ვაუას შემოქმედებისა, მისი მშობლიური კუთხისა.
ფაქტია, აკაკისათვის ვაუა დიდად პატივსაცემი შემოქმე-
დია.

ვაუაც რომ პატივისმცემელია აკაკისა, აშკარაა. გავიხ-
სენოთ ქუთაისში აკაკის იუბილეზე თქმული ლექსი ვა-
უასი:

....მეც ამატირა ბევრჯელი
შენს თვალზე ცრემლის დენამა.
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!!

ძაღლობელი ვარ გულითა,

შოთაის სულის ლხენამა!

სამშობლოს სამსახურისთვის

ჩანგი გიკურითხოს ზენამა!“

ანდა ლექსი „უკანასკნელი სალამი“, რომელიც ვაუამ
აკაკის ნეშტს უძღვნა...

ესეც ვთქვათ: ვაუას აქვს „ჩანაწერები ქართველ
მწერალთა შესახებ“:

„ანასტასია - ანუსხე-გადანუსხე.

კატო - ქალთა შორის კარგო.

ილია - იშვიათი ხილია.

იაკობ - „დედა-ენას“ ვშობ.

გრიგოლი - მუზების მიმყოლი...“

ჩამოთვლას კი ასე იწყებს :

„აკაკი - რა კარგი!“

სამწუხაროდ, არაა მითითებული, რომელ წელსაა ჩანაწერი გაკეთებული. ამას, ალბათ, ამ ორი გენიოსი პოეტის ურთიერთდამოკიდებულების გასარკვევად, არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს.

ფაქტია: აკაკისათვის ვაჟა მარგალიტების მთესავი შემოქმედია, ვაჟასათვის აკაკი - ღვთის მიერ ნაკურთხი ჩანგის პატრონი.

კიდევ ერთი ქებაც გავიხსენოთ ვაჟასი აკაკის მიერ თქმული: „ამით მე ის კი არ მინდა ვსოქვა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეთ!... პირ აქედ, უხვად არიან მადლით მომადლებული. ამ კრებულში რომ დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“, ერთი უკათესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წვრილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის ბაჩანასი და თედოსი, საზოგადოთ სამარგალიტო შაირები არიან!... პროზა ხომ კიდევ უკათესი.“ რაზიკაშვილთა ეს ხოტბა აკაკიმ 1899 წელს დაბეჭდა. ასეთ ფაქტსაც იგონებს დავით ფალავა: „აკაკიმ იმ საღამოს განსაკუთრებული აღფრთოვანებით წაგვიკითხა ავთანდილის ანდერძი. ბევრი ილაპარაკა შოთაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, მის გმირებზე, შემდეგ აიღო უურნალ „მოამბის“ აზალი ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი „სიმღერა“ და ცახელის რომელიდაც ლექსი: „აი, მაგალითად, ვაჟა მეტად ნიჭიერი მწერალია. იგი შეუდარებელი ენით წერს პროზად, ლექსის ენა კი მიუღებელიაო“.

გვთხოვა მიგვეცა ვაჟას პროზად დაწერილი რაიმე ნაწარმოები. ჩვენ მაშინვე მივუტანეთ ვაჟას „ფესვები“. აკაკიმ დაიწყო კითხვა. ყველანი სმენად გადავიქეცით. ეს ნაწარმოები აკაკის წაკითხვის შემდეგ უფრო ლამაზად მოგვეჩვენა“...

ის მოგონებაც გავიხსენოთ, ი. გრიშაშვილმა რომ

გამოაქვეყნა მოგვიანებით ამ სათაურით: „აკაკი, ვაჟა და აშინოვი“. რა სიყვარულით, პატივისცემითა და სიამაყით გვიყვება აკაკი ვაჟას გმირობის ამბავს.

* * *

ზემოთ ზეპირგადმოცემათა ტყუილ-მართალი ვახსენეთ. ორი შემოქმედის პაექრობა მავანსა და მავანს ეჭვს აღუძრავს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე და უკვირთ, როცა ეს ეჭვი არ გამართლდება. ს. შანშიაშვილის მოგონებიდან: „მახსოვს, აკაკის ვუმართავდით იუბილეს. მთელი საქართველო ფეხზე დადგა აკაკის პატივსაცემად. მე და რამდენიმეს გვეგონა, რომ ვაჟა ამ იუბილეზე არ ჩამოვიდოდა, რადგან აკაკიმ ვაჟას რამდენჯერმე აწყენინა. მაგრამ, უცბად, მოლოცვების დროს, სცენაზე გადმოენოო ვაჟა და საზეიმო ხმით დაჭექა.“

შეიძრა მთელი დარბაზი. წამოვიდა იარუსებიდან ზღვა ყვავილები. მეგონა, თითქოს დარბაზი ინგრეოდა. ზოლო როდესაც გაისმა:

„ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა“,

ანდა:

„სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა“.

მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. აკაკი ვაჟასკენ წამოვიდა, ვაჟა - მისკენ და ერთმანეთი გადაკოცნეს. მე ასე შევატყვე, რომ ორივეს თვალთაგან სიხარულის ცრემლი სდიოდა“. არც შეიძლება სხვანაირად ყოფილიყო, რადგანაც მთელი თავისი ცხოვრება ვაჟამაც იმ პრინციპით გაატარა, რასაც აკაკი ასე ჩამოაყალიბებს ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილ წერილში: „შენ მეტყვი: დე ცილი სწამონ და სდევნონ ჩვენი პირადობაო, მაგრამ ვერ გეთანხ-

მები. რომ ჩვენი პირადობა საზოგადო საქმეებთან არ იყოს შედუღებულ-შეკავშირებული, კიდევ პო, მაგრამ, როდესაც საზოგადოსი და პირადობის გამოყოფა აღარ შევვიძლიან, მაშინ ჩვენის მხრით სულგრძელობა მოღალატობათ ჩაითვლება“.

ამიტომაც არის, რომ როცა ს. ფაშალიშვილი აკაკი-სა და ვაჟას პაექრობის თაობაზე მსჯელობს, სიამოვნებით დაასკვნის: „ამრიგად, კამათი მათოვის შესაფერი ნამდვილი ლიტერატურული ფორმებით დასრულდა. თავიანთი სიცოცხლის მწუხრის მოახლოებისას ორმა ბუმბერაზმა ერთმანეთს ლექსით უთხრა გულისნადები. მაგრამ როგორც გამოწვევაში, ისე პასუხში პირადულს მაინც არ გადაუხრია ზომიერების სასწორი. ისინი ჩვენი ქვეყნის ტკივილებზე, მისი კეთილდღეობის სურვილებზე შეეხმაურნენ ერთმანეთს და ამით უთუოდ დავალებული დატოვეს ჩვენი პოეზიაც“.

* * *

აკაკისა და ვაჟას ლექსთა გაცნობისას რამდნობიმე კითხვა იჩენს თავს: რატომ პევია ლექსს „დაგვიანებული პასუხი“, მაშინ, როცა თითქმის ერთი-მეორის მიყოლებით იბეჭდება ერთსა და იმავე წელს (სხვადასხვა გაზეთში)? რატომ ჩანს ვაჟა ასე გაღიზიანებული, განრისხებული, როცა აკაკის ლექსი, როგორც ვთქვით, გარდა ფრაზისა - „ენას გიწუნებ“ - ქება-დიდებაა ვაჟასი, ვაჟას შემოქმედებისა, ვაჟას მშობელი-კუთხისა? ნუთუ ეს ფრაზა არის მხოლოდ ამის საფუძველი? არის კი „დაგვიანებული პასუხი“ აკაკის მხოლოდ ამ ლექსის პასუხი?

როგორც ჩანს, არა.

პაექრობას უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. ვაჟას გულისტკივილი და განაწყენება არ ჩანს მხოლოდ აკაკის დასახელებული ლექსით გამოწვეული. აკაკისა და ვაჟას

შორის ენობრივ პოზიციათა შეუთანხმებლობა უფრო ადრეა დაწყებული. ზევით ნაწყვეტი მოვიყვანეთ აკაკის წერილიდან, ხოტბას რომ ასხამს რაზიკაშვილებს.

ეს გახლდათ ამონარიდი აკაკის კრიტიკული წერილი-დან („ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“), რომლის ერთი ნაწილი არქიმანდრიტ კირიონისა და გ. ყიფშიძის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს („სიტყვიერების თეორია და ქრესტომათია“, 1898) ეხება. აკაკი მსჯელობას იწყებს ქრესტომათიის შემდგენლებისადმი საყვედურით: „დიდი შეცდომაა გაურჩევლად რაზიკაშვილების ნაწერების სანიმუშოდ შემოტანა სახელმძღვანელოში. ამით მე ის კი არ მინდა ვთქვა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეთ“... და იწყება ხოტბა ვაჟასი და მისი ძმებისა, ზევით რომ მოვიყვანეთ, მავრამ წერილი ასე გრძელდება: „საწყენი ის არის, რომ განგებ ამახინჯებენ თვითვე მათ ნაწარმოებს ქართულის გადაჯორჯვე-გადმოჯორჯვით და შიგადაშიგ ისეთ რამეებს ახორციელებენ, რომ მშვენიერებას საუწმინდუროთ ჰდაღვენ!... ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიძლიდრეს უმეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და მიმოხვრა!... ვინც ზმნებს ჯეროვნად ვერ ხმარობს, ის უეჭველად ქართული ენის უმეცარია!... და ზმნებს საზოგადოდ, რაზიკაშვილებიც ვერა, ანუ უფრო მართალი იქნება ვთქვათ, განზრახ არა ხმარობენ სისწორით, ამახინჯებენ და ეს უკუღმართობა სიტყვიერების გარეგანი სხივ-ცისკროვნება ჰგონიათ!.. ეს ზმნები: „ჩაუხოცავის, გაურეკავის, გავხედნებ, ავხედნებ, შეიძრალოდეთ, მიიბაროდეთ“ და სხვა ამგვარნი, ნეტავი რა ფრაზებია და ლრამატიკულს რომელს კანონთაგანს ეთანხმება?... არ გაგონებსთ ეს რუსის მიჩორთვილ ქართულს, როდესაც ის „წადის“ მაგივრად „ცაუდის“ ამბობს და „გავაკეთებს“ ნაცვლად „გაუკეტინ მე-ს“!

მართალია, აკაკი ამ შემთხვევაში ბაჩანასა და თედოს

ლექსებიდან მოიყვანს მაგალითებს, ზემოდასახელებულ სახელმძღვანელოში („სიტყვიერების თეორია და ქრესტომათია“, თბილისი, 1898) რომ დაიბეჭდა, მაგრამ საკუველური ვაჟასაც ეკუთვნის, რადგან, როგორც ვნახეთ, რაზიკაშვილებზე საუბრობს და ვაჟასა და მის ძმებს ერთად მოიხსენიებს (“წვრილმანი ლექსები, როგორც საკუთარდ ვაჟასი, ისე მისი ძმის ბაჩანასი და თედოსი“...).

მკაცრია აკაკი და დაუნდობელი ამ შემთხვევაში რაზიკაშვილთა მიმართ. წერილი 1899 წელს იბეჭდება „აკაკის კრებულში“ (№2, თებერვალი). უფრო ადრე, 1887 წლის ოქტომბერში, იონა მეუნარგიასადმი მიწერილ წერილში აკაკი წერდა: „ისეთ რამეს მეკითხები, რომ პასუხის მიცემა ძნელია. „ენის მხრით რომელი უფრო მოგწონს შენი ლექსიონ“, - მეკითხები, და მე დღემდი ბევრი მომწონდა, მაგრამ დღეს კი „ივერიამ“ ისე ამირია, რომ აღარც ვიცი, როგორ გავარჩიო... მე მგონია, რომ აღარც ერთი აღარ ვარგა, რადგანაც ჩემი ენა თურმე მოიძმერლებს და არა მოიხევსურ-მოიბაჩანავებს“. აქ აკაკი აშკარად ამჟღავნებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას რაზიკაშვილების ენის მიმართ: „მოიხევსურ-მოიბაჩანავებს“ სწორედ ფშავ-ხევსურული დიალექტური ფორმების გამოყენებას გულისხმობს.

ზევით დ. ფალავას მოგონება მოვიყვანეთ, პროზის ენას რომ უქებს აკაკი ვაჟას, პოეზიას კი უწუნებს („შეუდარებელი ენით წერს პროზად, ლექსის ენა კი მიუღებელია“) და ამის დასაბუთებას ცდილობს კიდეც. ხმამაღლა უკითხავს მსმენელს: „ეს ნაწარმოები („ფესვები“ - გ.გ.) აკაკის წაკითხვის შემდეგ უფრო ლამაზად მოვეჩენა, შემდეგ აიღო „მოამბეში“ მოთავსებული ვაჟას „სიმღერა“ და ენაში იმდენი უმართებულო დაგვანახა, რომ ყველას ენა ჩაგვივარდა.“

ასე, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლე-

ბული კერძო საუბრებში, პირად თუ კრიტიკულ წერი-
ლებში გამომჟღავნებულ პოზიციას, დამოკიდებულებას
სალიტერატურო ენაში დიალექტური ფორმების ხმარე-
ბით გამოწვეულს, მოგვიანებით, 1913 წელს, ცნობილ
ლექსში ამგვარ ფორმულირებას მისცემს: „ენას გიწუნებ,
ფშაველოო“... ვაუას ლექსის პათოსი, ტონი, როგორც
ჩანს, პასუხია არა მხოლოდ ამ ლექსისა, არამედ სწორედ
აკაკის ზოგადი პოზიციისადმი რაზიკაშვილებისა და,
კერძოდ, ვაუას ენის მიმართ; პასუხი ჩანს არა კონკრე-
ტული ლექსისა, არამედ ადრე გამოთქმული შენიშვნები-
სა და კრიტიკისაც. „დაგვიანებულიც“ ალბათ ამიტომ უნ-
და ერქვას მას...

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ აკაკის პოზიციისად-
მი, ვაუას მიმართ აკაკის დამოკიდებულებისადმი
გულისწყრომა ადრეც გამოუთქვამს ვაუას. 1901 წელს
ვაუა-ფშაველა „ივერიაში“ აქვეყნებს ლექსს „ლილინი“,
რომელსაც აკაკის უძღვნის:

„გაქაშდი, გულო,
გაფხავდი, ენავ!
ვერას დამაკლებ, შავთ დროთა დენავ!
სანამ მაქვს სმენა
და პირში ქშენა,
ვერას დამაკლებს ძალლების ლრენა!
სანამ მაქვს ჯანი
და ფეხზედ ჯლანი,
მუშაობს მკლავი და ტანზე თავი, -
მოკეთის ბაზბა
და მტრისთვის ავი
ვარ და ვიქნები.
მკვდარს რაღა მეზღვის?
ან რაღა მეთქმის?!“

ცოცხალს კი ესა გულს გამეთება:



ყელსა მჭრის დანით

მოძმეთა კვნება!

მიტომ არ ვიშლი,

ენასა ვლებავ

და მგლოვიარეს ქართულსა ვთებავ”.

ვაჟას რამდენიმე ლექსი აქვს, რომელშიც სათაურს ქვევით ფრჩხილებში მიანიშნებს, თუ ვის ეძღვნება ლექსი (ვუძღვნი ძმა-მეგობარს, ვუძღვნი შიო მღვიმელს, ვუძღვნი თედო რაზიკაშვილს, ვუძღვნი განდევილს, ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს და სხვა). ყველა შემთხვევაში ასეთი ლექსი მიმართვაა პოეტისა ლექსის ადრე სატისადმი:

„რა გითხრა, ბიჭო, ისეთი,
არ გავაჯავრო მსმენელი...“

(თ. რაზიკაშვილს)

„მცირე რამ შემონაწირი
მიიღე თავის ძმისგანა“...

(შ. მღვიმელის) და სხვა.

ასე რომ, ზემომოყვანილი „ლილინი“ მიმართვაა აკაკი-სადმი საკუთარი ენობრივი პოზიციის დასაცავად (“გაკაუდი გულო, გაფხავდი ენავ!...“). შეიძლება ცოტა უცნაურიც გვეჩვენოს ასეთი ტონი, მაგრამ გავიხსენოთ, რომ 1899 წელს იბეჭდება აკაკის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული რაზიკაშვილების ენა. ყურადღება უნდა მიექცეს ალბათ ლექსის სათაურსაც - „ლილინი“. ვაჟას ხუთ ლექსის აქვს სათაურად „სიმღერა“, მრავალს - ქვესათაურად; „ლილინი“ - ორადორს. ერთი ზემომოყვანილი ლექსია, აკაკი-სადმი მიძღვნილი, მეორე მიძღვნის გარეშეა:

„იმ დღეს ჩიოდა „პეტრუზა“:

„ბევრი მეწვება ნისია“.

ვაჭრობის წესი ევ არის,

ნუ გასჯავრდები, ბიძია!...“

პოეტური განწყობა „სიმღერებისა“ და „ღიღინებისა“ განსხვავებული ჩანს; „ღიღინში“ ირონია გამოკრთის... ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს... ფაქტია, აკაკისადმი მიძღვნილ ლექსს რომ „ღიღინი“ ჰქვია, არ ჩანს შემთხვევითი ამჯერად.

უურნალ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემელს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას წერილს მისწერს ვაჟაფშაველა:

„ქალბატონო ანასტასია

14 შარტს მოწერილი თქვენი ბარათი დღეს, ორ აპრილს მივიღე და პასუხსაც ეხლავე გწერთ. სამდურავსა მითვლით, არ ვიცი, რად და რისთვის? „სხვას კაი მასალას აძლევთ და ჩვენ კი უხეიროსაო. ახლად დაბრუნებულმა რედაქციის წევრმა აკაკიმ დაიწუნა თქვენი მასალაო“ და სხვ. და სხვ.

მე თვითონ დიდად პატივსა ვსცემ აკაკის ნიჭს და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის, არც სხვას, რომ საკუთარი თავის პატივისცემაზე ზელი ავიღო, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებაზე ამა თუ იმ საგანზე. თქვენ კი ნურას უკაცრავად, ბატონო ჩემო, ამ სიმართლის თქმისთვის, სულ სხვაგვარად მოგსვლიათ საქმე. რაც მე მასალა წარმოგიდგინეთ, თქვენ ხომ მიღეთ ის მასალა და კიდევაც უნდა დაგებეჭდათ, თუ საკუთარს თავს და საკუთარს აზრს რაიმე ფასსა სდებთ. ერთიც ვნახოთ, ხვალვე აკაკიმ ამ „რედაქციის წევრობას“ თავი დაანებოს, მერე მე და თქვენ რაღა გვეშველება! ხომ უნდა ვირბინოთ კარი-კარ და სხვა დამფასებელი ვეძიოთ ამ ლიტერატურულ მასალისა. მაშ რე-

დაქტორობა რადღა გაუჩენია ღმერთსა?...“ - წერილი
1894 წლითაა დათარიღებული.

როგორც ჩანს, ვაჟას შემოქმედებისადმი ამგვარი ცრის ტიკული დამოკიდებულება არ იყო იშვიათი და გამონაკლისი. ერთ-ერთ წერილში უკრნალ „ჯეჯილის“ რედაქციას მისწერს რედაქტორ-გამომცემელთაგან თავგაბეზრებული ავტორი: „გთხოვთ უმორჩილესად, ბერა „ჰ“ დაიცავით ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ“...

ანდა: ნიკო კურდლელაშვილი მოიგონებს. „ივერიის“ რედაქტორი ხალხმრავლობააო. რედაქციის თანამშრომელი შიო დავითაშვილი ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებს. „ვაჟა უცებ გასხლტა დავითაშვილისაკენ და კალამს უტაცა ხელი:

- ციც, შიო!

შიომ საბოდიშო ღიმილი შემოაგება:

- ვაჟა, საწყენად კი ნუ მიიღებ და ვიფიქრე, იქნებ ასე სჯობდეს-მეთქი.

- შიო, ჩემს დაწერილს გასწორება არა სჭირდება; რაც დავწერე, დავწერე, ბასტა! არ მოგწონთ, ნუ დაბეჭდავთ, გასწორება კი არა-მეთქი!

შიომ ღიმილით წამოიწყო თავისმართლება, მაგრამ ვაჟამ სიტყვა მოუჭრა.

ლექსი შიომ სტამბაში წასაღებ მასალასთან გადადო. ამ ლექსის სათაური იყო „ბებერი ლომი“. მაინც ისე უხრიკა დავითაშვილმა ვაჟას, რომ იმ დღეს ფელეტონის განყოფილებაში მიაყოლა ცახელის ვრცელი პოემა, აკაკისებური, მსუბუქი სტილით დაწერილი, რითმაც მწყობრი მოსდევდა ცახელს...“ - „უხრიკა“ იმას გულისხმობს, რომ ვაჟას ენის თავისებურებათა „თვალსაჩინობისათვის“ „აკაკისებური“ სტილით დაწერილი პოემა დაუყენა გვერდით...

აკაკის შენიშვნებსა და კრიტიკას ვერ ივიწყებს ვაჟა,

არაერთგზის გაიხსენებს. 1908 წელს ქუთაისში აკაკის იუბილეზე წაკითხულ ლექსში - „აკაკის საიუბილეოდ“ - ისევ გაპენტლავს:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი

„თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,
ჩემი ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე, სარეკელახი
როგორც წისქვილში რაკუნი“.

ეს ის ლექსია, რომელსაც დიდებული ქებით ამთავრებს:

„მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის ხულის ლხენახა!
სამშობლოს სამსახურსითვის
ჩანგი გიკურთხოს ზენაძა“.

მაგრამ წყენა მაინც გამოკრთა. „არმოწონებაში“ აკაკისეული კრიტიკა იგულისხმება რაზიკაშვილთა ენის მიმართ.

კიდევ ერთ ლექსს მინდა ყურადღება მივაქციო. 1913 წლის 20 თებერვალს ქუთაისში სალიტერატურო დილაზე ვაჟას წაუკითხავს ლექსი „იმერეთს“, რომელიც ასე იწყება:

„ერთხანად ჩემო მძრახაო,
ლიხს აქეთურო დედაო“ (ლექსი ქუთაისში იკითხება და ამიტომა „ლიხს აქეთური“. ნაბეჭდში „ლიხს იქეთური“ ჩაუსვამს). რა ძრახვაზეა საუბარი (ხელნაწერის I ვარიანტში „მწყევარო“ ყოფილა)? გერონტი ქიქოძე წერს ვაჟას შესახებ: „ყოველი მისი ახალი თხზულება აღტაცებას იწვევს ტფილისის გემოგახსნილი და მოწინავე ლიტერატორების ვიწრო წრეში; მაგრამ ამავე დროს გაზეთ „ივერიას“, სადაც მისი ნაწერები იბეჭდება უმთავრესად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მოდის ერთპიროვნული ან კოლექტიური მუქარის წერილე-

ბი: შეწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბეჭდვა, თორემ გაზეთის გამოწერაზე უარს ვიტყვითო. ეს არალოიალური და მტრული განწყობილება ვაჟასადმი შემდეგაც გახანს არ შეცვლილა: მან ჯერ თავი იჩინა თვით „ივერიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის - მეველის - ყოვლად უდიერ გალაშქრებაში ვაჟას წინააღმდეგ 1894 წელს, ხოლო უკანასკნელ დროს აკაკის ცნობილ ლექსში, რომელშიც ვაჟას ენა იყო დაწუნებული და რომელმაც ვაჟას მხრივ რაინდული და თავდაჭერილი პასუხი გამოიწვია“.

* * *

ის ფაქტი, რომ აკაკის „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებზე“ ვაჟა წერილით არ უპასუხებს კონკრეტულად, აკაკისადმი მოკრძალება-პატივისცემით უნდა აიხსნას, თორემ თავისი თაობის პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, პეტრე მირიანაშვილს, „ივერიაში“ 1888 წელს დაბეჭდილი წერილისათვის „საერო ენა და სათემო კილო“ საკმაოდ მკაცრი პასუხი გასცა ვაჟამ იმავე წელს „ივერიაში“. დავის საგანი აქაც დიალექტური ფორმების გამოყენება იყო.

მაგრამ აქ ვაჟა-ფშაველას ერთი წერილი გავიხსენოთ, 1901 წელს „ივერიაში“ რომ დაიბეჭდა - „ენა“. ამ ბრწყინვალე წერილში ვაჟა თავის ენობრივ პოზიციას განმარტავს, თავის შეხედულებებს გადმოგვცემს... წერილი ასე იწყება: „ამ ბოლო ხანს ჩვენს საზოგადოებაშიაც შეხვდებით სამდურავს ქართული ენის შებლალვისა გამო“. შემდეგ წერს: „ოქვენს უმორჩილეს მონას, ამ წერილის ავტორსა, ხშირად გამიგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამდურავი - დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო“... ხომ არ არის ეს წერილი პასუხი აკაკის „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებ-

ზე“ (აკაკის წერილი 1899 წ. დაიბეჭდა)?... ვფიქრობთ, კი...

ამგვარად, პაექრობას სამწერლო ენის თაობაზე ატაბი-სა და ვაუას შორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და მწვავე ხასიათი ჰქონდა. 1913 წელს გამოქვეყნებული ლექსები, ასე ვთქვათ, აჯამებს ამ პაექრობას. როგორც ითქვა, ჩვენი აზრით, „დაგვიანებული პასუხი“ პასუხია არა კონკრეტული ლექსისა, არამედ ზოგადად აკაკის პოზიციისა რაზიკაშვილების ენის მიმართ. „დაგვიანებულიც“ ამიტომ უნდა ერქვას პასუხს - ადრე სათქმელ პასუხად მიაჩნია ვაუას.

ამიტომ დასაზუსტებელი ჩანს ასეთი დასკვნა: „იმ ერთმა სტრიქონმა (იგულისხმება: „ენას გიწუნებ, ფშაველო“ - გ.გ.) დაბადა ახალი საოცრება ვაუას ლირიკისა „დაგვიანებული პასუხი აკაკის“. დასაზუსტებელია ის, რომ „ერთი სტრიქონი“ საბაბი ჩანს ამ ლექსის დაწერისა და არა - მიზეზი.

შენიშვნა: 1980 წელს უურნალმა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ საფინანსო მოაწყო თემაზე:

„ვაუას პოეტური ქვეყნის მოსახილველად“. მასში მონაწილეობა მიიღებს პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა. ერთ-ერთი ასეთი კითხვა იყო: „როგორ აცნობიერებინებთ მოწაფეებს ვაუა-ფშაველას ენობრივ პოზიციას“. ამ დისკუსიის მასალებიდან მოხმობისას ციტატის ქვემოთ მხოლოდ უურნალის სათაურს მივანიშნებთ (შემოკლებით: ქელს). აქ მოყვანილი ციტატაც ამ გამოცემიდანაა.

* * *

შემთხვევითია და კერძოობითი ხასიათისა ის ფაქტი,

რომ ასე დაუინებით აკრიტიკებს აკაკი ვაჟას დამოკიდებულებას სალიტერატურო ენისადმი?

დავინახეთ, რომ ვაჟას ენის მიმართ კრიტიკულობაზე რი მხოლოდ აკაკის არ გამოუთქვამს. ილიამ ვაჟას თარგმანი დაიწუნა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მისწერა: „თარგმანი „ორლეანელის ქალისა“ მე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას, მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვისმე გაასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივ-საცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთის კაცის აზრი და შთაბეჭდილება“. 1905 წელია.

ნუ გავიკვირებო და ნუ დაგვრჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვაჟას ენის მიმართ იყო ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ.

როცა აკაკი მწერალზე ან ნაწარმოებზე საუბრობს, უპირველეს ღირსებად (და ნაკლადაც) დედაენის ცოდნას მიიჩნევს. დაურიდებელია ამ მხრივ და პირშიმთქმელი; თავად მოიგონებს ივანე მაჩაბელთან სტუმრობას: „ერთხელ სადილად ვიყავით იმასთან და სუფრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი შექსპირის შესახებ. ვანომ სთქვა: მეფე ლირი პირდაპირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულზე გადაღებულიო! - პირდაპირ ინგლისურიდან რომ არის ნათარგმნი, ეტყობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს-მეთქი, ვუპასუხე მე. - გაცხარდა, წამოვარდა ზეზე, შეიჭრა მეორე ოთახში, გამოიტანა წიგნი და დამიგდო წინ... აბა გვიჩვენე შეცდომებიო! პირველ გვერდზევე მივუთითე. გადააბრუნა მეორე, აქაც აღმოჩნდა... ჩაპყვა ამ გვარად და რომ გამტყუნდა, უკმაყოფილოდ მითხრა: „რა ვუყოთ მერე, ვანა შენ ნაწერებში კი არ არის შეცდომები თუ?“ მე სიცილი დავიწყე და ვუთხარი: „აქ სიტყვა ჩამოვარდა მე-

ფე ლირზე და მეც მიტომ ვაბმობ! და როცა ჩემ ნაწერებზე გადახვალთ, რა იცით, რომ აქაც არ ღაგეთანხმოთ! - მერე კიდევ, განა ერთის უვარგისობა ამართლულის მეორისას? მე რომ ქართული კარგათ არ ვიცოდე, ნუ თუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ? ამგვარი ბაასი ინტელიგენტური ბაასი კი არ არის, მოახლური გაქიშპებაა-მეთქი“.

ამ მოგონებაში ორი ფაქტია ღირსსაცნობი - ერთი, აკაკის დამოკიდებულება ივანე მაჩაბლისადმი და, მეორე, საკუთარი შემოქმედებისადმი. აკაკი იმ პრინციპის მიმდევარია, იაკობ-გოგებაშვილი რომ ასე ჩამოაყალიბებს: „შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და, ღმერთის გარდა, უსაქმო ძილისგუდა. ვინც მოქმედობს, იღვწის, შეცდომას ვერას დროს ვერ ასცდება. გარნა გონიერი მომქმედი, შეიგნებს რა თავისს შეცდომას, ჯიუტად როდი შეჩერდება მასზედ, იგი სცდილობს, რაც შეიძლება მალე გაასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად წარმართოს“. და კიდევ ილიასეული პრინციპია მისთვის ამოსავალი: „ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე“.

ამ პრინციპებზე მდგარი აკაკი აკრიტიკებს ილია ჭავჭავაძესაც და იაკობ გოგებაშვილსაც, ივანე მაჩაბელსაც და ვაჟა-ფშაველასაც. ასევე ისმენს კრიტიკას ილია-სა თუ იაკობისას, ისმენს და მსჯელობს (გავიხსენოთ ენობრივ საკითხებზე პაექრობა იაკობ გოგებაშვილთან).

ენასაც უწუნებენ აკაკის. ი. კერესელიძე „ცისკარში“ ლექსის არ უბეჭდავს; ასე განუმარტავს მიზეზს:

„გრიგოლმა (ორბელიანმა - გ.გ.) არა ქნა. ნამეტანი გამბედავად არის დაწერილი და კილოც იმერულიან“ აკაკი ახალი გამოსულია სამწერლო ასტარეზზე „ანჩისხატის დეკანოზი ეფრემი წერილს მისწერს: „გილო-ცავ მეშაირობას და თანვე გთხოვ, მამა-შვილობას, ამის-თანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ კი რაღაც სოფლურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულ-ში ხვდება. გამოსვლისთანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან, და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიონ“.

მსგავსი წერილი მიუწერია თ. ორაკლი ლორთქიფანიძესაც, აკაკი იტყვის: „ისიც მაქებდა და მთხოვდა ძველი ენით სწერეო“... ეს ხდება შემოქმედებითი გზის დასაწყისში. აკაკი ისმენს კრიტიკასა და იღებს გადაწყვეტილებას: „და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვსწერო“... თუმცა აკაკის ენა კრიტიკის „საგანი მერეც იყო: 1911 წლის 17 მარტის „სახალხო გაზეთში“ (№257) „იმერლის“ ფსევდონიმით იძეჭდება წერილი „აწენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“. ენას უწუნებენ აკაკის... ცოტა ადრე 7 მარტის გაზეთ „თემში“ წერენ: „აკაკის ფელეტონის ენამ, ცოტა არ იყვეს, გაგვაოცა“... 31 მარტის „სახალხო გაზეთი“ გამოხმაურებას ბეჭდავს „იმერლის“ ზემოხსენებულ წერილზე, კრიტიკის საგანი ისევ აკაკის ფელეტონების ენაა (ავტორი - „შინაური“): „ჩვენ იმდენად ღრმა პატივისმცემელნი ვართ აკაკისა და იმდენად მაღლა ვაყენებთ მის პოეზიას, რომ „განქიქების“ საშუალებას არავის მივცემდით. მაგრამ უარგონით წერა, პროვინციალიზმის შეტანა ლიტერატურულ ენაში ისეთი საჭირ-ბოროტო საკითხია, რომ ღირს

ამის შესახებ წერა...“ აკაკი „იმერლის“ წერილს უპასუხოდ არ ტოვებს („თემი“ №12 - ლექსი „მოთქმა“, ულეჭონი „ნადუღი“...) ... ცოტა მოგვიანებით ის „იმერელი“ „სახალხო გაზეთში“ (№435, 27 ოქტომბერი, 1911 წ.) ისევ უსაყვედურებს აკაკის ენის გამო...

ასე რომ, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გამოიკვეთა აკაკის ენობრივი პოზიცია და მისი დახვეწა, გამდიდრება და დამკვიდრება იქცა პოეტის უმთავრეს მიზნად.

ასევე ითქმის ვაჟაზეც: ვაჟა-ფშაველა მწერლობაში თავისი ენობრივი პოზიციით მოვიდა; თუ მისი პოზიცია არ დაემთხვევა სხვისას, ვაჟა ცდილობს, განმარტოს და დაიცვას თავისი პოზიცია...

* * *

ვთქვით, ვინც კი შეპხებია ვაჟას ენობრივ სამყაროს, და საერთოდ, ვაჟას შემოქმედებას, აკაკისთან პაექრობა-საც აქცევენ ყურადღებას. აღნიშნავენ ფაქტს და ცდილობენ, შეაფასონ კიდეც. შეფასებები სხვადასხვაგვარია: არის ნეიტრალური პოზიცია, როცა მხოლოდ ფაქტზე მიანიშნებენ; ერთი აკაკის მხარეს დგანან და ზოგნიც ვაჟას „იცავენ“ აკაკის კრიტიკისგან; ასე ვთქვათ, ვაჟას მხარეს არიან. და, რაც მთავარია, ვფიქრობთ, უმეტეს შემთხვევაში არც თუ სწორად არის გაგებული არსი ამ დაპირისპირებისა.

გ. ქიქოძე: „უნდა ითქვას, რომ ეს საყვედური (იგულისხმება „ენას გიწუნებ, ფშაველო“ - გ.გ.) სავსებით სამართლიანი არ არის. მართალია, ვაჟა-ფშაველას პოემების ზოგიერთი გამოთქმის გასაგებად საშუალო მკითხველს ლექსიკონის დახმარება სჭირდება, მაგრამ მისი ენა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა“ და მრავალი მის მიერ ჩმარებული

იშვიათი ძველებური ან პროვინციაში დარჩენილი სიტყვა (მაგალითად: მოყურადე, მაცნე, ლაჭანი, ჭერხო, დოოშიონი და სხვა) ქართული ლიტერატურული ენის სამოაროში შევა სამუდამოდ“. კ. გამსახურდიას აზრით, „უნდა შემოვუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტის სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული კილოდან. ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი „ენას უწუნებდა“ მას.“ მომიტევონ კლასიკოსთა სულებმა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის მართებულად გაგებული აკაკის პოზიცია: აკაკი „ენის დაწუნებაში“ არ გულისხმობდა დიალექტური ლექსიკური ერთეულების შემოტანას. აკაკი ეწინააღმდეგება სალიტერატურო ენაში დიალექტური ფორმების და არა ლექსიკური ერთეულების შემოტანას. პირიქით, აკაკის სალიტერატურო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად დიალექტური ლექსიკის შემოტანა მიაჩნია. თავად იყო აკაკი ინიციატორი და დაუდალავი მაძიებელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ენობრივი მარგალიტებისა. ლამის ფეხიფეხ მოიარა საქართველო. მოიძია და დაამკვიდრა სალიტერატურო ენაში არაერთი ნიმუში თავანკარა ქართულისა. იტყვის ერთგან: „გაიძვერა“, „ბობოლა“, „შეხმატკბილება“ და სხვანი მე შემოვიტანე სალიტერატურო ენაში. სხვებსაც მოუწოდებდა, აქეზებდა, აგულიანებდა. ასეთ განცხადებებს აქვეყნებდა გაზეთებში:

„გულმხურვალედა ვსთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მოახერხოს და განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლებს, რომ ჩვენში სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვა ყოველგვარი ზეპირგადმოცემები შეძლებისდაგვარად მოაგროვონ და ჩემ სახელზედ, ან „დროებისა“ და ან „შრომის“ რედაქციაში გამოაგზავნონ

ხოლმე... ამით ისინი რიგიან სამსახურს გაუწევენ ჩვენს
დედა-ენას... მხოლოდ ამას კი ვსთხოვთ, რომ გაღმოწერ-
რის დროს არაფერი გაასწორონ და თავისი არა ჩაუძა-
ტონ რა; დასწერონ ისე, როგორც გაიგონონ, უმეტნაკ-
ლებოდ“. თავად ინსტრუქციაც შეადგინა საამისოდ და,
როგორც ვნახეთ, სხვასაც მოუწოდებს ამ საქმის
საკეთებლად. აკაკი პრინციპული წინააღმდეგი იყო, ამ
მხრივ უპირატესობა რომელიმე კუთხეს მინიჭებოდა.
მოვუსმინოთ: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი
არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მარტო
მას დაუმორჩილოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა,
როგორც ამერეთი და მიტომაც იმერლობას ნურავის მი-
კიუნებს. ლმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც
იგივე ქართველობაა... ქართველი მწერალი წერის დროს
ჩემიან-შენიანობით კი არ უნდა სარგებლობდეს. უნდა ყო-
ველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გა-
მოკვლეული. და თუ რამე ქართული ნახოს, ამოკრიბოს
და ამითი კი არ იხელმძღვანელოს, რომ ეს ქართული არ
არის და სხვა კუთხეაო... მაგალითად ჭრილობის შესახ-
ვევ, ანუ ნაღრძობის შესაკრავ ფირფიტებს ქართველები
არტაშანებს ვეძახით. ეს სიტყვა, ცხადია, რომ სომხური-
დანა გვაქვს გადმოღებულიო და ნუ თუ ქართველებს თა-
ვისი საკუთარი სიტყვა არ ექნებოდათ! ექნებოდათ,
მაგრამ დაკარგულა. მეგრელებში კი დარჩენილა, აქ არ-
ტაშნები არ იციან, რა არის და „ხერკალს“ ეძახიან,
რაც ქართულია. და, მაშ, უფლება აღარა გვაქვს, „ხერ-
კალი“ ვიხმაროთ, რადგან ქართლში აღარ იციან?“ ასეთ
იუმორსაც გაურევს მსჯელობაში: „ენის ცოდნა განა კრი-
ვი ან ბურთაობაა, რომ უბან-უბან გავიყოთ და ვიძახოთ:
არა ჩვენ მხარეს დარჩეს გამარჯვება, თუ არა თქვენსა-
სო!!“

ეს ის პოზიციაა, რაც მისაღებია და სახელმძღვანე-

ლო ვაჟასთვისაც: არაერთხელ მიუქცევია მკითხველის ყურადღება სალიტერატურო ენის ლექსიკური გამდიდრების საჭიროებისათვის: „ჩვენის აზრით, თავმოსაწონარიც არის, რომ ერთის ცნების გამომხატველად სამი და ოთხი სიტყვა მოგვეპოვება და ამ შემთხვევაში არ ვგავართ ჩინელებს, რომელთაც ბევრი ისეთი სიტყვები აქვთ, რომ თითოეულს, ერთის მაგიერ, ათი და თორმეტი მნიშვნელობა აქვს იმისდა მიხედვით, თუ რომელი ადგილი უჭირავს წინადადებაში“...

ერთი საგულისხმო ინფორმაციაც: 1900 წლის 14 და 15 აპრილის „ივერიის“ ნომრებში (№79, №80) გამოქვეყნდა პეტრე მირიანაშვილის წერილი - „ქართული სიტყვის მოყვარულთა მიმართ“; ამ წერილში იყო მოწოდება ხალხში შემორჩენილი და ლიტერატურისათვის მეტ-ნაკლებად უცხო სიტყვების შეკრება-შეგროვებისა; ივარაუდებოდა მისი გამოქვეყნება გაზეთში და შემდეგ წიგნად გამოცემა. პირველი ამ მოწოდების თედო რაზი-კაშვილი გამოეხმაურა და დაიწყო „ქართული საუნჯის მასალის“ გამოქვეყნება (1900 წ. 15 ივნისი, №127).

ასე რომ, შევთანხმდეთ: ენის საკითხებზე აკაკისა და ვაჟას დაპირისპირება არ მომხდარა ვაჟას ნაწერებში დიალექტური ლექსიკის გამოყენების გამო. ამ შემთხვევაში მათ ერთგვარი პოზიცია აქვთ და ეს დამსახურება ვაჟასი არ დარჩენიათ უყურადებოდ:

კ. გამსახურდია: „ლექსიკის მხრით ვაჟამ განუზომლად გაამდიდრა ქართული პოეტური მეტყველება. ისეთი „მზითევი“, როგორიც ფშავიდან თან მოჰყვა ვაჟას, არც ერთ ქართველ მწერალს არ შემოჰყოლია თავისი კუთხიდან. ეს „მზითევი“ დიდად წაადგა XIX საუკუნის ენას“... ეს აზრი სადავოდ არავის გაუხდია. ეს ჭეშმარიტებაა.

და თუ დიალექტური ლექსიკის მიმართ ერთგვარი დამოკიდებულება აქვთ აკაკისა და ვაჟას, დავას რა იწვევს,

სხვაობას რა ქმნის?

დამოკიდებულება დიალექტურ ფორმებთან, სხვაგარად რომ ვთქვათ, ფონეტიკური თუ მორფოლოგიური დალექტიზმის გამოყენების საკითხი.

აკაკი წერეთლის პოზიცია სალიტერატურო ენის მიმართ ცალსახა და ნათელია. აკაკი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებისათვის. აკაკისა და მისი თაობის ზოგადი პოზიცია ასეთი იყო: სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო-სახალხო ენას. მთელი თავიანთი მოღვაწოების მანძილზე ილია, აკაკი და იაკობი ამ პოზიციაზე იდგნენ და ამასვე უკიუინებდნენ სხვასაც და ერთმანეთსაც. მაგალითისათვის აკაკისა და იაკობის ხანგრძლივი და გახმაურებული პოლემიკის გახსენებაც იქმარებდა. რომელიმე კუთხის მეტყველებისათვის პრიორიტეტის მიცემა მათთვის მიუღებელი იყო. გავიხსენოთ აკაკის პრინციპი: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მარტო მას დაუმორჩილოთ“... აკაკის ზემომყვანილი მსჯელობიდანაც აშკარაა, რომ, მისი აზრით: ის, რაც ხელს შეუწყობს სალიტერატურო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნებას, უნდა იქცეს კიდეც სალიტერატურო ენის ფაქტად. ზემოთაც ვთქვით, ასეთად მას დიალექტური ლექსიკა მიაჩნია. დიალექტური გრამატიკული ფორმების დამკვიდრება სალიტერატურო ენაში, მაშინაც კი, როცა მისი ადექტატური შესატყვისი არ მოეპოვება ქართულ ენას, დაუშვებულია (ისეთ შემთხვევებს ვგულისხმობ, როგორიცაა ხოლმეობითისა თუ თხოვნითბრძანებითის ფორმები....). მით უმეტეს, ეს მიუღებელია, თუ შესაბამისი გრამატიკული ფორმები გვაქვს სალიტერატურო ენაში.

გავხაზავთ: აქ საუბარია დიალექტური ფორმების დამკვიდრების ცდაზე და არა დიალექტიზმების გამოყენებაზე მხატვრულ ნაწარმოებში შესაბამისი სტილისტური თუ მხატვრული დატვირთვით. ცხადია, აკაკი იცნობდა ილიას შემოქმედებას, მაგრამ „მგზავრის წერილებში“ ლელთ ღუნიასა თუ „კაცია-ადამიანში“ ლუარსაბისა და დარეჯანის მიერ დიალექტური ფორმების გამოყენება მას არ გაჰქვირვებია: აკაკიმ ძალიან კარგად იცის, რა მიზანდასახულობა აქვს ილიასთან დიალექტიზმების გამოყენებას. მაგრამ იაკობის იგავში გაღიარებ ფორმა დიალექტიზმად მიაჩნია, ისეთ დიალექტიზმად, რის გამართლებაც მხატვრულ-სტილისტური ოვალსაზრისით არ შეიძლებოდა და, ვთქვით კიდეც, ამას ხანგრძლივი პოლემიკა მოჰყვა.

ისიც ითქვა, აკაკის ნაწერებშიც მრავლადაა დიალექტიზმებიო. ასეთი მაგალითიც მოჰყავთ: იმავე ლექსში („ვაჟა-ფშაველას“) არის ასეთი სტრიქონი: „მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს“. რა თქმა უნდა, აშკარა იმერიზმია, მაგრამ აკაკი ამ ფორმას უპირატესობას იმიტომ აძლევს მართებულ ყველაფერს ფორმასთან შედარებით, რომ მიაჩნია: ყოლიფერი მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: ყოველი და ფერი და არა ყველა და ფერი. ამიტომაცო, სწორია ყოლიფერი და არა ყველაფერი. სხვაც არის ასეთი შემთხვევები. გავიხსნოთ: XIX საუკუნეა, თავად არიან კანონმდებლები; ხშირად ვერ თანხმდებიან და ამიტომაც ილია წერს ცხოვრებიდამ, აკაკი წერს - ცხოვრებიდან... იაკობი წერს გაღიარებ, აკაკი წერს - აღგიარებ... ეს მერე მოხდა, ერთიანი ნორმები რომ დამკვიდრდა, გვიან...

რაც შეეხება ვაჟასეულ ფორმებს, აქ არავინ დავობს; აზრი საერთოა: ესაა ფშავ-ხევსურულისათვის დამახასიათებელი ფორმები - მოიდა, აგიყოვდება, მაგვცეს, გამით-

ხაროდი..., რომელთა ფარდი სალიტერატურო ფორმებია: მოვიდა, აგიყვავდება, მოვცეს... (გამითხაროდის ფარდი ზმნურ ფორმა სალიტერატურომ არ იცის - თხოვნით ბრძანებითია - „გამითხარე, რა“!...)

აი, ამ და მსგავს ფორმათა გამოყენების მართებულობა გახდა სადავო. თუმცა სხვათათვის. ვაუა ამ ფაქტში პრობლემას ვერ ხედავდა; უფრო მეტიც, იგი სხვებისგანაც ამას მოითხოვდა: „ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულს ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას, თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არა და, არც არაფერი ამითი წახდება... ფშაველებს ამ შემთხვევაში საპატიო აღვილი ეძლევათ. საყურადღებოა იმათი საუბრის კილო და ფორმები, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ იმათ უფრო მეტი საშუალება ჰქონიათ, ქართული ენა დაეცვათ წმინდად, შეუბრალავად: ფშავლებზე (ფხოველებზე) ნაკლებად ჰქონდათ ზედოქმედება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა და სხვ. ამიტომ იმათი სათემო კილო (თუკი შეიძლება სათემო კილო დავარქვათ იმათს სასაუბრო ენას) და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, **სრულიად ჰგვანან ძველის მწერლების ნაწერებისას**“ (ხაზი ჩვენია - გ.გ.). ამას ვაუა 1888 წელს წერს. ეს იყო პოზიცია. ამ თვალსაწიერიდან პოეტი არათე „ამახინჯებს“, „ბლალავს“ სალიტერატურო ქართულს, პირიქით, ცდილობს დააფუძნოს იგი ფშაურ დიალექტზე. ზუსტად შენიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ: „ჩვენს კლასიკოსთა შორის ვაუას სავსებით განკურმოებული პოზიცია უჭირავს. დაბევზითებით შეიძლება იმის ვარაუდი, ვაუას რუსთაველი და სხვა ჩვენი კლასიკოსები წინ რომ არ გადაღობებოდნენ, იგი ფშავ-ხევსურულ დიალექტს მოახ-

ვევდა ქართულ ენას თავს, ისევე როგორც ტოსკანური დიალექტი გააბატონა იტალიაში დანტემ“.

ვაჟასეული პოზიცია ნათელია. იგი ამ შეგნებილიშემა მოვიდა ჩვენს ლიტერატურაში და ამ პოზიციას იცავდა ბოლომდე. თუმცა, მკვლევრები ყურადღებას მიაქცევენ იმ ფაქტს, რომ დიალექტური ფორმები ძირითადად პოეზიაში იჩენს თავს, ისიც არა ყოველთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის ახსნის მცდელობაც არის, თუმცა, ჩვენ ამჯერად ამ საკითხს არ ჩავუდრმავდებით. ერთს კი შევნიშნავთ. როცა ამ საკითხზე ვმსჯელობთ, ნაწარმოებთა შექმნის ქრონოლოგიას ყურადღება უნდა მივაქციოთ. აი, რატომ: 1896 წელს ვაჟა წერდა: „რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც სათემო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებური მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვანაირად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმცა მაშინ ლექსებს ვწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვბლავნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და უურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა“. როგორც ვთქვით, ამას ვაჟა 1896 წელს იტყვის. ამიტომ ადრეულ და გვიანდელ ნაწერებში დიალექტიზმების რაოდენობა, ცხადია, განსხვავებული იქნება...

სიტყვა გამოგრძელდა. ჩვენ ამჯერად არა გვაქვს არც
მიზანი და არც პრეტენზია ვაუას ენის ფენომენზე
ვისაუბროთ. ეს პრობლემა პრობლემად რჩება. ენა ერთი
მხარეა იმ უზარმაზარი სამყაროსი, ვაუას სამყარო რომ
ჰქვია. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ცნობილ შეფასე-
ბებს: „მთელი თავისი სისადავით ვაუა-ფშაველას ენა იყო
მეფური და ზარადიანი, რომელიც გაგონებიდანვე გიტა-
ცებთ. ორიოდე სტრიქონის უმაღლ, უკვე სხვა ფანტასტი-
კურ სამყაროში გადადიხართ“ (არტურ ლაისტი). ეს სამ-
ყარო გამოცანად რჩება; ეს სამყარო ამოსახსნელია.

აქ გავჩერდეთ. ის, რაც გაკეთებულია, არაა ცოტა; გა-
საკეთებელი ბევრად მეტია იმ საქმეში, ვაუას ენობრივი
სამყაროს გაცნობიერება რომ ჰქვია. პასუხი უნდა გაეცეს
უამრავ კითხვას. თამაზ ჩხენკელი წერილს - „ვაუა -
მომავლის პოეტი“ - ასე იწყებს: „ყველას გვახსოვს სკო-
ლის მერხიდან ვაუას ლექსი „არწივი“.“

გამ, დედას თქვენსას ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელიადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა.

რატომ „ყოვებო“ და არა „ყვავებო“, რატომ „ჩაგიგ-
დავთ“ და არა „ჩაგიგდივართ“, რატომ „თორო“ და არა
„თორემ?“ ...

შემდეგ:

„რისთვის დასჭირდა ვაუას თავისი პოემების წერისას
ასე ღრმად შეჭრილიყო დიალექტურ შრეებში? რისთვის
დასჭირდა დიალექტური მიმოხრებისა და ნიუანსების წი-
ნა პლანზე წამოწევა? რისთვის დასჭირდა უამრავი სიტყ-
ვისა და გამოთქმის შემოტანა, რომლებსაც მანამდე არ
იცნობდა ქართული პოეზია?“

ეს კითხვები არის და დარჩება. გასრულდა მეოცე
საუკუნე. შეძლებს კი ოცდამეტოთ საუკუნე ამ კითხვებ-
ზე პასუხის გაცემას? ღმერთმა ქნას!..

* * *

შორს წავედით...

აკაკისა და ვაჟას ურთიერთობებზე ვსაუბრობდით.
ვთქვით, რომ აკაკისა და მის თაობას ჰქონდა ენობრივი
პოზიცია, რომელზეც ბევრი თქმულა და დაწერილა. აკა-
კი ამ პოზიციას იცავს...

ვაჟა-ფშაველას ჰქონდა თავისი ენობრივი პოზიცია და
ეს პოზიცია განსხვავებული აღმოჩნდა აკაკის პოზიციი-
საგან. ვიმეორებთ: საკითხი ეხება სალიტერატურო ენაში
დიალექტური ფორმების გაცნობიერებულ, შეგნებულ
შემოტანას. ვაჟას აქვს თავისი პოზიცია, რომელსაც
თანმიმდევრულად იცავს ოთხმოციანი წლებიდან მოყო-
ლებული სიცოცხლის ბოლომდე. თავის შემოქმედებაში
არათუ პრაქტიკულად პრინციპულად გაატარა, თეორიუ-
ლადაც სცადა ამ პოზიციის შემაგრება...

შედარებისათვის: სხვათა შორის ეს ვერ შეძლო და-
ვით კლდიაშვილმა, ეტყობა, არც მოისურვა. მწერალს
პეტრე უმიკაშვილმა ენა დაუწუნა; რა თქმა უნდა,
იმერიზმების მოჭარბებულ ხმარებას გულისხმობდა; და-
ვითი უპასუხებს: „მოხარული ვარ, რომ ჩემი საწყალი,
გაჭირვებული ქამუშაძე შინაარსით მოგწონებია; ემდუ-
რით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკმაყოფილო...
მართალია ენა ყოველთვის მოიკოჭლებს ჩემს ნაწერებ-
შიო“... საუბარია იმერიზებზე. ეს დაუწუნეს. თავისთავად,
თუკი მწერალი ეთანხმება შენიშვნას, ამის გასწორება,
მით უმეტეს - პროზაში, არ იყო ძნელი... ყველაფერი
მაინც ისე რჩება, როგორც დაიწერა და დაიბეჭდა. აქაც
ისეთივე ვითარებაა, რაც ვაჟასთან იყო: კლასიკოს მწე-

რაღა მწერლური ინტუიცია უკარნახებს, რომ კონკრეტულად იმ ვითარებაში, იმ ეპიზოდში, იმ განწყობით მისმა პერსონაჟმა მხოლოდ ისე შეიძლება ისაუბროს მაგრამ ამის სხვისთვის ახსნა არცთუ იოლია და თითქოსდა თავი დახარა, კი, ბატონო, შენ მართალი ხარ, მაგრამ მე სხვაგვარად ვერ ვაჩერხებო. ამიტომაც ეთანხმება კრიტიკოსს; ფაქტობრივ, ამ მსჯელობით თავის თავს უპირისპირდება; მაგრამ თავს არიდებს პოლემიკას კრიტიკოსთან. არ ან ვერ ასაბუთებს; შეიძლება, მისი ბუნებიდან გამომდინარე, პოლემიკასაც გაურბის... ანდა შეძლებდა კი იმის სიტყვიერად ახსნას, თუ რა უკარნახებდა, რა აწერინებდა ასე და ამგვარად?...

სხვაგვარად მოიქცა ვაჟა, თუმცა შეძლო კი მკითხველისათვის ბოლომდე გაეხსნა თეორიულად თავისი ენობრივი სამყარო; მოეხსნა კითხვის ნიშნები? მეეჭვება. თუმცა, ამას ისე ნუ გავიგებთ, რომ მისი თეორიული მსჯელობა ენობრივ საკითხებზე უმნიშვნელო იყოს.

ასევე ითქმის აკაკი ზეც. და ილიაზე, იაკობზე, პ. გამსახურდიაზე, მ. ჯავახიშვილზე. ყოველ მათგანს არაერთი წერილი აქვს ენობრივი საკითხებისადმი მიძღვნილი; მწერლის ენისა თუ სალიტერატურო ენის პრობლემებისადმი. მაგრამ მათი მხატვრულ-ენობრივი სამყარო მაინც იდუმალებითაა მოცული, თუმცა ზოგჯერ ცდილობენ კიდეც, გასაღები მისცენ მკითხველს იმ დიდებული ტაძრისა...

როგორც ჩანს, ეს ორი სხვადასხვა რამ არის.

თემას გავცდით...

* * *

ისევ აკაკის და ვაჟას მივუბრუნდეთ.

ჩვენი ღრმა რწმენით, აქ ორი პრინციპულად განსხვავებული პოზიცია დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ვინ იყო მართალი?

მახსენდება: პროფ, ს. ჭილაძამ ერთხელ საჯაროდ გამოთქვა საყვედური მსახიობ გ. საღარაძის მიმართ, როცა ამ ორ ლექსის კითხულობსო (აკაკის ლექსის ვაჟასადმი მიძღვნილს და საპასუხო ლექსის ვაჟასას) აშკარად ტენდენციურია და ისეთ მთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს აკაკი იყოს მტყუანიო.

მაინც ვინ იყო მართალი ამ დაპირისპირებაში? და შეიძლება კი საკითხის ამგვარად დასმა? არადა დასვეს ასე საკითხი:

„ვაჟას პოეზია უთუოდ მოიგებდა, რომ კუთხური კილოს დომინანტა შეერბილებინა ოდნავ“ (კ. გამსახურდია).

მოიგებდა კი?...

აკაკიმ არასწორად შეაფასა ვაჟას ენობრივი პოზიცია, „რადგან ქართული კრიტიკა ჯერ კიდევ არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რაც განაპირობებდა ვაჟას ენობრივ თავისებურებათა არასწორ აღქმას“ (ქელს.).

დავიჯეროთ?

„ვაჟას თანამედროვე კრიტიკოსები და თვითონ აკაკი წერეთელიც კი, ჩემი აზრით, ცდებოდნენ, როცა ვაჟას ჩვეულებრივი საზომით უდგებოდნენ და გენიოსისთვის გამონაკლისს არ უშვებდნენ“ (ქელს.).

თავად აკაკი არ იყო გენიოსი? თავისთვის უშვებდა გამონაკლისს? ილიასა და იაკობისათვის უშვებდა გამონაკლისს?

და საერთოდ, სჭირდებოდა კი „შეღავათი“ ვაჟას?

„აკაკის კრიტიკა რომ ვაჟას დასამცირებლად კი არ არის მიმართული, არამედ საღიტერატურო ქართულის განსამტკიცებლად და გასავრცელებლად, ამას ბავშვები იმთავითვე გრძნობენ“ (ქელს) - წერს ერთი პედაგოგი. ჯერ ერთი, რატომ უნდა გაიაზრონ ისე, რომ კრიტიკა

დამამცირებელია და მეორეც, ქართულის განმამტკიცებულად და გასავრცელებლად განა ვაჟა კი არ იბრძოდა?..

ცნობილი პედაგოგი: „ბავშვებს ვუხსნი, რომ საფუძვლი ვაჟას ასეთივე პოზიციისა არის მგზნებარე პატრიოტიზმი, უსაზღვრო სიყვარული ყოველივე ქართულისადმი“... (ქელს)

გამოდის, რომ პატრიოტიზმსა და ქართულისადმი უსაზღვრო სიყვარულს დაუპირისპირდა აკაკი!...

პედაგოგთა ეს თვალსაზრისები იმითაა საინტერესო ჩემთვის, რომ ასე ახდენენ ყმაწვილთათვის ამ პოლემიკის გაცნობიერებას...

ასეთი მკვეთრი, ცალსახა პოზიციის გამოვლენა ამ საკითხებზე მსჯელობისას სახიფათოა და, რაც მთავარია, არაჭეშმარიტი...

ჭეშმარიტების გარკვევამდე, როგორც ჩანს, შორი გზა არის გასავლელი...

* * *

ფაქტია: აკაკისა და ვაჟას ურთიერთდამოკიდებულება ერთი ლამაზი და სამაგალითო ფურცელია XIX საუკუნის ქართული კულტურისა. მოსაწონი მოსწონდათ. დასაწუნად მიაჩნდათ? იწუნებდნენ, მაგრამ ეს არ იყო საპირადო ინტერესებით ნაკარნაზევი; საზოგადო ინტერესის კარნაზით ხდებოდა ყოველივე ეს...

დარია ახვლედიანს აკაკისთვის უკითხავს:

„ბატონო აკაკი, თქვენს შემდეგ ვინ მიგაჩნიათ პოეტად ჩვენშიონ“ და აკაკის ვაჟა-ფშაველა დაუსახელებია...

აკაკიზე როცა ფიქრობდა, ამას ნატრობდა ვაჟა:

„ნეტავი ბევრი გაზარდოს,

შენისთანები დედამალ“...

ისე, თავისთვის, ჩაწერს: „აკაკი - რა კარგი“...

თედო სახოკია იგონებს: „ნაკადულის“ რედაქციაში

აკაკი სტუმრობდაო.: „ლაპარაკის დროს შემოვიდა ვაჟა.

„ჰაა, ჩვენ მთის არწივს გაუმარჯოს! - შესძახა მხიარულად აკაკიმ.

- მთის არწივიც შენ ბრძანდები და ბარის ბულბულიც! - უთხრა ვაჟამ ღიმილით და ხელი ჩამოართვა“.

ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ გენიოსები და თავიანთი შემოქმედებით, თავიანთი ურთიერთდამოკიდებულებით, ერთმანეთის პატივისცემითა და ერთმანეთის შემოქმედების დაფასებით, ერთმანეთისადმი პრინციპული და მართალი დამოკიდებულებით სამომავლო გაკვეთილებს იძლეოდნენ...

* * *

თ. ჩხენკელი: „ვაჟას შემოქმედება ჯერ არ არის საკადრისად შესწავლილი და შეფასებული... ვაჟა მომავლის პოეტია“...

პ. გამსახურდია: „ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა, დღესაც შეუსწავლელია“.

აკაკის შემოქმედება არის კი საკადრისად შესწავლილი და შეფასებული? აკაკის ენობრივი სამყარო არის კი ბოლომდე შეცნობილი?

XXI საუკუნეს, და არა მხოლოდ მას, დიდი ვალი ადევს, მან უნდა გასცეს პასუხი მრავალ კითხვას... თუკი შეძლებს XXI საუკუნე ამას..

* * *

არსებითი და მთავარი, რისთვისაც ყოველივე ეს გავიხსენეთ, იმის გააზრებაა, თუ რას წარმოადგენდა აკაკისა თუ ვაჟასათვის ის, რასაც ენის ფენომენი ჰქვია.

ესაა გაკვეთილი სამარადისო...



ამგვარ სათაურს გალაკტიონი გვიკარნახებს: „გალაკტიონოლოგებს“ დასამუშავებელ თემებს შესთავაზებს და ერთ-ერთი სათაურიც ესაა.

აკაკი და გალაკტიონი

„აკაკი და გალაკტიონი“... ამგვარ სათაურს გალაკტიონი გვიკარნახებს: „გალაკტიონოლოგებს“ დასამუშავებელ თემებს შესთავაზებს და ერთ-ერთი სათაურიც ესაა.

„აკაკი და გალაკტიონი“...

ამ ორი გენიოსის ურთიერთდამოკიდებულებაზე, უმეტესად გალაკტიონის დამოკიდებულებაზე აკაკისადმი, მრავალი თქმულა სხვათაგან; უფრო მეტი - გალაკტიონისაგან. არ ვეცდებით (უფრო სწორად: ვერ ვიტვირთავთ) ანალიზსა და შეფასებას იმისას, რა ითქვა, როგორ და რატომ. ჩვენი მიზანია: შეძლებისდაგვარად თავი მოვუყაროთ, ერთიანად დავინახოთ და, შესაბამისად, გავიაზროთ ამ ურთიერთობის არსი. ვიმეორებთ, შეძლებისდაგვარად...

სხვაგვარად: „აკაკი და გალაკტიონი“ - ამ თემაზე მოვუსმინოთ თავად გალაკტიონს... მცირეოდენი კომენტარი გვეპატიოს...

* * *

ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა გალაკტიონის ლექსი

„რაგიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რითხი,
შოთა, ილია, აკაკი,
გაუა.“

ორ ზღვათა შუა მდებარე
ბრწყინავდა კავკასიონი,
შოთა, ილია, აკაკი,

გაუა.

სულ მაღლა გორის ციხეა,
სულ დაბლა - ძველი სიონი,
შოთა, ილია, აკაკი,

გაუა.

დაბლით კოლხეთის ველია,
მაღლიდან დგას ბახტონი,
შოთა, ილია, აკაკი,

გაუა“.

ლექსის ვარიანტები არსებობს. ყველა ვარიანტში ყოველი სტროფის მესამე-მეოთხე სტრიქონი - ჩამოთვლაა, თუმცა იცვლება კლასიკოსთა ჩამოთვლის თანმიმდევრობაც; ასეთი ვარიანტიც არსებობს - „ვაუა, ილია, აკაკი, შოთა“. ბოლო სტრიქონი ზოგჯერ დასრულებულიცაა (“... და გალაკტიონი“) და მანც საბოლოო ვარიანტში კლასიკოსთა დასახელებისას ქრონოლოგიური პრინციპი ამჯობინა. ლამაზ კომენტარს შემოგვთავაზებს ვახტანგ ჯავახაძე:

„ამ ლექსში მთავარია არა ის, რაც წერია, არამედ - რაც გამოტოვებულია და აშკარად იგულისხმება: ვაუას შემდეგ ჩამოვარდნილი იძულებითი პაუზა, ინერციით გაგრძელებული რიტმი და შესაბამისი რითმებით გამართლებული მკითხველის ჩართვა (სხვათაშორის, რამდენიმე გამოცემაში ნაკლული რეფრენი გაშიფრეს და ლექსს მარილი დააკლდა).“

პოეტმა არ დაამთავრა სტროფები და შთამომავლობას მიენდო.

ეს ხერხი კი, ყველა შემთხვევაში, გალაკტიონისეულია, და იგი გადაწონის ყოველგვარ სავტორო უფლებას...“

ოღონდ ერთია: ამ ლექსში, რა თქმა უნდა, მთავარია ისიც, რაც წერია: „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა...“ - ქართველ კლასიკოსთა ეს ოთხეული საგანგებოდ გამოურჩევია... ხუთეულის პირველი ოთხი წევრი...

სხვაგან შვიდეულს დაასახელებს ქართული პოეზიის თანავარსკვლავედიდან:

„შენს შვიდ მგოსანს სახალხოს,

შვიდს - დაფნის გვირგვინიანს,

რუსთაველს, გურამიშვილს,

ბარათაშვილს, ილიას,

აკაკისა და ვაჟას -

დროშებს ვარდყვავილიანს

ვუწვდი: მთელი მსოფლიოს

ნახევარი ჩვენია“.

საკუთარი თავი (მეშვიდე) აქაც თითქოს მიჩქმალა, მაგრამ ეს არ არის მთავარი - პოეტური გამოცანა იოლად ამოიხსნება... ჩვენთვის ამჯერად არსებითი სხვაა: ყველა შემთხვევაში აკაკის სხვათა გვერდით მოიხსნებას. ქრონოლოგიური პრინციპი ორივე შემთხვევაში დაცულია; ქრონოლოგიურად აკაკი თავის ადგილს დაიჭერს.

გალაკტიონი საღირალ პატივს მიაგებს ყველას.

„შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა“ - იცის მათი ფასი გენიოსმა გალაკტიონმა; ისიც იცის, თითოეული მათგანი როგორ დაანახოს მკითხველს, რით განასხვაოს ერთი მეორისაგან; რა მოუძებნოს ერთს ისეთი, მეორისაგან რომ

გამოარჩევს მას. უტყუარია ალღო პოეტისა, ნიჭი სხვა-
თა ღირსების შეფასებისა. დიახ, ყველას მიაგებს საღი-
რალ პატივს.

„შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა...“

„შოთა...“

შოთა რუსთაველი გალაკტიონისათვის დროის
ათვლის წერტილია, ახალი ეპოქის დასაწყისი:

„უძველეს ხნიდან

დაწყებული

რუსთაველამდე,

რუსთაველიდან

ჩვენამდე - რეპს

ივერთა ჩანგი.

მასთან უძლური

იყო ცეცხლი

ასული ცამდე,

ათასი ჩინგის,

მაპმადხანი

და თემურლენგი...“

რუსთაველი იყო პოეტი, რომელმაც თავის საუკუნეს
„ვეფხისტყაოსნით“ უკვდავების სული ჩაუდგა:

„ვეფხის - დაბარქვა

მას - ტყაოსანი

და საუკუნე

გააუკვდავა...“

ეპითეტები: „უკვდავი შოთა...“ (გავიჩსენოთ: თავისი
საუკუნეც კი გააუკვდავაო!)

„მარადისობის ბინადარი“.

ყოვლისმომცველია „ვეფხისტყაოსანი“, ყველაფერს

იტევს მისი უსაზღვრო სივრცე:

„ცას, დედამიწას, ადამიანებს

„გეფხისტყაოსნის“ სტრიქონებში

გხედავ არეულს“.

ძალა რუსთველისა განუზომელია:

„რუსთაველს მოჰყვა სიხარული

დაუთრგუნავი,

მას შეუძლია ცა გადაჭრალოს“.

რუსთველი - განსაცდელისაგან მხსნელი მრავალ
საუკუნეთა:

„ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი

იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს,

იგი უძლევია და მზის ის თაველი,

რომელს მონობისთვის გზა ვერ

გაუღუნეს“.

და სხვა მრავალი...

„...იღია...“

გალაკტიონი ბრძანებს: იღია სახე იყო ეპოქისაო;
იღია მთელი ეპოქა იყო და ეს ეპოქა წიწამურში
დასრულდა:

„წიწამურში რომ მოჰკლეს იღია,

მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...“

„ქართველი ინტელიგენციის ისტორია ამ ორ პიროვ-
ნების (იღიასა და აკაკის) გამოსვლით იწყებაო“, -
დაასკვნის გალაკტიონი და განაგრძობს: „ლიტერატურის
პრესტიუს ასამაღლებლად საჭირო იყო უფრო გამბედა-
ვი და მეტი ცოდნით, გამოცდილებით შეიარაღებული
ახალგაზრდობა... და რომლის დროშა ხელში აიღეს იღია
ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა...“

სხვაგან დაწერს: „ჩვენს წინ ცოცხლად სდგას ერთი
მხრით დაუღალავი მშრომელი და ძლიერი სულიერი ნების
პატრონი იღია ჭავჭავაძე...“ დიახ, დაუღალავი,
მშრომელი, ძლიერი სულიერი ნების პატრონი...

ეპითეტთაგან ბრძენს შეუფარდებს იღიას დიდ სა-
ხელს უფრო ხშირად:

„ცეცხლი - აკაკი,

გმირი - ვაჟა,

ბრძენი - იღია...“

ისევ გალაკტიონისებური პოეტური წარმოსახვით და-
სატული იღია და აკაკი:

„დადგა ზღვის პირად, ვით

ბუმბერაზ მუხების ლანდი,

ორი დიდი ხნის მეგობარი, ორი გიგანტი,

ქეული ღელვად...“

ნატვრა იყო გალაკტიონისა, პოემა შეექმნა იღიაზე;
მასალაც შეუკრებია მრავლად...

„....ვაჟა...“

დასაწყისში მოყვანილი ლექსის მსგავსად ჩამოთვლა
იმავე თუ სხვა რიგით არაა შემთხვევით და არც ერთა-
დერთი:

გალაკტიონი საუბრობს საკუთარ ლექსთა ფორმაზე.
ვის შეიძლება შეედაროს? - იღიას, აკაკის, ვაჟას: „ეს
არა აქვთ იღიას, აკაკის, ვაჟას...“

გალაკტიონი მესხეთ-ჯავახეთშია. ისევ გენიოს წინა-
პართა ლანდებთან შეხმიანება: „ოთვარავანი, ტბაფარავა-
ნი, ფარავანი, ვარავანი. მშვენიერი ხალხური ლექსი,
უკვდავი ლექსი.

აქ არასოდეს არ მოსულან არც იღია, არც ვაჟა, არც
აკაკი...“

ზევით უკვე მოვიყვანეთ ერთი ფრაგმენტი ლექსიდან:

„ცეცხლი - აკაკი,

გმირი - ვაჟა,

ბრძენი - ილია...“

ერთგან ჩაწერეს:

„გაჟა-ფშაველა - ეს ქართველი პანი!“

ესეც ვაჟას სიღიღის-აღიარებაა:

„რუსთაველი და მშვიდი?

დამშვიდება და ვაჟა?“

მაგრამ მაინც შეუდარებლად გვეჩვენება ეს პორტრეტი ვაჟასი, ნალდი გალაკტიონისეული სურათია:

„არავის არ შეეძლო ლიტერატურულ მასწავლებელთა პატივისცემა და მათი შეყვარება ისე, როგორც ვაჟას. ის ყოველთვის მზად იყო, მუხლი მოეყარა მათ წინ, მაგრამ არა როგორც მონას, ის ხომ თვითონ მეცე იყო, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი, ოქროს სჭრიდა საკუთარი შტამპით... ვაჟას სიმღერებიდან გამოკრთის უმაღლესი სული...“

იცის გალაკტიონმა ფასი ვაჟასი...

„...ტკაცი...“

დიახ, ყველას ფასი იცის გალაკტიონმა, ყველას მიაგებს საღირალ პატივს, მაგრამ...

სულ სხვაა აკაკი მისთვის:

„მაგრამ მხედავხსა იხეთ მგოხნის,

ვინც დიდებით შეიმოხსა,

ვინც მთლიანად ასახავდა

თავისთავს და თავის დროხსა,

ვინც გაფრენა იყო ქნარის,

რომელიც მზე იყო დარის,

გინძე მსგავსი აკაკისა - არ ყოფილა და არ არის“.

ალბათ უხერხულიცაა იმაზე საუბარი, რომ მცოდა
გალაკტიონმა ფასი ლექსისა. და როცა იტყვის, რუსთვე-
ლის, გურამიშვილის, ვაჟას ქვეყანაში ლექსი ლექსს აკა-
კიმ დაამსგავსაო, აკაკისადმი განსაკუთრებული დამოკი-
დებულება უნდა დავინახოთ ამ თქმაში:

„არ ზოგავდა რაკი თავსა,
ძველს აკაკიმ შეუთავსა
უახლესი ამღერება
და ლექსი ლექსს დაამსგავსა“.

უკომენტაროდ მოვიყვანოთ რამდენიმე ამონარიდი
გალაკტიონის ჩანაწერებიდან:

„ყველა ქართველ პოეტთა შორის ყველაზე ახლო
ხალხთან აკაკი იდგა“.

„აკაკის ბედს განაგებდა პოეტის სახვა, წარმოდგენა“.

„აკაკი გრძნობდა, რომ ადამიანთა გულებთან უნდა მი-
სულიყო იგი ლექსით...“

„უდიდესი ქართველი მგოსანი“.

„უდიდესი ქართველი პოეტი“.

„XIX საუკუნის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის
მებაირახტრე, (ილიასთან ერთად)“.

ეპითეტების გარეშე აკაკის სახელს თითქმის არ ახ-
სენებს: „ასე გადაჭრა დიდმა აკაკიმ ქართული წაკითხ-
ვის (დეკლამაციის) საკითხი“.

აკაკის სახე თან ახლავს მუდამ. გალაკტიონი რაჭა-
შია. რა თქმა უნდა, გაიხსენებს: „ჩემზე ადრე აქ ბრძან-
დებოდა დიდი აკაკი წერეთელი“.

გალაკტიონი ბორჯომშია. ჩაწერს: „დავათვალიერეთ
ბორჯომის ბაღი (აქ ყოფილა აკაკი ოდესმე და დაუწე-
რია ლექსი)“.

აკაკის ნაკვალევზე რომ დადის, ეამაყება და პირიქით: თუ იქ აკაკის ნაკვალევს ვერ ხედავს, გული სწყდება და თითქოს; ვთქვით უკვე: მესხეთ-ჯავახეთში დაინანება; „აქ არასოდეს არ მოსულან არც ილია, არც ვაჟა, არც აკაკი“.

ასე დაახასიათებს აკაკის: „აკაკი წერეთელი ჩვენი სამოქალაქო ლირიკის ყველაზე ძლიერი წარმომადგენელია. ეს იყო მგოსანი, რომელიც სცოცხლობდა თავისი დროის პროგრესიულ მოთხოვნილებათა შთაგონებით. ეს იყო მგოსანი, რომელიც ჰყაფიდა გზას წარსულისაგან - მომავლისაკენ“. - ასე იტყვის გალაკტიონი და დაინანებს: „აკაკი რომ ცოცხალი იყოს, ისეთი დიდი ბუნების პოეტი, პირველი გამოეხმაურებოდა სიღიდეს თანამედროვეობისას“.

პირველობა აკაკისა ყველგან გამოკრთის გალაკტიონთან: ლექსში, ჩანაწერში, მოგონებებში...

აკაკი მაგალითია გალაკტიონისათვის, ორიენტირი, მისაღწევი სიმაღლე:

„9 ოკტომბერს, როდესაც ქუთაისში ვიქნები, უნდა დავწერო საბავშვო კომედია „მეგობრები“... წიგნი უნდა იქნეს აკაკის „საყმაწვილო ამბების“ ტოლი...“

შეალვა დადიანი იგონებს: აკაკიმ „პირველად პიესა- („მედეა“ - გ.გ.) მამას რომ წაუკითხა, პროზად იყო და-წერილი და შემდეგ კი როგორც მოგეხსენებათ, მთელი ტექსტი პიესისა ლექსად არის წარმოდგენილი. მაშასა-დამე, აკაკის ასეთი მანერა ჰქონდა მოცულობით დიდ ნაწარმოებთა წერის დროს: ჯერ პროზად დაამუშავებდა, შემდეგ გალექსავდა“. ასეთი მანერა ჰქონდა გალაკტიონ-საც...

1922-1923 წლებში გამოდის „გალაკტიონ ტაბიბის ურნალი“. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს „აკაკის

თვიური უურნალი“.

ჩანაწერი აქვს ასეთი: „ოქენე რომ გგონიათ, ის არ ვარ“. ჩაწერს ამას გალაკტიონი ყოველგვარი კომენტარის გარეშე. არც როგორც ამონარიდს აკაკის ლექსიდან; ჩაწერს თავისად... რა ოქმა უნდა, ამ შემთხვევაში აკაკის სიტყვებით საკუთარ თავს ახასიათებს. უფრო სწორად, აკაკისთან გალაკტიონის მსგავსებას გახაზავს, ალბათ...

საიდან იღებს სათავეს ეს დამოკიდებულება?

გალაკტიონი: „მე ბავშვობიდან ლმერთს ვუდარებდი აკაკის. ეს აზრი თვით ჩემმა - სოფელმა ჩამისახა, მშობლებმა, წიგნებმა“.

ნოდარ ტაბიბიძე ასეთ კომენტარს შემოგვთავაზებს ჭაბუკი გალაკტიონის შესახებ: „გალაკტიონი ამ პერიოდში ა. წერეთლის უზარმაზარ გავლენას განიცდის. იგი დიდი მგოსნისგან სესხულობს არა მხოლოდ თემებს, არა-მედ სახეებს, ფრაზებს, ტონს და ა.შ. ეს იმითაც აიხს-ნება, რომ გალაკტიონისათვის მახლობელია აკაკის პრობლემატიკა, საკითხთა წერეთლისეული გადაჭრა. აკა-კი ლიტერატურული გემოვნების კანონმდებელია და გალაკტიონიც მის ფრთხებქვეშ იზრდება“.

გალაკტიონს მოგონება აქვს ერთი, „აკაკი“ ჰქვია.

ამ მოგონებაში აშკარად იგრძნობა ის, სხვაგან რომ თქვა, „ბავშვობიდანვე ლმერთს ვუდარებდი აკაკისო“.

ვერ შეძლო პოეტის იუბილეზე დასწრება - ბილეთი ვერ იშოვა გალაკტიონმა. დაინანებს: „დავრჩი ისე, რომ აკაკი ვერ ვნახე, უკვე თხუთმეტი წლის ვიყავი, სემინა-რიაში ვსწავლობდი, ლექსებსაც ვწერდი. ვბაძავდი აკა-კის... „სირცევხილი არ არის, რომ აკაკი ვერ ვნახო?“ - ვფიქრობდი, მავრამ შემთხვევა არ მომეცა...“

და რამდენიმე წლის შემდეგ ბედნიერი შემთხვევა: ხარაგაულის მახლობლად ამხანაგებთან ერთად „ვიდექით სადგურზე... - იგონებს გალაკტიონი, - მატარებელიც მო-

ვიდა. ჯგუფი ახალგაზრდა ქალების იდგა და მგზავრებს ათვალიერებდა.

ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბაბის ქულა-სავით ჭალარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუც-მა...

- აკაკი! - ჩაილაპარაკა ვიდაცამ.

ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველა-ზე. ერთხანათ გაშეშებულნი ვიდექით. მე თვალებით ვჭამდი ამ სახეს. - აკაკიმ წაიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა. ვხედავდი, რომ იგი დინჯათ გადაეშვა სავარძელში...

დიდხანს დაყრუებულივით ვიდექი...“

ეს იყო პირველი შეხვედრა პირისპირ; უფრო სწორად

- გალაკტიონმა პირველად იხილა აკაკი პირადად...

გალაკტიონი ზედმიწევნით ზუსტად ცდილობს გაიხ-სენოს ყოველი დეტალი, თითქოსდა წვრილმანიც აკაკის-თან მისი ურთიერთობისა.

ქუთაისში ლიტერატურული საღამოა. გალაკტიონმა სცენიდან ლექსი უნდა წაიკითხოს პირველად. ღელავს. „ლექციის შემდეგ აკაკიმ თავისი კლასიკური ლექსები წაიკითხა, აკაკის შემდეგ კი ჩემი რიგი იყო.

მე დავიწყე, მაგრამ ხმა მიკანკალებდა. უეცრად აკა-კის დაუინებული შემოხედვა ვიგრძენი... აკაკი მიცემოდა და...

ლექსი დამავიწყდა, უნდა გავჩერებულიყავი...

ცივმა ოფლმა დამასხა...

ბედათ იმ რითმაზე, რომელზედაც გავჩერდი, მომაგონ-და სრულიად ახალი რითმა, ექსპრომტათ, ავადმყოფური თავგანწირულებით ვქმნიდი ახალ სიტყვებს, ახალ აზ-რებს...“ შეძლო გალაკტიონმა თავის დაღწევა კრიტიკუ-ლი სიტუაციიდან. მიზეზი ყოველივესი კი აკაკის მზერა

იყო; ბავშვობიდანვე აღევნებული ლანდი აკაკისა, ლმერთ-
კაცისა.

თვითონვე ცდილობს გალაკტიონი, ახსნა მოუძღვნეს მის
მის დამოკიდებულებას აკაკისადმი. ჩანაწერი აქვს ასეთი
- „საკუთარი ლექსების შესახებ“ „მთაწმინდის მთვარე-
ზე“ საუბრობს. ეს არისო „ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩე-
მის შემოქმედებისა. ამ ლექსში უსათუოდ სჩანს პოეტი,
რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე
საუკუნის პოეზიის კორიფეების შემოქმედებას, აცხადებს
რა თავის თავს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი
წერეთლის პოეზიის მემკვიდრეთ... აქ ახალგაზრდა პოე-
ტის ახლო სძინავს მოხუცი პოეტის ლანდს, აკაკი
წერეთლის ლანდს; ბარათაშვილსაც ხომ აქ უყვარდა ობ-
ლად სიარული; ილია ჭავჭავაძესაც, დიმიტრი ყიფიან-
საც...“

ამას პროზაულ ჩანაწერში ამბობს. ბარათაშვილი, აკა-
კი, ილია, დიმიტრი ყიფიანი... ლექსში მხოლოდ აკაკი და
ბარათაშვილია... და აკაკის გამორჩევით მოიხსენიებს: „აქ
ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს ძინავს მეფურ ძილით...“
და მერე - „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარუ-
ლი...“

მოვისმინოთ უკომენტაროდ ერთი ჩანაწერიც გალაკ-
ტიონისა:

„ათასცხრაასრვა წელი - საგულისხმო თარიღია ქარ-
თული პოეზიის ისტორიაში. ამ წელს საქართველომ
იდღესასწაულა ღრმად მოხუცებული აკაკი წერეთლის
ორმოცდაათი წლის იუბილე. ათასცხრაასრვა წელი,
ვიმეორებთ, საგულისხმო თარიღია. ამ წელს სალიტერა-
ტურო ასპარეზზე გამოვიდა სრულიად ახალგაზრდა პოე-
ტი, რომელმაც გამოსვლისთანავე ყურადღება მიიქცია
არაჩვეულებრივი ტემპერამენტით, ლექსის ახალი ტეხნი-
კით, ეს პოეტი იყო...“

სამ წერტილს გაშიფრვა არა სჭირდება...

უკომენტაროდ ჩავიკითხოთ-მეთქი, მაგრამ უნებლიერ ასოციაცია მიანც ჩნდება ცნობილ ისტორიულ ფაქტთან: თავისივე სიცოცხლეში რომ გაამეფა მემკვიდრე ხანდაზმულმა მეფემ და რამდენიმე წელს გაგრძელდა თანამეფობა...

აკაკისა და გალაკტიონის შემთხვევაში ქართული პოეზიის ტახტზე ხანდაზმულ პოეტთა მეფისა და უფლისწულის თანამეფობა შვიდ წელიწადს გაგრძელდა - 1908 წლიდან 1915 წლამდე.

1915 წელს მთელი საქართველო იყო აკაკის ჭირისუფალი. მაგრამ, იგონებენ, რომ ერთი ჭაბუკი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდათ. ეს ჭაბუკი პოეზიის ტახტის მემკვიდრე გალაკტიონი იყოთ. ლიდია მეგრელიძის მოგონება:

„აკაკის პანაშვიდზე ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ახალგაზრდა ჭაბუკმა.

ის იდგა ეკლესიაში საშინელი დამწუხრებული, ღრმა ფიქრებში წასული, თითქოს სადღაც სამარეს ჩასცეროდა...

ჭაბუკის სახე საშინელ სულიერ ტანჯვას გამოხატავდა...

თითებში ანთებული სანთელი ეჭირა...

სანთელი მთლად დაიწვა...

ჭაბუკი ღრმა ფიქრებისაგან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა თითებში სიმხურვალე იგრძნო.

თავი ასწია და მწუხარე თვალები სივრცეს მიანათა. ეს იყო გალაკტიონი“.

მოგვაგონდება ცნობილი გამოთქმა: „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“

გალაკტიონი იცნობდა და აღმერთებდა აკაკის...

იცნობდა აკაკი გალაკტიონს?

1923 წელს რუსთაველის თეატრში გაიმართა გალაგ-ტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 15 წლის იუბი-ლე. საიუბილეო კომიტეტი აქვეყნებს მოწოდებას:

„გალაკტიონ ტაბიძე ეპოხალური მოვლენაა საქართ-ველოში... თხუთმეტი წლის წინად მკითხველმა საზოგა-დოებამ ერთხმად აღიარა მასში შეუდარებელი პოეტური ნიჭი. თხუთმეტი წლის განმავლობაში თვითეული მისი ლექსი იწვევდა არაჩვეულებრივ გამოხმაურებას; უდიდე-სი პოეტი აკაკი წერეთელი, აღლვებული, პირველი მიე-სალმა ამ წიგნის გამოსვლას...“

დარია ახვლედიანის მოგონება:

„ახალგაზრდობიდანვე მქონდა ბედნიერება ჩვენი საყ-ვარელი პოეტის აკაკი წერეთლის ნაცნობობისა. აკაკი ჩე-მი ოჯახის უახლოესი მეგობარი იყო. ის ხშირად დადიო-და ჩვენსას, მახლობელი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი ოჯახის წევრებთან...“

ერთხელ ჩვეულებრივად ვსაუბრობდით პოეზიაზე. მა-შინ მთელი წყება ახალგაზრდები ახლად გამოსული იყვ-ნენ სამწერლო ასპარეზზე. მე მაინტერესებდა აკაკის აზ-რი, თუ როგორი შეხედულებისა იყო მათზე. ვკითხებ:

- ბატონო აკაკი, თქვენს შემდეგ ვინ მიგაჩნიათ პოე-ტად ჩვენში-თქვა.

- ვაუა-ფშაველა და ცახელიო.

- ესენი ხომ ვიცით, ბატონო,- ახალგაზრდების შესა-ხებ მინდა გავიგო თქვენი აზრი.

- ახალგაზრდებში? - ჩაფიქრდა და დინჯად წარმოსთქვა, - ახალგაზრდებში გალაკტიონ ტაბიძეს უსათოუდ დიდი მომავალი აქვს, იმას ბევრი სიახლე შემოაქვს ჩვენს პოეზიაში...“

გალაკტიონი არ იყო განებივრებული ყურადღებით, მაგრამ ქება მრავლად თქმულა მისი მისამართით... სწა-რომ არა იყოს, თანამოკალმეებმა პოეზიის მეფედ აღია-

რეს... გალაკტიონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, გამორჩეული ფასი აქვს აკაკის აზრს:

„გალაკტიონ ტაბიძეს უსათუოდ დიდი მომავალი აქვს, იმას ბევრი სიახლე შემოაქვს ჩვენს პოეზიაში“.

ჩაუწერია ერთგან: „როდის თქვა აკაკიმ სიტყვები სიახლეზე? მაინც რა სიახლე იყო იმ პირველ წიგნში? რა თქმა უნდა, თემატური. საჭიროა დეტალური გარჩევა წიგნისა ამ მხრით...“

სხვაგან წერს: „საერთოდ უნდა გაიხსნას აკაკი წერეთლის ფრაზა ჩემს შესახებ: „მას ბევრი სიახლე შემოაქვს ჩვენს მწერლობაში...“

ეამაყება და ხშირად იმეორებს. თავისი შემოქმედების მომავალ მკვლევრებს - გალაკტიონოლოგებს - მიანიშნებს და მიაქცევინებს ყურადღებას ამ ფაქტზე.

რაჭაში ყოფნისას მოიგონებს გალაკტიონი: „ჩემზე ადრე, აქ ბრძანდებოდა დიდი აკაკი წერეთელი. როდესაც იგი რაჭიდან ქუთაისში დაბრუნდა და მონაწილეობა მიიღო ჩვენი ახალგაზრდების სალიტერატურო საღამოში, მასსოვს, მე წავიკითხე ლექსი „შემოდგომა“; მე კითხულობდი ლექსს ცოტათი ამღერებით. როდესაც ფარდა დაშვა, აკაკიმ მიბრძანა: „თქვენ ხომ რაჭაში არ გიცხოვრიათ“. არა-მეთქი, ბატონო აკაკი. იმიტომათ, მიბრძანა, „სცენაზე ლექსს როცა კითხულობდით, ისე კითხულობდით, თითქოს მღეროდითო. რაჭაში სწორად ასე, გაბმით, დინჯად ლაპარაკობენ, თითქოს მღერიანო. და ამგვარად წაკითხული ლექსი ძირითადად ქართულიაო“. ასე გადაჭრა დიდმა აკაკიმ ქართული წაკითხვის (დეკლამაციის) საკითხი“, - ბრძანებს გალაკტიონი. ამ მოგონებაშიც იგრძნობა აკაკისთან პირადი ნაცნობობით გამოწვეული სიამაყე...

დიახ, ეამაყება, რომ იცნობდა მას აკაკი წერეთელი - „ჩვენი სიამაყე, ჩვენი დიდი სახალხო მგოსანი“ - ამას

აკაკის სიცოცხლეში დაწერს, აკაკის იუბილეს მზადების პერიოდში. „მადლიერი საქართველო ნოემბრის თცდათს გადაიხდის უსაყვარლესი მგოსნის დიდი აკაკის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეს. ეს იქნება დიადი ეროვნული დღესასწაული, მაჩვენებელი იმის, თუ როგორ აფასებდა ხალხი მისთვის თავდადებულ მოწინავე ადამიანებს. შავბნელი ძალები ეხლანდელ რეაქციის ხანაში, რა თქმა უნდა, შეეცდებიან, მაგრამ ვერ ჩაშლიან ამ დიდ დღესასწაულს...“ ასე მოუთმენლად ელოდება და ემზადება აკაკის იუბილესათვის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის და თავად ვერ მოხვდა ამ დღესასწაულზე (ვთქვით ზევით - ბილეთი ვერ იშოვა!).

აკაკისეული შეფასება მისი პოზიტიუმალლეს ჯილდოდ გალაკტიონისათვის...

აკაკი ახსოვს ყოველთვის. აკაკი მისთვის საზომია, მეტრი, მაგალითი განუმეორებელი.

საუბრობს მამია გურიელზე. ამ საუბარში აშკარად იგრძნობა სიმპათია, სიყვარული გურიელისადმი: „მამია გურიელს ჰქონდა თავისი საათი უმაღლესი სილამაზისა და აყვავების. მამიას უყვარდა, მამიას სულს სჭირდებოდა ძლიერი და არაჩვეულებრივი განედი...“ საუბარი ამ ტონში გრძელდება და თითქოს შიში გამოკრთა - მის მიერ დახატულმა მამია გურიელის სურათმა არ გააფერმკრთალოს ვინმეს წარმოლგენაში აკაკის სახე - იქვე აკაკის გაიხსენებს. სხვის აზრს მოიშველიებს და მსჯელობას მამია გურიელზე ასე განაგრძობს: „ბავშვებს, ცოტა არ იყოს, კიდევაც გვეშინოდა მისიო. მოჩხუბარი ბავშვებისთვის ვერ იყო მიმზიდავი. მაგიერათ აკაკი, თეთრი თმით საოცნებო კეთილი სახით და ტკბილი ხმით ამზანაგური ბაასით გვათამაშებდა და ჩვენც მას ვეხვეოდით“. მსჯელობა ისევ მამია გურიელზე გრძელდება. ჩანა-

წერის სათაურიც „მამია გურიელია“.

გალაკტიონს გული დასწყვიტა თედო სახოკიას გარდაცვალებამ. ჩაუწერია: „გუშინ გარდაიცვალა თედო სახოკია ღრმად მოხუცებული. ერთი კვირის წინათ ტრამვაიდან დავინახე, ცოცხლად მიდიოდა რუსთაველის ქუჩაზე...“ ჩანაწერი ასე მთავრდება: „ცუდ ღროს გარდაიცვალა, ზამთარია“.

საუბრობს თედო სახოკიაზე და კვლავ აკაკის გაიხსენებს. თითქოსდა რა შუაშია თედო სახოკიას გარდაცვალება და მისი აკაკისთან ურთიერთობა. იხსენებს კი...

დემონზე (ქუჩუ ქავთარაძეზე) საუბრობს, მისთვის ერთ-ერთ საყვარელ პიროვნებაზე და კვლავ აკაკი წერე-თელი: „მე ჯერ კიდევ სოფელში ვიყავი, როცა დემონის რამდენიმე ლექსი წავიკითხე თბილისის ერთ-ერთ უურნალში, მშვენიერი, გრძნობიერი ლექსი. უბრალო, აკაკის ენით დაწერილი“.

აკაკის ენა - ბუნებრიობისა, უბრალოებისა და პოეტურობის სიმბოლოა მისთვის.

გარდაიცვალა განდეგილი. ოლია ოკუჯავას მისწერს წერილს: „ეს იყო მოხუცებული ქალი, პოეტესა, ძალიან ნიჭიერი...“ და სხვა. მის წერილს გაიხსენებს, გალაკტიონის შესახებ დაწერილს: „გალაკტიონ ტაბიძე ეს დიდი პოეტია...“ და სთხოვს ოლიას, გვირგვინი ან ყვავილები გაუგზავნოს განდეგილს. მთავარ ღირსებად განდეგილისა ამას მიიჩნევს - ის იყო „უდიდესი მეგობარი აკაკი წერეთლისა“.. „განა მე შემიძლია დღეს მშვიდობიანი ვიყვე?“ - ეკითხება გალაკტიონი ოლიას და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს მხოლოდ აკაკის მეგობრის გარდაცვალებას გლოვობს პოეტი.

აკაკის სიყვარული, აკაკისადმი თაყვანისცემა, მაპატიოს გალაკტიონის სულმა, და ცოტა ტენდენციურ აზრსაც გამოათქმევინებს: „აკაკის არაფერი არ სწამდა ვაჟა-

ფშაველასი და გაკვირვებას ეძლეოდა, როდესაც ზედავდა ვაჟა-ფშაველას ტრიუმფს. სამაგიროდ ვაჟა მუხლს იყრიდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუხებდა მას ავაკის შეხედულება. ასეთია დიდბუნებოვან ხალხთა ცხოვრება“.
არადა, ღმერთმა იცის, რომ არ იყო ასე; დიდად აფასებდა აკაკი ვაჟას ნიჭისა და შემოქმედებას...

აკაკის ცხოვრება მაგალითი იყო გალაკტიონისათვის. აკაკის ბედი - გალაკტიონის ბედის წინამორბედი. აკაკის განვლილი გზა - გზა უვალი, მისგან ნავალი გალატიონისათვის გზის სიმნელის გასაადვილებლად გათელილი.

იტყვის:

„წადი, იარე... ქნახოთ სადამდე
გაგვვება ფიქრი ფერად-ფერადი,
თვითონ აკაკის რა სეირი აქვს,
რომ შენა გერგოს... იარე, წადი!“

„იარე, წადი!“ - შესძახებს საკუთარ თავს, ამხნევებს გალაკტიონს გალაკტიონი. გასაგებია: გალაკტიონის ცხოვრება წინააღმდეგობებითაა სავსე. გამამხნევებელი თითქოს არავინ ჰყავს. თვითონ უნდა გაამხნეოს საკუთარი თავი. აქაც აკაკი გაიხსენა („თვითონ აკაკის რა ხეირი აქვს“) და მხნეობა ამით შეიძატა...

პირად წერილში აკაკი დაიჩივლებს: „ჯერ 25-ს წლისა ვარ და ვის გამოუვლია ჩემოდენი უსამართლო დაჩაგვრა და ტანჯვა?“

ვისაც გალაკტიონის ცხოვრებისათვის თვალი მიუდევნებია; ვისაც მოგონებები წაუკითხავს გალაკტიონის შესახებ; ვისაც ვახტანგ ჯავახაძის შეუდარებელი წიგნისთვის („უცნობი“) თვალი გადაუვლია, აკაკის ჩივილი გალაკტიონის ჩივილად შეიძლება აღიქვას.

ვისთვისაც გალაკტიონის ცხოვრებისეული პრობლემები უცხო არ არის, ვინც გალაკტიონის ბედს ერთხელ მაინც ჩაუფიქრებია, დამეთანხმება: აკაკის შესახებ

გალაკტიონის ჩანაწერები ავტოპორტრეტს ჩამოჰვავს უფრო, ვიდრე პორტრეტს აკაკისას. ისე, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, მსგავსებას ესწრაფის აკაკისთან, ამბობენ, წვერიც იძირომ მოუშვა, აკაკის დამსგავსებოდათ. იგონებენ, იკითხა, ვის ვგავარო და ეწყინა, როცა ვერ მოისმინა მოსალოდნელი პასუხი. აკაკის არ ვგავარო? - უკითხავს.

რამდენიმე ამონარიდს ჩავიკითხავ გალაკტიონის ჩანაწერებიდან:

„მომხრები მას ძალიან ცოტა ჰყავდა. მაგრამ ხალხის ფართო მასები მას უკვე პატივსა სცემდნენ. გაიგეს და შეიყვარეს“.

„საზოგადოებამ მას ზურგი უჩენა. დაიწყო დევნა და ცილისწამება. მას მოჰყვა ძალაუფლების მქონეთა მუქარა. თანამერიძნობელებს იგი ვერ პოულობდა დაშინებულ ინტელიგენტთა შორის“.

„ერთადერთი, მარტო, განკიცხული ცხოვრობდა იგი ამ ხანებში ქუთაისში. ცოლი იმყოფებოდა სოფელში, ვინაიდან ქალაქში ცხოვრების სახსარი არ მოჰპოვებოდა. მოუსაფარი, მშიერი ეძებდა იგი რაიმე საშუალებას არსებობისათვის...“

„...ახალგაზრდობის დროინდელი ტრაგედია. პირადი ტრაგედია პოეტის, ისეთი ლრმა, რომ მან სახუდარო დაღი დააჩნია მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას! რა იყო ასეთი? რა გახდა ისეთი, რომ მთელი ცხოვრება პოეტისა, მთელი აკორდი მისი დიდი პოეზიის, დაქორჩილა იმ ერთ უღრმეს მწუხარებას?“

დიახ, გალაკტიონი საუბრობს აკაკის შესახებ... ვინც იცნობს გალაკტიონის ცხოვრებას, ასეც შეიძლებოდა გვეფიქრა - გალაკტიონზეაო საუბარი აქ. დიახ, აკტოპორტრეტს ჩამოჰვავს ეს მსჯელობა; საფუძვლი ამისა სულიერი ნათესაობაა, სულიერი მემკვიდრეობა.

„ვინმე მსგავსი აკაკისა -

არ ყოფილა და არ არის...“

„როგორც ერთია ქვეყანა ვრცელის ისე ერთია გალაკტიონი...“

კიდევ ერთი პორტრეტი აკაკისა თუ ავტოპორტრეტი:

„მაგრამ ისეთი, რომელიც მთლიანად გამოსახავდა თავისთავსა და თავის დროს - პოეზიაში აკაკის მზგავსი არავინ არ არის. მისი გულიდან აღმოხეთქს ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი ძალაუტანებელი ხმები.

„მას არა აქვს ყალბი ნოტები.

იგი ქმნის ძალდაუტანებლად

იგი მგოსანია - ცოცხალი გრძნობის...“

ეს აკაკი არის. და ეს არის გალაკტიონიც -

„ვინც მთლიანად გამოსახავდა

თავისთავსა და თავის დროს“.

„პოეზიაში მსგავსი არავინ არ არის“.

„მისი გულიდან აღმოხეთქს ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი

ძალდაუტანებელი ხმები“.

„მას არა აქვს ყალბი ნოტები“.

„იგი ქმნის ძალდაუტანებლად“.

„იგი მგოსანია - ცოცხალი გრძნობის“.

ეს არის გალაკტიონიც... ეს არის აკაკი...

რა ხიბლავს უპირველესად აკაკის გალაკტიონისა? -

„იმას ბევრი ხიახლე შემოაქვს

ჩვენს პოეზიაში“.

რა ხიბლავს უპირველესად გალაკტიონს აკაკისა? -

„აკაკის ჩანგის მომხიბვლელობა გამოიხატებოდა იმ ზნეობრივ სიძლიერეში, რომელიც შეადგენდა

პოეტის პიროვნებას. მან შესწირა თავისი თბვი
ერთს წმინდათ - წმინდას - სამშობლოს, აი,
რანაირად ისახება ჩემს წარმოდგენაში მეცნიერე-
ტე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის ისტო-
რიული მდგომარეობა და პიროვნება“. დიახ, აქაც
გალაკტიონი აკაკის შესახებ საუბრობს და არა თავის
თავზე...

მართლაც რომ შეუდარებელია,

„სამშობლოვ,

შენი მტკვარი და რიონი,

შოთა, ილია, აკაკი,

ვაჟა და

გალაკტიონი.“



အကောင်းအပါ

მინერალი

„ყველაფერი - სამწყობებათვის, არაფერი - საკუთარი თავისათვის“	3
აკაკი და ილია	9
აკაკი და იაკობი	49
აკაკი და გაუა	81
აკაკი და გალაკტიონი	119

ନେଇବ୍ୟତ୍ରିନେବୀ
କୋର ହୀନେତାଲୀମୀ
ଗୋପିଣ ଶୁଣେଇବୀ

**მსატერიული რედაქცია და დიზაინი
მრავალი ავალიანისა**

გიორგი გოგოლაშვილი

დაბადა 1948 წლის 24 ქლისს კურსებში (ტყიბულის აპარანში).

1966 წელს დაამთავრა უთაისის რეინიგზის მე-11 აშუალო სკოლა, 1971 წელს თბილისის სახელმწიფო წავერსიტეტის ფილოლოგიის კავკასიურ ენათა განყოფილება.

1975 წლიდან კითხულობს ლექციებს თუ ახალი ქართული ენის კათედრაზე.

1984 წელს დაიცვა საკან-დატო დისერტაცია; 1992

წელს – სადოქტორო. 1994 წელს მიენიჭა პროფესორის სამეც-ერო-პედაგოგიური წოდება.

არის თუ ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი.

1978 – 1999 წლებში მუშაობდა არნოლდ ჩიქობაგას სახ-ელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. იყო მეცნიერი თანამშრომელი, სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში...

1993 წელს მეგობრებთან ერთად დააპისა ბ. ჯორბენაძის საზოგადოება. არის „ბურჯი ეროვნებისას“ (ჯერ გაუტი, ამჟამად უურნალი) დამაარსებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

მრავალი სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი. „მარადიულნი თანამედროვენი“ მეშვიდე წიგნია...





ეროვნული
ბიблиოთეკა